# არსენალი

№ 5 (34). მაისი. 2007. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯაველინი" — შუბი ტანკის წინააღმდეგ...

სასირეთის ბრძოლა

ვიკინგები საქართველოში

1425
2007



ერაყში ქართული მისია იზრდება...

თურქული „ბარბაროსები" შავ ზღვაში

რატომ ატყუებენ ქვეყნის ახალგაზრდა დამცველებს

რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტურა



არმია — ცხოვრების საგზური

11



ერაყში ქართული სამხედრო მისია იზრდება

6



„ხევსურები ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში...“

14

სასირეთის ბრძოლა — ვიკინგები საქართველოში

48





შეწყვეტილი ფრენა, ანუ როგორ დაიღუპა „შავი ქორი“

33



ისროლე „შუბი“ და დაივიწყე

44

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**თვალსაზრისი**

6 ერაყში ქართული სამხედრო მისია დიდ მასშტაბს იძენს

**სატკივარი**

8 რატომ ატყუებენ ქვეყნის ახალგაზრდა დამცველებს?

**ინტერვიუ**

10 სტუდენტური დებიუტი რეზერვში

**გამოცდილება**

11 არმია – ცხოვრების საგზური

**საქართველო**

14 „ხევსურები ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში...“

**სპეცსამსახურები**

17 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

18 რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტურა

**იარაღის ისტორია**

22 მოძველებული, მაგრამ მაინც გამოსადეგი ДШК

**იარაღი**

26 თურქული „ბარბაროსები“ შავ ზღვაში

**ტექნოლოგიები**

30 გამოუცხადებელი ომი

**საგანგებო ოპერაციები**

33 შეწყვეტილი ფრენა – როგორ დაიღუპა „შავი ქორი“

**ფლოტის ისტორიიდან**

37 სადესანტო ოპერაციები ძველი დროიდან დღემდე

**სუპერმობილი**

41 ოპელ „ანტარა“

**თანამედროვე სისტემები**

44 ისროლე „შუბი“ და დაივიწყე

**ფლოტი**

46 ლატვიის სამხედრო-საზღვაო ძალები

**საქართველოს ისტორია**

48 სასირეთის ბრძოლა – ვიკინგები საქართველოში

**კროსვორდი**

50 არსენალკვორდი

**ისტორიული ექსკურსი**

51 „არსენალის“ მაისის კალენდარი

**სიახლე**

53 მხედრული ისტორიის მუზეუმი სტუმრებს ელის

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

54 „ებრაელი ინდიელი“ „ჩეროკი“ ურჩი გადამხდელების შესაშინებლად


24903

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

გასული აპრილი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, რომელთაგანაც უმთავრესი, ალბათ, ორი გახლდათ.

პრეზიდენტმა, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა თავად ჩაუყარა საფუძველი ქართველი ოფიცრებისთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობას თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში. ზოგს ჰგონია, რომ არმიის სიძლიერე მხოლოდ ტანკების, ქვემეხების თუ თვითმფრინავების რაოდენობით განისაზღვრება. სინამდვილეში კი უფრო მთავარი ოფიცრების საბრძოლო განწყობაა, რომლის ამაღლებაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ოჯახების ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფას. თუკი სახელმწიფო ქართული არმიის სამხედრო მოსამსახურეებზე იზრუნებს, ისინი ქვეყანას თავდადებით დაიცავენ.

აპრილში სავალდებულო-სარეზერვო სამსახურში სტუდენტების პირველი ნაკადი გაიწვიეს. ახალგაზრდა რეზერვისტებს 18-დღიანი შეკრების შემდეგ არმიაში სამსახურზე სხვადასხვა აზრი შეექმნათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მათ ცოტა ხნით მაინც იტვირთეს სამშობლოს დამცველის რთული, მაგრამ საპატიო მოვალეობა.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №59.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# ესპანეთის ფლოტი გადაიარაღდება

ესპანეთის ფლოტი უახლოეს 5-8 წელიწადში ახალი თაობის ხომალდებს მიიღებს. ლაპარაკია ხომალდ BAM-ზე, ორ წყალქვეშა ნავ S-80-ზე და ალვარო დე ბასანის კლასის ფრეგატ F-100-ზე. BAM-ი მრავალმიზნობრივი ხომალდია, შვეულმფრენის მოედნით. მისი წყალწყვა 2,5 ათას ტონას შეადგენს, სიგრძე – 93,9 მეტრს, ოთხი დიზელითაა აღჭურვილი და სიჩქარე 20,5 კვანძია. მისი ღირებულება 340 მლნ ევროა. ეკიპაჟი [illegible]5-კაციანია, შეუძლია ბორტზე 80-კაციანი დესანტის მიღება და მსოფლიო ოკეანის პატრულირების ამოცანების შესრულება, ტერორიზმსა და ნარკოვაჭრობასთან ბრძოლა. ფრეგატი F-100 თავის კლასში ერთ-ერთი საუკეთესოა. ის აღჭურვილია რაკეტა „ჰარპუნებით“, MK-46 ტიპის სატორპედო აპარატებით, გამშვები მოწყობილობა MK-41-ით. 2011 წლიდან იგეგმება ამერიკული ტაქტიკური რაკეტა „ტომაჰავკებით“ შეიარაღებაც. ხომალდზე, რომლის





ღირებულება 750 მლნ ევროს შეადგენს, დაყენებულია აღმოჩენისა და დამიზნების ამერიკული სისტემა AEGIS-ი, რომელიც ერთდროულად 90 სამიზნეს უთვალთვალებს. F-100-ის სიგრძე 146,7 მეტრს შეადგენს, სიჩქარე – 52,8 კვანძს. ამერიკული „ტომაჰავკებით“ აღიჭურვება ბოლო თაობის ორი წყალქვეშა ნავი S-80. 2015 წლისთვის ესპანეთის წყალქვეშა ფლოტში იქნება ამ ტიპის ექვსი ნავი, რომლებიც შეიარაღებაში არსებულ მოძველებულ რვა S-60 და S-70 ტიპის წყალქვეშა ნავებს შეცვლიან. S-80-ის ღირებულება 350 მლნ ევროს შეადგენს. მას ამოუყვინთავად შეუძლია წყალქვეშ 15 დღე-ღამის გატარება.

# ინდოეთი „სმერჩებს“ მიიღებს



300-მილიმეტრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების მიწოდება იმ კონტრაქტის ჩარჩოებში დაიწყება, რომელიც ორი წლის წინ დაიდო. 450 მლნ დოლარად ღირებული გარიგება ითვალისწინებს 38 სისტემის, სათადარიგო ნაწილებისა და საბრძოლო მასალის შესყიდვას, ასევე პერსონალის სწავლებას. ახლახან კომპანია „როსობორონექსპორტმა“ გააფორმა 300 მლნ დოლარად ღირებული დამატებითი კონტრაქტი სისტემა СМЕРЧ-М-ის მიწოდების თაობაზე. კონტრაქტის მიხედვით, ინდოეთი შეისყიდის 24 ერთეულ 9А52-2 დანადგარს. სულ 2012 წლამდე ინდოეთი მიიღებს 62 ამ ტიპის საბრძოლო მანქანას. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა СМЕРЧ-М-ი თავის კლასში ყველაზე მძლავრი მანქანაა. ჭურვის წონა 300 კგ-ს აღწევს, სროლის სიშორე 90 კილომეტრზე მეტია. ამ ტიპის დანადგარებისთვის შემუშავებულია ასევე კასეტური და მართვადი საბრძოლო მასალები.

# ტაივანი ავიამზიდებზე შეტევას სწავლობს



პერსპექტიული ჩინური ავიამზიდების საწინააღმდეგო მოქმედების სწავლებების მიმდინარეობისას ტაივანის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლები F-16-ები რამდენჯერმე გაუშვებენ ამერიკული წარმოების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ჰარპუნებს“, ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კატერები და ფრეგატები კი გამოიყენებენ რაკეტა „სიუნფენ-II“-ებს და „სიუნფენ-II“-ებს, რომლებიც ტაივანზეა შექმნილი. დარტყმების შედეგი და მტრის გემების დაზიანებები კომპიუტერზეა მოდელირებული. მანევრების ძირითადი ამოცანაა ავიამზიდზე შეტევისას სხვადასხვა სამხედრო ძალების ურთიერთქმედების დამუშავება. ამგვარი ამოცანა შესაძლოა რეალობად იქცეს ტაივანის შეიარაღებული ძალებისათვის 2012 წელს, როცა ჩინური ფლოტის შეიარაღებაში პირველი ავიამზიდი შევა. ამჟამად ტაივანს ხომალდსაწინააღმდეგო მცირე სიშორის რაკეტების შეზღუდული არსენალი აქვს. ისინი, ძირითადად, 3-2 რანგის ხომალდებთან საბრძოლველად გამოიყენება. სპეციალისტების აზრით, ავიამზიდის ამ ძალებით გამკლავება შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანადა ახალ ტანკებს შეიძენს



კანადას დაგეგმილი აქვს ჰოლანდიისგან დაახლოებით 100 თანამედროვე ტანკი შეიძინოს. ახალი ტანკები კანადის შეიარაღებულ ძალებში დღეს არსებულ გერმანულ ტანკებს „LEOPARD-C2“-ებს შეცვლიან. ტანკების პირველი პარტია კანადაში 2007 წლის შემოდგომაზე ჩავა. ამჟამად კანადის შეიარაღებულ ძალებს 114 ტანკი ჰყავს. შეიარაღებიდან მათ, სავარაუდოდ, 2010 წელს მოხსნიან. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში კანადა გერმანიისგან იჯარით აიღებს 20 ტანკ „LEOPARD-2A6M“-ებს ავღანეთში გასაგზავნად. დღეს ყანდაღარის ახლოს მოქმედი კანადის კონტინგენტის შეიარაღებაში დაახლოებით 30 წლის წინ აგებული 17 ტანკია, რომელთაც არ გააჩნია კონდიცირების სისტემა, რაც ძალზე ართულებს მათ საბრძოლო გამოყენებას დიდი სიცხის პირობებში.

# აშშ-ის თავდაცვის მობილურმა კომპლექსმა რაკეტა ჩამოაგდო

კუნძულ კაუაიზე (ჰავაის კუნძულები) განთავსებულმა კომპლექსმა აღმოაჩინა ბალისტიკური სამიზნე, საშუალო სიშორის უძრავთავიანი რაკეტის იმიტაცია. რაკეტა დედამიწის ატმოსფეროში, საშუალო სიმაღლიდან ჩამოვარდა. ჩამოგდების ზუსტი სიმაღლისა და დისტანციის მონაცემებს არ ახმაურებენ. გამოცდის პერიოდში ცეცხლის მართვის სისტემა კომპლექსს რეალური რეჟიმის დროში ინფორმაციას აწვდიდა და იღებდა რაკეტსაწინააღმდეგო AEGIS-ს, რომელიც დამონტაჟებულია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საზღვაო და კოსმოსური საბრძოლო სისტემების შტაბში, სან-დიეგოში. მობილური კომპლექსი THAAD-ი განკუთვნილია აშშ-ის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის და მათი მოკავშირეებისათვის შორეული საბრძოლო მოქმედებების თეატრებში, რომელთაც რაკეტსაწინააღმდეგო ნაციონალური სისტემა არ ფარავს.

P.S. კომპლექსის შესახებ ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ „არსენალის“ წინა ნომერში

# ესტონეთმა ავღანეთს „კალაშნიკოვები“ გადასცა

ავღანეთსა და ესტონეთს შორის იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაცემის თაობაზე 12,351 მლნ კრონად ღირებულ (790 ათას ევროზე მეტი) ხელშეკრულებას უკვე მოეწერა ხელი. ესტონეთმა ავღანეთს უანგაროდ გადასცა ოთხი ათასი კალაშნიკოვის ავტომატი და 4,6 მლნ საბრძოლო მასალა. ამჟამად ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სამსახურს გადის 120 ესტონელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთა ამოცანაა ქვეყნის სამხრეთით, პროვინცია გელმენდში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ესტონეთის თავდაცვის მინისტრ იააკ აავიკსოს თქმით, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების რეფორმირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დახმარება როგორც შეიარაღებითა და აღჭურვილობით, ისე ავღანელი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების სწავლებით.

# გამოცდების მსხვერპლთ 1 მლრდ-ს გადაუხდიან



„მარშალის კუნძულებზე ბაზირებული ბირთვული სარჩელების ტრიბუნალმა ატოლ რონგელალის მცხოვრებთ – აშშ-ის მიერ ჩატარებული ბირთვული იარაღის გამოცდების მსხვერპლთ – 1 მლრდ დოლარზე მეტი კომპენსაცია მიაკუთვნა“, – იუწყება ახალი ზელანდიის რადიო. მიუხედავად ამისა, დაზარალებულები ერთ ცენტსაც ვერ მიიღებენ. ტრიბუნალის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდის მიზნით ვაშინგტონის მიერ შექმნილი ფონდის პირველადი მოცულობა, რომელიც 1986 წელს 150 მლნ დოლარს შეადგენდა, 1 მილიონამდე შემცირდა, რაც მხოლოდ სასამართლოს საქმიანობის ფინანსირებას მოხმარდება მომავალი წლის დამლევამდე. სასამართლომ ზემონახსენები გადაწყვეტილება ატოლ რონგელალის მცხოვრებთა სარჩელის შეტანიდან 15 წლის შემდეგ მიიღო. მაშინ, 1954 წლის 1-ელ მარტს, ბირთვული მოწყობილობა „ბრავოს“ (რომელიც სიმძლავრით ათას „ჰიროსიმას“ აღემატებოდა) გამოცდის შემდეგ ატოლს რადიოაქტიური ნალექები დაატყდა თავს. ამერიკელმა სამხედროებმა იმ პერიოდში ძალით გაასახლეს კუნძულიდან იქაურები, რომლებიც დღემდე ვერ დაბრუნებულან სამშობლოში. მარშალის კუნძულები წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილის პაწაწინა სახელმწიფოა. 1946 წლიდან 1958 წლამდე აქ აშშ-მა 67 ატომური და წყალბადის ბომბი გამოცადა. 1986 წელს დადებული და უკვე ვადაამოწურული შეთანხმების შედეგად, ვაშინგტონმა მოწამლული მიწებისა და შერყეული ჯანმრთელობის გამო ერთხელ უკვე გადაუხადა კუნძულელებს კომპენსაცია 250 მლნ დოლარის ოდენობით და ამჟამად მიიჩნევს, რომ „საკითხი სრულად და საბოლოოდ არის ამოწურული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერაყში ქართული სამხედრო მისია დიდ მასშტაბს იძენს

## ერაყში ქართველი სამხედროების რაოდენობა რეკორდული იქნება



2003 წლის ზაფხული. პირველი ქართველი სამხედროები ჰუსეინის სასახლესთან

ერაყის პრობლემა მსოფლიო მასშტაბს იღებს და არა მარტო იმიტომ, რომ იქ ნავთობი მოიპოვება. თუკი სიტუაცია სტაბილური არ გახდა, მაშინ მალე ერაყი ნავთობის გარდა, მსოფლიოში ტერორიზმის ექსპორტიორადაც მოგვევლინება. 2003 წლის ზაფხულში პრეზიდენტმა ბუშმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოსაგდებად ერაყზე იერიში მიიტანა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებზე შურის საძიებლად სავსებით საკმარისი იყო ავღანეთში თალიბებისა და „ალ-ქაიდას" განადგურება, თეთრმა სახლმა კი ჰუსეინის ჩამოგდებაც გადაწყვიტა. სავარაუდოდ, ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ნავთობის მსოფლიო ფასის რეგულირებასთან, სურდათ ხელში ჩაეგდოთ ერაყის უზარმაზარი სანავთობე რესურსების კონტროლიც. შესაბამისად, ბუშის ადმინისტრაცია იმ დათვის როლში აღმოჩნდა, რომელმაც კრაზანების სკაში თათი შეყო...

მას შემდეგ კრაზანები, იგივე ტერორისტები, დღეში რამდენჯერმე მწარედ კბენენ სკაში თათჩარჩენილ დათვს – ამერიკულ სამხედრო კონტინგენტს...

მეტიც, „კრაზანა"-ტერორისტების „ნაკბენებს" უკვე ის ქვეყნებიც გრძნობენ, რომლებმაც „დათვს" – აშშ-ის დახმარების ხელი გაუწოდეს და ერაყში თავიანთ სამხედრო დანაყოფები გაგზავნეს.

2003 წლის შემდეგ ბევრმა ქვეყანამ თავის თავზე გამოცადა ტერორისტული აქტები. ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლება შეიცვალა კიდეც მას შემდეგ, რაც ტერორისტებმა ერაყში გაგზავნილ მათ სამხედროებს მძიმე დარტყმა მიაყენეს და ერაყი ათობით ქვეყნის სამხედროებმა დატოვეს...

საქართველოს ხელისუფლება კი პირიქით, ა.წ. ზაფხულში რეკორდულ რაოდენობამდე – 2300 კაცამდე აპირებს ქართული სამხედრო კონტინგენტის გაზრდას ერაყში.

ბუნებრივია, ამას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ობიექტური ის გახლავთ, რომ აშშ ყოველმხრივ ეხმარება საქართველოს, გინდ პოლიტიკურ ფრონტზე (რუსეთის ველიკოდერჟავული გამოხდომების მნიშვნელოვანწილად დასაოკებლად), გინდ ეკონომიურად და გინდ ქართული არმიის აღჭურვასა და მომზადებაში. მართლაც უმადური უნდა იყო, რომ რაიმეთი მაინც არ დაეხმარო შენს მეგობარს. სუბიექტური მიზეზი კი ძალიან მარტივი და ტრადიციულია – როგორც საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ეამებინა კრემლისთვის, დღევანდელი სუვერენული საქართველოს ზოგიერთი მაღალჩინოსანიც იმავეს თეთრი სახლისთვის აკეთებს...

საქართველომ საპასუხო ნაბიჯი 2003 წლის ზაფხულში გადადგა, როდესაც ერაყში 70-მდე სამხედრო გაგზავნა. ეს სავსებით საკმარისი გახლდათ ვაშინგტონისთვის სიმბოლური მხარდაჭერის გამოსაჩენად. თეთრ სახლში ეს ფაქტი მოიწონეს, რადგან ერაყში იმ მომენტში მოქმედი თითქმის 150 ათასი ამერიკული კონტინგენტისთვის მთავარი იყო კიდევ ერთი მხარდამჭერი ქვეყნის დროშის აფრიალება მთელი მსოფლიოს დასანახავად და არა ერაყში ჩასული ქართველი სამხედროების რაოდენობა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს, ერაყის კამპანიის დაწყების მეოთხე წლისთავზე, თეთრ სახლსა და პენტაგონში მიხვდნენ, რომ ამერიკული არმია პარტიზანული ომის ჭაობში ღრმად ჩაეფლო. მართლაც, ისტორია მეორდება – როგორც ვიეტნამის თუ ავღანეთის ომებში მოხდა, ერაყში საარმიო დანაყოფების რაოდენობის გაზრდამ გამარჯვების ნაცვლად, პირიქით, პარტიზანული მოძრაობის გააქტიურება დააჩქარა. ასეთ დროს ყოველგვარი საბრძოლო მოქმედება ერაყში სიტუაციის დასარეგულირებლად აზრს კარგავს, რადგან აქ პარტიზანული ომის გარდა, უფრო საშიში – სამოქალაქო ომიც მიმდინარეობს.

თავის დროზე სადამ ჰუსეინმა ცეცხლითა და მახვილით დააწყნარა „კრაზანების ბუდე". ამერიკელებმა კი ის ბუდე კვლავ გამოჩხრიკეს და ქვეყანაში ყოველდღიურად რამდენიმე აფეთქება და თავდასხმა მაინც ხდება. თავდასხმები ამერიკე-

ლი და მათი მხარდამჭერი ქვეყნების სამხედროების წინააღმდეგ როდია ყოველთვის მიმართული. ერაყში სუნიტებიც და შიიტებიც არ ინდობენ ერთმანეთს, აქედან გამომდინარე, ერაყში სიტუაციის დაწყნარება უახლოეს მომავალში ძნელი წარმოსადგენია. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ თუკი კოალიციური ძალები დატოვებენ ერაყს, აქ „დაბადებული და გაზრდილი“ ტერორისტული დაჯგუფებები თავდასხმების სამიზნეებად უკვე აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს აირჩევენ...

ამ არცთუ მართლა სახუმარო სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაზარდოს ქართული სამხედრო კონტინგენტი ერაყში. საერთოდ, დიდი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში ასეთ მნიშვნელოვან საკითხს საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გამოიტანდნენ.

უკვე დაგეგმილია, რომ ა.წ. აგვისტოში მთელი ქართული სამხედრო კონტინგენტი ერაყის ქალაქ ალკუტაში მოიყრის თავს. აქ ბაქუბიდან გადავა საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ბრიგადის პირველი ბატალიონი, ხოლო ბაღდადის მწვანე ზონიდან მესამე ბატალიონი. ამ ბატალიონებს დაემატება საქართველოდან დამატებით გაგზავნილი 1400 კაციც, რის შემდეგ ალკუტაში რეკორდული რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი (2300 კაცის შემადგენლობით) ეყოლება საქართველოს. აგვისტოს შემდეგ მესამე ბატალიონს როტაციის დრო მოუვა და ალკუტაში ქართველი სამხედროების რაოდენობა 2000-მდე შემცირდება.

ალკუტა ბაღდადისგან განსხვავებით წითელ ზონად ითვლება. ქართველი სამხედროების განცხადებით, მათ არ დაევალებათ ამ ქალაქში საბრძოლო მოქმედებების წარმოება, მხოლოდ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე იმორიგევებენ და ქალაქის პატრულირებას მოახდენენ.

თუმცა პარტიზანული ომის პირობებში არც პატრულირება ან ჩეკპოინტზე მორიგეობაა მთლად უხიფათო. ქართველ სამხედროებზე თავდასხმების გახშირებას შეიძლება ერთმა ფაქტორმაც შეუწყოს ხელი. წინასწარი მონაცემების თანახმად, ალკუტას გაკონტროლება მთლიანად ქართულ სამხედრო კონტინგენტს დაევალება და კიდევ ცხრა ქვეყნის მცირე დანაყოფები (მათ შორის სომხეთისა და უკრაინის) ჩვენი მესამე ბრიგადის მეთაურობას დაექვემდებარებიან.

თუკი დღემდე ქართული სამხედრო კონტინგენტი აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მრავალათასიან სამხედროთა ფონზე თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა ერაყელი ტერორისტებისთვის, მას შემდეგ, რაც ალკუტაში ქართველებს სიტუაციის მართვა დაევალებათ, ისინი ავტომატურად მოხვდებიან ტერორისტთა თვალთახედვის არეში. განსაკუთრებით ეს ეხება მესამე ბრიგადის საინჟინრო-მესანგრეთა ასეულს, რომელიც ამერიკული პროგრამით „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაცია“ მომზადდა კრწანისის სასწავლო ცენტრში. ასეული ზაფხულში ალკუტაში გაემგზავრება, სადაც სავარაუდოდ ტერორისტთა „ჯოჯოხეთის მანქანების“ გაუვნებლება მოუწევთ.

ირაკლი ალადაშვილი





● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. არსენალი | 1,50 | 9,00 |
| 2 Вог мужской GQ | 12,00 | 72,00 |
| 3 Конный Мир | 12,00 | 72,00 |
| 4 Мастер Ружье | 8,00 | 48,00 |
| 5 Охота и охотничье хозяйс | 5,00 | 30,00 |
| 6 XXL | 10,00 | 60,00 |
| 7 Forbes | 9,00 | 54,00 |

პრესის გავრცელების სააგენტო
შ.პ.ს. „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ატყუებენ ქვეყნის ახალგაზრდა დამცველებს?

## მომავალ რეზერვისტებს ეროვნული გვარდიის სარდლობამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა



შევარდნაძის ეპოქის შემდეგ ქართული არმიის პრესტიჟი რომ ძალზე გაიზარდა, უდავოა. პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს, ქვეყნის დაცვაში საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა, რაც მისასალმებელია. მაგრამ ხანდახან ის ჩინოვნიკები, რომლებიც ქართული არმიის გაძლიერებაზე ლაპარაკობენ, ან ცდებიან, ან გამიზნულად იტყუებიან.

მარტის ერთ საღამოს ზუგდიდში შეკრებილ ახალგაზრდებს, რომლებიც სარეზერვო სამსახურის გასავლელად ემზადებოდნენ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სარდლობამ ქართული არმიის განვითარების დინამიკა გააცნო.

დარბაზში ნაჩვენები ცხრილები ტელევიზიებმაც გაუშვეს ეთერში. ერთ-ერთ კადრზე აღბეჭდილია საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების პროცესი 2003-2006 წლების შედარების მაგალითზე. თუკი ეროვნული გვარდიის სარდლობას დავუჯერებთ, 2003 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში იყო 20 ტანკი, 25 საბრძოლო მანქანა, 50 საარტილერიო დანადგარი, 15 საზენიტო სისტემა, 7 შვეულმფრენი და 6 თვითმფრინავი.

2006 წელს კი ქართული არმია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 225 ტანკი, 235 საბრძოლო მანქანა, 266 საარტილერიო დანადგარი, 40 საზენიტო სისტემა, 39 შვეულმფრენი (თვითმფრინავებზე რატომღაც არაფერი თქმულა).

დარბაზში შეკრებილი ახალგაზრდებისთვის ეს, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავი იქნებოდა, რადგან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სულ რაღაც სამ წელიწადში ქართულ არმიაში ტანკების რიცხვი (თუკი დავუჯერებთ ეროვნული გვარდიის სარდლობას) 10-ჯერ და მეტად გაიზარდა, საბრძოლო მანქანებისა თითქმის 10-ჯერ, საარტილერიო დანადგარების 5-ჯერ და მეტად, საზენიტო სისტემების 3-ჯერ და შვეულმფრენების თითქმის 6-ჯერ (ისე, თვითმფრინავმა რა დააშავა, გაუგებარია).

ქართული არმიის შეიარაღების რიცხობრივი ზრდა სახეზეა, მაგრამ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს მონაცემები? სამწუხაროდ, საქმე გვაქვს აშკარა უვიცობასთან ან სიცრუესთან. ლოგიკურად მოაზროვნე კაცი, რომელსაც ერთხელ მაინც უნახავს ქართული არმიის აღლუმი (თუნდაც 1997 წლის), მიხვდება, რომ მას ატყუებენ.

„არსენალმა“ მოიპოვა ის ოფიციალური მონაცემები, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებას ასახავს 2003 წლის დასაწყისში.

მონაცემები კარდინალურად განსხვავდება დღეს ეროვნული გვარდიის სარდლობის მიერ გავრცელებულისგან. იმ დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების (ყურადღება მიაქციეთ: თავდაცვის სამინისტროს შეიარაღება ჩამოთვლილია შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო ძალების გარეშე) განკარგულებაში იყო არა 20, არამედ 90 ტანკი (31 Т-72 და 59 Т-55); არა 25 საბრძოლო მანქანა, არამედ 82 ქვეითთა საბრძოლო მანქანა (მათ შორის 68 БМП-1 და 13 БМП-2); აგრეთვე 200 ერთეული ჯავშანმანქანა და მისი მსგავსი (მათ შორის 18 БТР-70, 3 БТР-80 და 144 МТЛБ); არა 7 შვეულმფრენი, არამედ 16; არა 7 თვითმფრინავი, არამედ 16; არა 50 საარტილერიო დანადგარი, არამედ 109 და ისიც მხოლოდ 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის (100 მმ-ზე მცირე კალიბრის ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ჩათვლით მათი რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდებოდა). აქ აუცილებლად უნდა მივუთითოთ, რომ 16 შვეულმფრენიდან 7 ცალი უკრაინაში იყო სარემონტოდ, ხოლო 16 თვითმფრინავიდან 9 სასწავლო-საბრძოლო L-29 „დელფინი“ გახლდათ.






2004 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის წინ თავდაცვის სამინისტროს 50-მა და შინაგანი ჯარების 12-მა ტანკმა ჩაიარა...




ეკრანზე მოცემული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება სინამდვილეს...

რაც შეეხება საზენიტო სისტემებს, ჩვენ არ ვიცით, რა კრიტერიუმით დათვალა ეროვნული გვარდიის სარდლობამ 15 სისტემა, მაგრამ 2000 წელს, რეალურად, შეიარაღებაში ითვლებოდა С-125 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ერთი დივიზიონი (ოთხი გამშვებითა და 16 რაკეტით) ფოთში, 6 ცალი თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗСУ-23-4 ШИЛКА, 50-ზე მეტი ავტომატური საზენიტო დანადგარი ЗУ-23-2 და თითქმის ამდენივე საზენიტო დანადგარი С-60. დედოფლისწყაროს ბაზაში ინახებოდა ორასზე მეტი 100 მმ საზენიტო ქვემეხი КС-19, რომლებიდანაც 20 ცალი მაინც ამოირჩეოდა. რაც მთავარია, 2003 წლისთვის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში იყო 98 ერთეული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი СТРЕЛА-2М და ИГЛА. მართალია, არ არსებობდა სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა მათი ვარგისიანობის გასარკვევად.

ამ მონაცემების შედარების შემდეგ მკითხველი მიხვდება, რომ მას ატყუებენ, როდესაც უმტკიცებენ, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველო თურმე სულ რაღაც ოციოდე ტანკის იმედად ყოფილა.

თუკი ვინმეს ჩვენს ნათქვამში ეჭვი ეპარება, გაიხსენონ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი გრანდიოზული სამხედრო აღლუმი თბილისში, 300 არაგველის ძეგლთან, 2004 წლის 26 მაისს. მაშინ საქართველოს პრეზიდენტის წინ თავდაცვის სამინისტროს 50-მა და შინაგანი ჯარების 12-მა ტანკმა ჩაიარა. არადა მაშინ ტანკების შეძენა საზღვარგარეთ ჯერ არ იყო დაწყებული.

რა თქმა უნდა, ტანკების თუ თვითმფრინავების დიდი რიცხვი არ განაპირობებს გარდაუვალ გამარჯვებას. ამასთან, სხვა საკითხია, რამდენი ტანკი გვყავს შეიარაღებაში და მათგან რამდენია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. ეს მაჩვენებელი 100%-იანი არც ერთი ქვეყნის არმიაში არ არის, თუმცა ყველა უნდა ეცადოს, რომ გამართული საბრძოლო ტექნიკის პროცენტული მაჩვენებელი რაც შეიძლება მიუახლოვდეს ზედა ზღვარს.

2003 წელს ქართული არმიის საბრძოლო ტექნიკის დიდი ნაწილი არ ყოფილა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას, რომ მაშინდელი 90 ტანკი 20-მდე შეამციროს. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ დღევანდელ ქართულ არმიაშიც არ არის ყველა საბრძოლო ტექნიკა სრულად გამართული.

ეროვნული გვარდიის სარდლობის მონაცემები 2006 წლის შეიარაღების შესახებ ბევრ კითხვას ბადებს. ცხრილში მითითებულია 225 ტანკი და 235 საბრძოლო მანქანა. თუკი მოვიშველიებთ გაეროს რეესტრს, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში იარაღის ექსპორტსა და იმპორტს ასახავს, საქართველომ 2004 წელს უკრაინაში 50 ცალი БМП-2 და 10 БТР-80 შეიძინა, ხოლო მომდევნო 2005 წელს 16 ცალი Т-72 ტიპის ტანკი უკრაინაში და 35 ტანკი ჩეხეთში, ასევე 20 БТР-80 და 12 БМП-2 უკრაინაში.

თუკი 2003 წელს ქართულ არმიაში არსებულ 90 ტანკს დავუმატებთ დაშლილი შინაგანი ჯარებიდან გადაცემულ და შემდგომ წლებში საზღვარგარეთ შესყიდულ ტანკებს, მათმა საერთო რიცხვმა მაინც საეჭვოა 225-ს მიაღწიოს, მით უმეტეს, რომ მოძველებული ტანკების დაჭრას აპირებენ.

ასეა თუ ისე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული გვარდიის სარდლობამ იხელმძღვანელა ანდაზით — „გარეთ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით მოყვარესო!“

გასაგებია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ძალ-ღონეს არ იშურებს ქართული არმიის გასაძლიერებლად, მაგრამ ჩინოვნიკების აშკარა სიცრუე უმაღლეს მთავარსარდალს დათვურ სამსახურს უწევს...

P.S. ზუგდიდში ერთხელ ნაჩვენებ ცხრილს ეროვნული გვარდიის სარდლობა თითქმის ყოველკვირეულად აჩვენებს საქართველოს ყველა კუთხეში...

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუდენტური დებიუტი რეზერვში

**მარტის შუა რიცხვებში უმაღლესი სასწავლებლების დეკანატებთან სარეზერვო ბატალიონებში გასაწვევი რეზერვისტი სტუდენტების სიები გამოაკრეს. რეგისტრაცია სტუდენტებს 24 მარტამდე უნდა გაევლოთ. პირობა ასეთია: იმ სტუდენტებს, რომლებიც სამჯერ გაივლიან 18-დღიან მოსამზადებელ კურსებს, სავალდებულო ჯარი მოხდილად ჩაეთვლებათ და სამხედრო ბილეთიც გადაეცემათ. გარდა ამისა, არც ერთ მათგანს ეს 18 დღე სასწავლო პროცესში გაცდენად არ ჩაეთვლება.**

**რეზერვისტთა პირველი ნაკადი 31 მარტს ჩავიდა დანიშნულების ადგილზე და 17 აპრილს დაბრუნდა შინ. მუხროვანში გატარებულ 18-დღიან ჯარისკაცურ ცხოვრებაზე შთაბეჭდილების გაზიარება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს: 19 წლის ლუკას, 20 წლის გიორგისა და 20 წლის გრიშას ვთხოვეთ.**

— **რა რეაქცია გქონდათ, როცა რეზერვისტთა სიაში თქვენი თავი აღმოაჩინეთ?**

1. რა ვიცი, გამიხარდა, ალბათ.

2. გამისწორდა მეტ-ნაკლებად, ყოველ შემთხვევაში, არ გამტეხია.

3. არანაირი რეაქცია არ მქონია, ძალიან მშვიდად აღვიქვი.

— **როგორი იყო პირველი დღე ბატალიონში?**

1. პირველ დღეს დავიტანჯე, მთელი დღე ფეხზე ვიდექი. ფორმების დარიგებას დაახლოებით საათ-ნახევარი ველოდეთ, მერე პლაცზე ჩავედით და იქ ვიდექით კაი ხანს, სანამ ასეულებსა და ოცეულებში გაგვანაწილებდნენ.

2. პირველი დღე საინტერესო იყო, მაგრამ მაგრად დავიღალე. ისე, მე პირველ დღეს რაღაც კამათი მომივიდა სერჟანტთან. არ დავკონკრეტდები.

3. პირველ დღეზე იმას ვიტყვი მარტო, რომ საშინლად დავიღალე.

— **როგორ გაატარეთ პირველი ღამე ყაზარმაში?**



**რეზერვისტებს ჟეტონები დაურიგდათ, სადაც მათი მონაცემებია ამოტვიფრული**

1. პირველი ღამე, როგორც ყველამ, ძილში გავატარე. ისე დაღლილი ვიყავი, 10 საათზე დამეძინა.

2. პირველი ღამე მძიმე გადასატანი იყო, სახლში მინდოდა. ალბათ, იმიტომ, რომ უკვე ყველა მენატრებოდა, მთელი ოჯახი.

3. ძალიან კარგი იყო, ყაზარმა კომფორტული იყო.

— **რამდენად კმაყოფილი ხართ იმ საკვებით, რითიც მთელი 18 დღე იკვებებოდით?**

1. საკვები ნორმალური იყო, საკმაოდ კალორიული, მაგრამ არც ისე გემრიელი.

2. პირველად ვნახე გაუსუფთავებელი, ფარფლებიანი და ოთხხერხემლიანი უცნაური წარმოშობის თევზი. მე პირადად არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ ჯარის პირობაზე ცუდი არ იყო, თუმცა მთლად ისეც არ იყო, როგორც გვპირდებოდნენ.

3. მე მომეწონა საკვები, მშვენიერი იყო!

— **რას იტყვით უფროსობაზე? რამდენად პროფესიონალები იყვნენ და როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ რიგით ჯარისკაცებთან?**

1. რა ვიცი, პროფესიონალებიც იყვნენ და ნორმალურადაც გვექცეოდნენ.

2. პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ იყვნენ დებილებიც, ისე, „ვინუჟდენი“ კარგად გვექცეოდნენ.

3. ჩემი აზრით, პროფესიონალები იყვნენ, ძალიან თბილად გვექცეოდნენ.

— **როგორც ვიცი, სროლაში ვარჯიშობდით. რამდენჯერ იყო ასეთი შემთხვევა და რამდენი ტყვია ისროლეთ?**

1. 18 დღის მანძილზე ორჯერ. ერთხელ 110 ტყვია, მეორედ 80 ვისროლეთ.

— **რამდენად ზუსტად ისროლეთ?**

1. მე 100 მეტრში 50-დან 25 ტყვია გავარტყი მიზანს.

2. მე 50-დან 37.

3. მე – 23.

— **თქვენთან პრეზიდენტი იყო სტუმრად, რაზე გესაუბრათ?**

1. პრეზიდენტმა ბევრ რამეზე ილაპარაკა, მაგრამ მე ის დამამახსოვრდა, რომ რეზერვი კარგია და საქართველო უნდა გვიყვარდეს.

— **ბოლო დღე-ღამე როგორ გაატარეთ?**

1. ბოლო ღამეს გამპასტეს.

2. მე კიდევ მთელი ოცეული გავპასტე.

3. ბოლო დღეც ისევე გავატარეთ, როგორც ყველა წინა. ღამე კი ბევრი ვიხალისეთ.

— **ჯანმრთელობის პრობლემები ხომ არ გქონდათ?**

1. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ყურები სიცივეში ჯერ მომეყინა, მერე კი მზეზე დამეწვა და ახლა საშინლად გამოვიყურები – გოგოებს აღარ მოვწონვარ...

*თათია მეგენეიშვილი*



# არმია ცხოვრების საგზური

## ცივილიზებულ ქვეყნებში ჯარში ახალგაზრდობის მიზიდვის მეთოდების შესახებ

გაუწვრთნელი ადამიანების საომრად გაგზავნა ღალატი და მკვლელობის ტოლფასია!

*კონფუცი*



ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში (მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი საქართველოა) დიდი ხანია ბჭობენ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო გაწვევის კანონის გაუქმებასა და მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლის თაობაზე, რაც, რა თქმა უნდა, ფინანსურ, იურიდიულ და სხვა გართულებებს გამოიწვევს. პრობლემა ის არის, ნებაყოფლობით წავა თუ არა ახალგაზრდა სამხედრო სამსახურში?

ზოგიერთი ქვეყნის არმიის იმიჯის გამო (მაგალითად, რუსეთის არმიისა) ამ ქვეყნებში მოხალისეთა რაოდენობა დიდი არ იქნება. საბედნიეროდ, საქართველოში უკვე საკმაოდ განსხვავებული სიტუაციაა, თუმცა მაინც, ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მყარი იქნება ის სოციალური პირობები, რასაც სახელმწიფო წვევამდელებსა თუ ჯარმოხდილებს შესთავაზებს. როგორ და რითი უნდა დავაინტერესოთ ახალგაზრდობა? — ამ კითხვაზე ბევრი სხვადასხვა პასუხი არსებობს და რაც მთავარია, ყველა ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ის პირობები (მაღალი ხელფასი, ბინის დაპირება თუ სხვა...) დღევანდელი სიტუაციისთვის თუ საკმარისად გვეჩვენება, შესაძლოა, უკვე ხვალ აღარ შეეფერებოდეს დროის მოთხოვნებს და ისევ მოგვიწევს იმაზე ფიქრი, როგორ მივიზიდოთ ხალხი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სამხედრო, მით უმეტეს, ე.წ. „აქტიური შემადგენლობის" წარმომადგენელი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს საჭირო ფორმას და, ადრე თუ გვიან, წავა ჯარიდან, ხოლო თუ კონტრაქტით საჯარიმო სანქციებს გავუმკაცრებთ, სულაც არ მივა ასეთ ჯარში სამსახუროდ.

ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტად უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებაა საჭირო.

მაგალითად, ნატოს წევრ ესპანეთში პროფესიული ჯარი არცთუ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა. მათთანაც პრობლემად ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში მიზიდვა იქცა. ადრე საყოველთაო-სავალდებულო სამსახურის კანონით გადიოდნენ ფონს, ამჯერად კი გაათმაგებული ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ახალგაზრდამ უწყინარ სამოქალაქო ცხოვრებას მკაცრი დისციპლინა და სამხედრო განწესს დამორჩილებული ყოფა ამჯობინოს. თუ ესპანელთა ეროვნულ-ფსიქოლოგიურ თვისებებსაც გავითვალისწინებთ, რომლებსაც „კარგი ცხოვრება" უყვართ და არც დისციპლინით გამოირჩევიან, იბადება კითხვა: როგორ უნდა გახდეს ესპანელი ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი სამხედრო სამსახური?... ახლა კი ბოდიშს მოგიხდით, ძვირფასო მკითხველო, და ესპანური ხასიათის ერთი მცირეოდენი დეტალის გასაცნობად ლირიკულ გადახვევას მივმართავთ. მოვუსმინოთ ხოსე ორტეგა-ი-გასეტის (1883-1955). აი, რას ამბობს გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე თანამემამულეთა ხასიათზე: „თუ უცხოელი ესპანეთში მოგზაურობისას ვინმეს სთხოვს, ესა თუ ის სახლი ან მოედანი მიმასწავლეო, ესპანელი მაშინვე შესთავაზებს სამსახურს, მაგრამ მე ვერაფრით ვიხშობ გულში ეჭვს: მართლა თავის საქმეზე მიეშურებოდა კი ჩემი ძვირფასი თანამემამულე? ადვილი შესაძლებელია, რომ არსადაც არ მიდიოდა, რადგან ესპანელის წინაშე საერთოდ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკვეთება არავითარი მიზანი, არავითარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს. ის მხოლოდ თავისთვის მოსეირნობს ცხოვრების გზაზე და იმედი აქვს, რომ სხვები მაინც შეავსებენ მისი უმიზნო არსებობის სიცარიელეს. მენდეთ, ჩემი თანამემამულეების უმრავლესობა ხშირად მხოლოდ იმ მიზნით გამოდის გარეთ, რომ იქნებ უცხოელს გადაეყაროს და ამა თუ იმ ადგილამდე მიაცილოს იგი".

მოგაგონებთ თუ არა პირინეის იბერიის მკვიდრთა ხასიათი კავკასიის იბერთა თვისებებს, — ამის გადაწყვეტა მკითხველისთვის დაგვითმია. ახლა კი კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდეთ. როგორ უნდა გახდეს ესპანელი ახალგაზრდისთვის მიმზიდველი სამხედრო სამსახური? თუმც საქმე არც ისე ცუდად ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ახალგაზრდობა ჯარში მიდის, რა თქმა უნდა, თუ სიმაღლე უწყობს ხელს (არანაკლებ 155 სმ და არა უმეტეს 203სმ-ისა) და ასაკი (18 წლიდან 23 წლამდე), გარდა ამისა, საჭიროა სათანადო ფიზიკური მონაცემები და ფსიქოლოგიური ტესტის გავლა.

თავის გამოცდა ამ სახელმწიფოს ახალგაზრდა მოქალაქეს სახმელეთო ჯარებში, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო ფლოტში სამსახურისას შეუძლია და როგორც ცხოვრებამ აჩვენა, არავის უნანია ჯარში გატარებული წლები.

„დაამტკიცე, რისი შემძლე ხარ" — ამ სიტყვებს წაიკითხავს თითოეული ახალგაზრდა ესპანელი იმ სამხედრო რეკლამებსა და ბუკლეტებში, რომლებიც მათ სამხედრო სამსახურისკენ მოუწოდებენ.

ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში მიზიდვის საქმეში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდა, რომელსაც საფუძვლად უდევს ესპანელი ახალგაზრდების მორალურ-ფსიქოლოგიური მისწრაფებები და თვისებები.

## ექსტრემალების არმია

ძნელი წარმოსადგენია ახალგაზრდა, რომელიც ექსტრემალური სპორტის ერთ-ერთი ნაირსახეობით არ არის გატაცებული. მეკლდეურობა, პარაშუტით ხტომა, ავტორბოლა ახალგაზრდებში პოპულარული სპორტის სახეობებია. ესპანეთის ჯარში გადაწყვიტეს ამ ფაქტისთვის გვერდი არ აევლოთ და თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

„კლდეზე ცოცვას, პარაშუტით ხტომას და სპეციალური მოძრავი საშუალებების მართვას თუ ისწავლი... ყოველივე ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება გამოიყენო, ერთი სიტყვით — სირთულეების გადალახვა გაგიადვილდება", — ვკითხულობთ სახმელეთო ჯარების სააგიტაციო-სარეკლამო ბუკლეტში. აქვე ნათქვამია, რომ წელიწადში 500 საათის განმავლობაში ახალგაზრდებს გამოცდილი და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები ასწავლიან. გარდა იმისა, რომ სწავლა უფასო იქნება, ჯარისკაცს ხელფასსაც გადაუხდიან. არმია ხომ პროფესიულია.

## აღმოაჩინე ახალი სამყარო...

„შენი მომავალი ღია ზღვაშია!" — მოუწოდებს ახალგაზრდა ესპანელს სამხედრო-საზღვაო ძალების სააგიტაციო-სარეკლამო ბროშურა. ახალგაზრდათაგან ვინ არ მიისწრაფის ჯერაც განუცდელი სიახლეებისკენ? ეს ფაქტორიც ინტენსიურად გამოიყენება სააგიტაციოდ. „თუ მოგზაურობა გიტაცებს, გსურს ახალი ქვეყნებისა და კულტურების გაცნობა, თუ გსურს შეიგრძნო სივრცის ნამდვილი მაგია, — უკიდეგანო ზღვა შენი ოცნებების განხორციელების არეალია" და იქვე დამატებულია: სამხედრო-საზღვაო ფლოტი თავგადასავლებითაა სავსე, ჩვენთან სამსახურისას თქვენ შეიძენთ უნიკალურ გამოცდილებასა და განიცდით ემოციათა უზღვავ რაოდენობას. ყოველი დღე შენთვის ახალი აღმოჩენებით იქნება ნიშანდებული"...

## „იმსახურე და დაეხმარე გაჭირვებულებს..."

— ეს სიტყვები ესპანეთის არმიის საინფორმაციო ბროშურების კიდევ ერთი ლოზუნგი გახლავთ — მართლაც, თითოეული ჩვენგანი ხომ საზოგადოებისთვის სასარგებლოდ უნდა ილვწოდეს. გარდა ამისა, მზად უნდა იყოს გაჭირვებაში მყოფთა დასახმარებლად. ესპანეთის არმია კი იძლევა ასეთ შესაძლებლობებს. უკანასკნელ წლებში სახმელეთო ჯარების კონტინგენტმა ჰუმანიტარული დახმარება გაუწია ალბანელ, ბოსნიელ, პერუელ, ჰონდურასელ და ანგოლელ ხალხებს. გარდა ამისა, ესპანეთის არმია უზრუნველყოფს დევნილთა ტრანსპორტირებას, იცავს მათ და ატარებს გასაიარაღებელ ოპერაციებს.

სამხედრო-საჰაერო ძალების ბროშურაში ნათქვამია: „ეს არის სფერო, სადაც მოძრაობა გარდაუვალია". და მაინც, უმთავრესი ამოცანა ეროვნული ტერიტორიის დაცვაა. ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროების საბჭოს ეგიდით სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან მისიებსაც ასრულებენ.

შეგრძნება იმისა, რომ შეგიძლია ად-



ამიანებს დაეხმარო, გადაარჩინო ისინი დაღუპვას, ხშირად ახალგაზრდებს არმიაში სამსახურისკენ უბიძგებს. „თუ მზად ხარ, დახმარების ხელი გაუწოდო მათ, ვისაც ეს სჭირდება, ჩვენი სახმელეთო ჯარები მოგცემს ამ მისიის შესრულების შესაძლებლობას“, – გვაუწყებს ბროშურა.

## აითვისე პროფესია და იშოვე სამსახური

ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რა ძნელია დღეს სამსახურის შოვნა. უმუშევრობა, ტერორიზმთან, ნაციონალიზმსა და ემიგრაციასთან ერთად, ცივილიზებული სამყაროს პირველი პრობლემაა უმუშევართა რიცხვი, რომელთა შორისაც ახალგაზრდობის პროცენტული რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ესპანეთის შეიარაღებულ ძალებს კი აქვს საშუალება ამ მხრივაც დაეხმაროს ესპანელ ჭაბუკებს და ქალიშვილებს. „აირჩიე შენთვის შესაფერისი სპეციალობა. თუ ენერგიული ხარ და მოძრაობა მოგწონს, შეგიძლია აირჩიო ლოგისტიკა, საინჟინრო ხელოვნება, საარტილერიო საქმე და ასე შემდეგ. თუ გაინტერესებს სამეთაურო ან რესურსების მართვის პრინციპები, აირჩიე ადმინისტრაციული მუშაკის პროფესია“, – გვამცნობს სახმელეთო ჯარების საագიტაციო ბუკლეტი. გარდა სავალდებულო დისციპლინებისა, „რომ გაიღრმაონ ცოდნა და გახდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები“, ახალგაზრდებს სთავაზობენ სხვადასხვა სასწავლო კურსსაც. ძალიან ბევრი ეუფლება ისეთ პროფესიებს, როგორიცაა მძღოლობა, სანტექნიკოსობა ან ელექტრიკოსობა და რაც მთავარია, ხელფასიც გარანტირებული აქვს ჯარისკაცს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება, რა თქმა უნდა, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, ხოლო ჯარში სამსახურის დროს მიღებული დიპლომი საშუალო ხარისხის სპეციალური ტექნიკურ-პროფესიული განათლების საბუთად ითვლება, ესე იგი ჯარგამოვლილ ახალგაზრდას სამოქალაქო პროფესია აქვს და შეუძლია იმუშაოს პროფესიის მიხედვით.

„თუ ოდესმე მოინდომებ და დაუბრუნდები სამოქალაქო ცხოვრებას, ჯარში მიღებული გამოცდილება მრავალი პრობლემის დაძლევაში დაგეხმარება და პირიქით, თუ სამხედრო სამსახურს ამჯობინებ, ცხოვრების კარგი პერსპექტივა გადაგეშლება წინ, შენი სამსახური ჰარმონიულად შეუთავსდება სხვა სახის საქმიანობას. მაგალითად, სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებზე სწავლას“, – გვაუწყებს ერთ-ერთი ბროშურა. ცხადია, ბევრს არ სურს მთელი სიცოცხლე არმიაში გაატაროს, მაგრამ სამოქალაქო ცხოვრებაში დაბრუნებას უფრთხის, მაგრამ როგორც ვხედავთ, ისეთ შემთხვევაში, როგორიც ზემოთ აღვიწერეთ, ცხოვრების რეჟიმის შეცვლა უმტკივნეულოდ შეიძლება.

როგორც ჩანს, ესპანეთის არმიის სარდლობამ ახალგაზრდობის მსოფლმხედველობასა და ფსიქოლოგიას შესაფერი გასაღები მოარგო და მათთვის სამხედრო სამსახური მიმზიდველი გახადა.

გარდა იმისა, რომ არმია ესპანელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისთვის რთული სიტუაციებიდან თითქმის ერთადერთი გამოსავალია, უკანასკნელ ხანს ჯარში სამსახური პრესტიჟულიც გახდა.

ისწავლო, საზოგადოებას სარგებლობა მოუტანო, ყოველივეს სანაცვლოდ კი ფულადი ანაზღაურება მიიღო და რაც მთავარია, იმედით უყურებდე მომავალს, დაგვეთანხმებით, მშვენიერი პერსპექტივაა.

სწორად და გულწრფელად მოუწოდებს ერთ-ერთი ბროშურა ესპანელ ახალგაზრდებს: „ნუ ყოყმანობ. აირჩიე შენი გზა, არ გაუშვა ხელიდან შანსი, შენ დიდი მომავალი გელის!“

როგორც ხედავთ, ესპანელებმა მიაგნეს გამოსავალს. ჩვენ თუ მივაღწევთ ამას?

ჩვენი აზრით, ქართველ ახალგაზრდებს ზემოხსენებული ხელფასისა და ბინის გარდა, განათლებისა და რომელიმე პროფესიის მიღების გარანტიაც რომ ჰქონდეთ, ბევრად მეტი მოხალისე გვეყოლებოდა. საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების არარსებობამ უკვე შექმნა კვალიფიციური კადრების კრიზისი. არის უმუშევრების არმია, არის სამუშაო ადგილები, მაგრამ ისინი ერთმანეთს ვერ პოულობენ. დაგვეთანხმებით, არავის გაუხარდება სამსახურში ისეთი დამწყების აყვანა, ვინც საერთოდ არაფერი იცის ავადსახსენებელი „კომპიუტერისა და ცოტაოდენი ინგლისურის“ გარდა. აბა გაიხედ-გამოიხედეთ – ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებსაც კი არაპროფესიონალები, მოყვარულები მართავენ და რა გასაკვირია, რომ ხშირია ავტოავარიები... ეს თვალსაჩინო მაგალითი, თორემ სხვა სფეროებშიც რომ დიდი ჩავარდნაა, ეს უდავოა. შესაძლოა, მავანმა გვისაყვედუროს, სად შეტოპეთო, მაგრამ ჯარი და საზოგადოება ერთმანეთისგან განუყოფელია და რა დაშავდება, თუ ერთიმეორის საკეთილდღეოდ იშრომებენ, ამით ხომ ქვეყანა დარჩება მოგებული...

*თამაზ ჟორჟოლიანი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ხევსურები ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში..."

## ქართველებს პომპეუსის განცვიფრება და აღფრთოვანება დაუმსახურებიათ

ამ ბოლო დროს ზოგიერთ ისტორიკოსს რატომღაც ეჭვი შეეპარა საუკუნეების მანძილზე ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმებით მომხდურთა მრავალათასიანი ლაშქრების დამარცხების ფაქტების სისწორეში. არადა, ამ ფაქტებს უფრო ხშირად სწორედ თავდამსხმელი თუ სხვა მტრულად განწყობილი ქვეყნების მემატიანეები უფრო დაწვრილებით აღნუსხავდნენ, ვიდრე ქართველი ჟამთაღმწერლები. დასაეჭვებელიც რა უნდა იყოს, სამხედრო საქმეში ხომ მთავარია სტრატეგია. თუ ზედმიწევნით შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმას საუკეთესოდ გაწვრთნილი, თუნდაც მცირერიცხოვანი და კარგად შეიარაღებული ჯარის მეშვეობით შეასხამდი ხორცს, რას უნდა შეეშალა ხელი გამარჯვებაში? იქნებ მავანთა დაეჭვებას ხელს ისიც უწყობს, რომ ჯერ კიდევ შეუსწავლელია ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების უამრავი ნიუანსი, რომელთა ერთობლიობა უტყუარ და საინტერესო სურათს შეგვიქმნიდა ჩვენი წინაპრების შესახებ. ვინც რა ეჭვი უნდა გამოთქვას, ფაქტია, ქართველები მართლაც უებრო მეომრები იყვნენ.

ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევრები კობა ჭუმბურიძე, ლევან კიკალიშვილი და კახა ზარნაძე სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებსა და ხალხში დღემდე შემორჩენილი ცოდნის ერთად თავმოყრით ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების შესახებ საერთო სურათის შექმნას ცდილობენ. სპეციალისტების, მკვლევრებისა და ექსპერტების დახმარებით „არსენალი“ შეეცდება მოგაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რა საბრძოლო სკოლები არსებობდა წინათ საქართველოში და რა განაპირობებდა ქართველი მეომრის ღირსებას, რის გამოც მას დამპყრობელი სახელმწიფოების ჯარში დიდი ფასი ჰქონდა.

ქართველი მებრძოლის ძირითად საბრძოლო აღჭურვილობას ხმალი, შუბი, მშვილდი, ოროლი და ლახვარი წარმოადგენდა, მაგრამ იარაღის ამ სახეობათა ნუსხა სრულად ვერ ასახავს იმ არსენალს, რომელთა საშუალებით ჩვენი წინაპრები სამხედრო საქმეს სწავლობდნენ, იწვრთნებოდნენ და გამოცდილებას იძენდნენ. ამიტომაც ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევრები იარაღს მათი დანიშნულების მიხედვით ასე აჯგუფებენ: 1) საჩვევი: ხის საჩვევი, დალაბრა, მშვილდ-კოდალი და სათითე; 2) თამაშობის: ბურთები, ჩოგნები,



კონსტანტინე გამსახურდია კეჭნაობის დროს...

ყვანჭები, რიკები; 3) საზეპელი: მათრახები, შოლტები, უტარო საზეპელები; 4) სათითენი: საცემი, სარაჯავი, სასერი; 5) სატყორცნი: შურდულები, ხრიკეტები, ფილაკვნები; 6) ხის იარაღი: საჯგვერები, კეტისებრი, კომბლისებრი; 7) ისრის სასროლი: მშვილდები, ბოძალები, სასულეები, ისრები; 8) ცეცხლსასროლი: თოფები, ხელთოფები, ქვემეხები ლალუმები; 9) ცივი იარაღი: საცემი, საჩეხი, საძგერებელი, სამკვეთლო; 10) სანადირო: მახეები, ბადეები, რაგვები, ქამანდები, ოშმანდები; 11) საჭურველი: სარქმელნი, ტანსაჭური, ხელსაჭური, ფეხსაჭური; 12) ფარები: დალამფარი, ხიდიანები, უბის, ტყავის, წნული.

ეს გრძელი ჩამონათვალიც არ კმარა ძველი ქართული სამხედრო არსენალის სრულად აღსანუსხავად. მარტო ცივი იარაღის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სამკვეთლო ოთხ სახეობას მოიცავს: მახვილს, ხმალს, სატევარსა და დანას. ეს უკანასკნელი კიდევ ათზე მეტ სახეობად იყოფა, მაგალითად, საყუნელი, წანდელი, შალთი, ურსა, ბებუთი, სათირი ხანჯლიშვილა, აჭარულა და, რაღა თქმა უნდა, თითოეულს თავისი სამხედრო დანიშნულება აქვს.

როგორც მკვლევრები იუწყებიან, საქართველოს სხვადასხვა მხარეში დანასთან დაკავშირებული ტრადიცია და საბრძოლო ტექნიკაც სხვადასხვაა. აღმოსავლეთ მთიანეთში ასაკში შესული მამაკაცი ხმალ-ხანჯალს ახალგაზრდას გადასცემდა და ამის შემდეგ მისი ძირითადი იარაღი დანა ხდებოდა. თუშეთში კი დანა ქალის აღკაზმულობაშიც აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. სასროლად გამიზნულ დანებს დამუშავებისა და გამოყენების მკაცრად გათვლილი წესი ჰქონდა.

დამეთანხმებით, კაცი, რომელიც ჩამოთვლილი და ჩამოსათვლელი არსენალის გამოყენების ცოდნას სრულად ფლობდა, ფრიად საშიში იქნებოდა მტრისთვის. თუნდაც ასი ასეთი კაცისგან შემდგარ რაზმთან შებმა კი სახუმარო არ უნდა ყოფილიყო ნაკლებად ორგანიზებული, რაოდენობით თუნდაც ათჯერ აღმატებული მოწინააღმდეგისთვის. თუნდაც სატევრის ერთ-ერთი სახეობის ხანჯლის ხმარება, ანუ ხანჯლაობა, რად ღირს. სატევრის ძირითადი სახეობებია ხანჯალი, თბილისური გასაშლელი ყამა, ცხემლაიში და ხანჯლისძმა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი სატევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულს განეკუთვნება. ამ დროისთვის სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სწორედ სატევრის ფორმის ფართოპირიან ორლესულ მახვილებს ეკავა, რადგან მასალის სირბილე მოგრძო ფორმის იარაღის დამზადების საშუალებას არ იძლეოდა. შემდგომში, ფოლადის დამკვიდრებასთან ერთად, მახვილიც დაწვრილებულა და სიგრძეში გაზრდილა, მაგრამ მისი წინამორბედი იმდენად სიცოცხლისუნარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი გამომდგარა, რომ კიდევ სამი ათასი წელი უარსებია როგორც დამოუკიდებელ სახეობას და სატევრის სახით მოულწევია ჩვენამდე.

კობა ჭუმბურიძე: „ჩვენ მიერ მოძიებული მასალა, ძირითადად, კავკასიასა და საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილ ხანჯლის ხმარების კულტურას და ტრადიციას ეყრდნობა. საქართველოში არსებობდა ხანჯლით (სატევრით) ბრძოლის არაერთი კუთხური სკოლა, რომლებიც ერთმანეთისგან ორთაბრძოლის წესებით განსხვავდება.

მოძიებულ სახეობათა მსგავსებას განაპირობებს იარაღის მოხაზულობა და სარიტუალო წეს-ჩვეულებანი, რომლებიც თითქმის უცვლელად მოვიდა ჩვენამდე.

მოძიებული ნაირსახეობანი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: თვალახვეულ და თვალხილულ ხანჯლაობად. თვალახვეული ხანჯლაობა, თავის მხრივ, იყოფა ორ ძირითად სახეობად: რკინება ცალ ხელში ხანჯლით, მეორეში — საჩხრიალოთი, ან ორი საჩხრიალოთი, ან ორი ხანჯლით თვალახვეულის რკინება თვალხილულთან (გადმოცემაში შემორჩენილია თვალახვეულის შიშველი ხელებით ან ხელში თავსარქმლის ამარა შერკინება თვალაუხვეველ, შეუიარაღებელ მეტოქესთან.).

თვალახვეული ხანჯლაობა სხვადასხვა სახით ცნობილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და საგანგებო ვარჯიშის გარდა, დუელის ერთგვარ სახესაც წარმოადგენდა. შერკინების სირთულის გამო გამარჯვებულზე იტყოდნენ: ალალი კაცია და ღმერთი იფარავსო. ასეთი შერკინება სახიფათო კი იყო, მაგრამ მებრძოლი, რომელიც რამდენიმე ასეთ განსაცდელს გამარჯვებით გამოივლიდა, მზად იყო ურთულესი სამხედრო დავალების შესასრულებლად, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ საბრძოლო შეტაკებაზე.

განსაკუთრებული სირთულის გამო ამ სახეობაში ადრეული ასაკიდან წვრთნიდნენ ყმაწვილებს. ხანჯლაობაში წვრთნა მიმდინარეობდა წესით მარტივიდან რთულისკენ და თამაშ-თამაშ. დღეისთვის მოძიებულია ხანჯლაობის ასორმოცდაათამდე ილეთი“.

ძველ ქართულ საბრძოლო ოსტატობაზე წარმოდგენას გვიქმნის დღემდე თითქმის სრულყოფილად შემონახული ქართული ფარიკაობის ილეთებიც. მკვლევართა აზრით, ქართული ფარიკაობის უძველესი სკოლის შესახებ მეცნიერულად დამუშავებული მასალები და ექსპედიციებში მოპოვებული ინფორმაცია, რომელშიც ფარიკაობის ძირითადი მონახაზი და საბრძოლო ილეთებია თავმოყრილი, ამ სახეობის აღდგენის საშუალებას იძლევა.

კობა ჭუმბურიძე: — „როდესაც ქართული ფარიკაობის სკოლაზე ვლაპარაკობთ, უნდა გამოვყოთ ხევსურული ფარიკაობა, რომელიც მრავალმხრივ უნიკალური სახეობაა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი მკვიდრი ქართული წარმოშობისაა. ისტორიული წყაროების თანახმად, მთიანეთში უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში იკვეთება ფარიკაობის გამორჩეული ხელწერის ძლიერი სკოლა, რომელსაც რომაელთა განთქმული სარდლის, პომპეუსის განცვიფრება და აღფრ-






ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანჯალი

თბილისური გასაშლელი ყამა



ცხემლაიში



ხანჯლისძმა



სატევარი



თოვანება დაუმსახურებია. ამ სკოლის გამორჩეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლა წარმოებს ძალზე ზუსტი, დახვეწილი მოძრაობებით, ე.წ. მაჯიდან ძალის დაბერტყვით, როცა შემტევი ხელი ფარს უკან არის, რაც თავდამცველს ურთულებს შეტევაზე საპასუხო ქმედების დროულ შერჩევას. ფარიკაობა, თავისი ცხრა ძირითადი დგომის გამო, ძალზე მომჭირნეა დაცვაში და სხარტი შეტევისას, რაც საშუალებას იძლევა ძალის უმცირესი დანახარჯით მიაღწიო შედეგს.

საინტერესო მასალაა მოძიებული მეომართა საკულტო სკოლების შესახებ, რომელთაც „ხატის მეომრებად" მოიხსენიებენ. ისინი წინასწარ შეთქმით მიდიოდნენ ბრძოლაში და მხოლოდ ხატის ან სალოცავის „დავალებით" იბრძოდნენ. „ხატის მეომრების" თემა ცალკე განხილვის საგანია და დიდ ისტორიულ და ანალიტიკურ მასალას მოიცავს.

ხევსურები ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში. წვრთნის წყობა თითქმის უცვლელი სახით შემორჩა მთაში მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე. წვრთნა მეტწილად მიმდინარეობდა საფიხვნოზე, სადაც მამა-პაპისგან ნასწავლ ოსტატობას მკაცრი და პირუთვნელი უხუცესების წინაშე აჩვენებდნენ მომავალი მეომრები.

ბრძოლაში ხევსური იყენებდა როგორც რელიეფს, ასევე ყველა ხელთმოხვედრილ საგანს. ამიტომაც ხევსურული ფარიკაობის სახით მივიღეთ მკაცრად და მკაფიოდ გამართული სახეობაც და ამავე დროს ბრძოლის თავისუფალი სტილიც, რომელიც მებრძოლის გამოცდილებისა და საბრძოლო ვითარების შესაბამისად, ხშირად სრულიად მოულოდნელ განვითარებას პოულობს.

ხევსურული „ჭრა-ჭრილობა" ასევე საბრძოლო შერკინების ნაირსახეობაა. მისთვის დამახასიათებელია „მხარიღლივ დაკვრა." ამ დროს მახვილის დაკვრა ხდება მხარზემოდან მოქნევით, რაც დარტყმის ძალას აასმაგებს. „ჭრა-ჭრილობაში" გვხვდება სხვა ძალოვანი მოქნევაც: „თავშემოვლებული," „მკერდით ჩეხა" და ა.შ.

ზეზელა და ჩამუხვლით კეჭნაობანი საჩვევ-სავარჯიშო დანიშნულებისაა. ეს შერკინებები იმდენად დახვეწილია, რომ გამორიცხავს მებრძოლის დაშავების ალბათობას. ფარიკაობა მიმდინარეობს უკან დაუხევლობის პრინციპით. საერთოდ, ხევსურებს წვრთნის დაწყებიდანვე ჩვევად ჰქონდათ ერთის ორთან ვარჯიში, რათა ყმაწვილი მტრის სიჭარბეს იმთავითვე შეჩვეოდა.

ამ სახეობის ილეთთა ძირითადი ჯგუფებია შეტევის დასწრება და მოგერიება-უკუშეტევა. კეჭნაობისას დიდ ოსტატობად ითვლებოდა მოწინააღმდეგის შეტევისას მისი დასწრებით დაკეჭვნა და ამის შემდგომ მხოლოდ შეტევის მოგერიება. დაკეჭვნა მით მეტად ფასობდა, რაც უფრო მცირე სიღრმე ექნებოდა ჭრილობას. დიდოსტატები მეტოქეს მკლავიდან ხმლით ბალანსაც კი პარსავდნენ. ასევე დიდად ფასობდა ძალის დაზოგვა. ხმლის მეტი ქნევა მშიშრობით არიო, — მოძღვრავდნენ ახალბედებს ოსტატები.

წვრთნა საჩვევი იარაღით იწყებოდა. როცა ჭაბუკი მორკინალი სათანადო ოსტატობას გამოავლენდა, მას საგანგებო წესით გადასცემდნენ „თეთრ იარაღს" — მამისეულ ხმალ-ხანჯალს და ის ოჯახის დამცავ-მარჩენალი ხდებოდა.

წვრთნის მეთოდიკაში ყურადღებას იქცევს „მახვილზე ძალის გატარების" ხერხი, რომლის უცოდინარსაც კაფიით გაკენწლავდნენ ხოლმე: „ხმალ როდი გასრის გალესვით, ხმალს უნდა გაასრევინო..." სახეცვლილებით ეს ხერხი ხმალაობისა თუ ფარიკაობის ყველა სკოლაში გვხვდება. განსხვავებები, ძირითადად, იარაღის მოხაზულობიდან და სახეობიდან გამომდინარეობს და ილეთების დინამიკითა და კუთხის ადათ-ჩვევებით არის განპირობებული.

ჩვენებური სკოლა ხმალზე „ძალის მოდების" რვა წესითა და საბრძოლო ცოდნის თვითმყოფადობით თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება სხვა ცნობილ სკოლებს. საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი ილეთების დიდი მარაგი მეომარს საშუალებას აძლევდა, გამკლავებოდა რიცხობრივად აღმატებულ მტერს და ბრძოლიდან უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოსულიყო.

ჩვენ მიერ მოძიებული ილეთების ერთდროულად მარტივი და ურთულესი მოხაზულობის მოძრაობათა შესაბამისი დასახელებებით აღწერა და სრულფასოვნად გადმოცემა გაცილებით დიდ შრომას მოითხოვს. არადა, თუ ჩვენ თავად არ მივხედეთ, ადრე თუ გვიან (როგორც არაერთგზის მომხდარა) ამასაც სხვა დამფასებელი გამოუჩნდება და დაეპატრონება კიდეც. აკი უთქვამთ კიდეც ჩოქლა კეჭნაობის მნახველ იაპონელ სტუმრებს — ამათ მგონი ამის ფასი არ იციანო".

კობა ჭუმბურიძის აზრით, გულდასმით შესწავლას მოითხოვს ქართული ხმალაობაც. ხმალაობის ოსტატობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ნაჩვენებია ჯერ კიდევ ყმაწვილი ერეკლე მეორის და ლეკთა ბელადის კოხტას შერკინებაში. ისტორიული გადმოცემების მიხედვით, ერეკლე მეფეს ისე სუფთად წაუსხეპია თავი კოხტა ბელადისთვის, რომ „დამაცა, გიაუროო" უკვე თავმოკვეთილს დაუძახია დამარცხებულს.

*ეკა ლომიძე*

საყუნელი



ხანჯლიშვილა



ცილვი



გადიხვადი



წანდელი



რაჭული



ჭიტალანა



ურსა



დანაკი



ბებუთი



# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

## მსტოვრობის მდგომარეობა თამარის გამეფების წინ

გიორგი III-ს მეფობის მეორე ნახევარი, ანუ 1170-1184 წლები, ძალზე დაძაბული იყო. ქვეყანაში არსებულ საგარეო და საშინაო პრობლემებს თან ისიც ერთვოდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტს ვაჟი-მემკვიდრე არ ჰყავდა. გიორგი მეფეს ერთადერთი ქალიშვილი – თამარი უნდა დაესვა მეფედ. ეს იმ პერიოდში მთელ ახლო აღმოსავლეთში უპრეცედენტო ფაქტი იყო. მეფის ამ სურვილს დიდი და ფარული წინააღმდეგობა ჰქონდა როგორც დიდგვაროვანი აზნაურების, ასევე ეკლესიის მხრიდანაც. განსაკუთრებით სახიფათო გიორგი III-ს უფროსი ძმის, დავით V-ს ვაჟის, დემნადემეტრეს სამეფო ტახტზე პრეტენზიები იყო. მით უფრო, რომ მას ზურგს გავლენიანი სიმამრი – ქვეყანაში მეორე კაცი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ივანე ორბელი უმაგრებდა.

1177-1178 წლების სამხედრო ამბოხება მოულოდნელი აღმოჩნდა მეფისთვის. ის მცირე ამალით თბილისთან ახლოს ისვენებდა, როცა კოჯორთან ივანე ორბელმა 30-ათასიანი ჯარი შეკრიბა და მეფის დასატყვევებლად დაიძრა.

თავდაცვისა და უშიშროების მინისტრმა, რომელსაც ჯარი-სპა და მსტოვრები ემორჩილებოდნენ, ხანგრძლივი, ფარული მოლაპარაკებებით შეძლო დიდგვაროვნების გადაბირება და სამხედრო ამბოხების მოწყობა. ამ დროს გიორგი III სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იყო. აჯანყებულთა ბანაკში აღმოჩნდნენ დიდგვაროვანთა უმრავლესობა, ანუ „ყველა ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა სამცხეთა, ჰერთა, კახთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959წ., 18 გვ.). მათი მიზანი სამეფო ტახტზე დემნას აყვანა იყო.

რატომ მიემხრო აჯანყებულებს დიდგვაროვანთა უმრავლესობა? – ამ ფაქტის ანალიზს ქართველი ისტორიკოსები რატომღაც გვერდს უვლიან. ჩვენი აზრით კი ამის მიზეზი ტახტის მემკვიდრის საკითხი უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალის გამეფება არც ისე მიმზიდველი გადაწყვეტილება იყო დიდგვაროვანთა და მღვდელმთავართათვის. მით უფრო მაშინ, როცა ზოგიერთის აზრით არსებობდა მეფობის სხვა კანდიდატიც – დემნა უფლისწული, რომელიც მემატიანის თქმით: „სახე-კეთილი და ყოვლით ხელით მარჯვე და ნასწავლი“ ყოფილა. (დასახელებული წყარო, 18 გვ.)

თბილისში გამაგრებულ გიორგი III-ს ყველაზე მეტად მონასპის სარდალმა, ნაყივჩაღარმა ყუბასარმა უერთგულა, რომელმაც 500 მეომარი მიაშველა განსაცდელში ჩავარდნილ მეფეს. აჯანყებულები კარგად გამაგრებულ პოზიციებზე იერიშის მიტანას ვერ ბედავდნენ და ყოყმანობდნენ. ამით ისარგებლა მეფემ და ჯარის შეყრა დაიწყო. გამრეკელ-თორელი იყო ამბოხებულ დიდებულთაგან პირველი, ვინც მეფესთან გამოცხადდა და პატიება სთხოვა, შემდეგ მას მხარგრძელებმა და სხვებმა მიჰბაძეს. ასე თანდათან დასუსტდნენ ივანე ორბელი და მისი მომხრენი და გაძლიერდა გიორგი III-ს სამხედრო ძალა. მალე მეფემ იქით შეუტია აჯანყებულებს. ისინი კი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და ლორეს ციხეში გამაგრებულიყვნენ. თან იმედგადაწურულებმა საქართველოს დაუძინებელ მტრებს შაჰ-არმენსა და ელდიგუზის ძეს დახმარების თხოვნით შუამავლები გაუგზავნეს. გიორგი მეფემ დაასწრო და ლორეს ციხეს გარშემოერტყა. ამბოხებულთაგან პირველი დემნა უფლისწული გამოვიდა ციხიდან და მეფეს პატიება სთხოვა. შემდეგ კი სხვებიც „გამოასხეს“. გიორგი III სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს: დემნა დაასაჭურისეს, თვალები დასთხარეს და კლდეკარის ციხე-ქალაქის დილეგში გამოამწყვდიეს, სადაც მალევე გარდაიცვალა. ივანე ორბელს თავი მოჰკვეთეს. ასევე სიკვდილით დასაჯეს სხვა მოღალატენიც. დემნა უფლისწულის სიკვდილის შემდეგ საქართველოში სამეფო გვარის მამრობითი შთამომავალი აღარ დარჩა.

გამარჯვებულმა მეფემ ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად სრულიად უგვარო, მაგრამ ერთგული ქვეშევრდომი ყუბასარი დააყენა. სამეფო კარზე ასევე დაწინაურდნენ აფრიდონი, ჭიაბერი, გამრეკელ-თორელი, ყუთლუ-არსლანი და სხვები.

თბილისში დაბრუნებულ გამარჯვებულ მეფეს ახალი მოულოდნელობა ელოდა. აქ მას საეკლესიო კრება დახვდა უკვე მოწვეული, რომელიც ითხოვდა, რომ საეკლესიო ქონებასა და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადი გაუქმებულიყო და ეკლესიის ქონებრივი „შეუვალობა“ მეფეს ძველებურად აღედგინა. სიტუაცია მარჯვედ შეურჩიეს გიორგი მეფეს – ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ქვეყანაში ახალი დაპირისპირება მას ხელს არ აძლევდა. გარდა ამისა, მეფეს ეკლესიისგან თანხმობა და მხარდაჭერა სჭირდებოდა მცირეწლოვანი ქალიშვილის, თამარის ტახტის მემკვიდრედ და თანამოსაყდრედ დამტკიცებაში.

გიორგი III სამართლიანად შიშობდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის ქალიშვილს გამეფებისას დიდი სიძნელეები შეექმნებოდა. ამიტომ იძულებული შეიქნა, ეკლესიისთვის შეუვალობა მიენიჭებინა და საეკლესიო მიწები გაეთავისუფლებინა გადასახადებისაგან. სავარაუდოდ, ამის სანაცვლოდ ეკლესია წინააღმდეგი არ იყო, როცა 1179 წელს მეფემ თამარი თანამოსაყდრედ (თანამეფედ) აკურთხა. ხუთი წელი თამარი გიორგი III თანამეფედ ითვლებოდა. ძნელია იმის თქმა, ამ პერიოდში რამდენად კარგად გაერკვა 13-18 წლის ქალიშვილი სამეფოს მართვის სირთულეებში. ფაქტი ერთია – 1184 წელს გიორგი მეფის გარდაცვალების შემდგომ, რამდენიმე წელიწადს, ქვეყანას რეალურად მართავდნენ თამარ მეფის მამიდა, რუსუდან დედოფალი და მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, იმავდროულად საქართველოს ეკლესიის პირველი პირი მიქაელ მირიანის ძე. ამ ფაქტორმა უარყოფითი გავლენა იქონია როგორც თამარ მეფის პირად ცხოვრებაზე, საკადრო პოლიტიკასა და საერთოდ, ქვეყნის გაძლიერებაზე.

სამწუხარო რეალობა იყო, რომ გიორგი III-ს დროს მსტოვრობის საქმე დაღმავალ გზაზე წავიდა. სამხედრო საქმის მსტოვრები, საგარეო დაზვერვა და შიდაპოლიტიკური დაზვერვა არათუ ვერ გაძლიერდა, პირიქით, მნიშვნელოვნად დაკნინდა. მეფე, როგორც უზენაესი მონარქი, არ ფლობდა ზუსტ და დროულ ინფორმაციას მეზობელ ქვეყნებსა და ყმადნაფიც სამთავროებში მიმდინარე პროცესებზე. ქვეყნის შიგნითაც კი ვერ აკონტროლებდა ჯარში არსებულ სიტუაციას, დიდგვაროვან ხელისუფალთა წრეში სულ უფრო მომძლავრებულ უკმაყოფილებას და საქართველოს ეკლესიის არაერთგვაროვან განწყობილებას. ჯარსა და მსტოვრებს ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ივანე ორბელი, რომელმაც რამდენჯერმე უღალატა საქართველოს და პირადად მეფეს. სწორედ ეს იყო გიორგის მეფობის პერიოდში მსტოვრობის დაკნინების მიზეზი.

ერთგული ყუბასარის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პოსტებზე დანიშვნით გიორგი III ცდილობდა, გამოესწორებინა მდგომარეობა, აღედგინა და განემტკიცებინა პირადი კონტროლი ჯარზე, მსტოვართა ქსელზე, რათა სამეფო ერთმმართველობის ეს მძლავრი ბერკეტები მემკვიდრის – თამარ მეფისთვის გამართული, ერთგული დიდგვაროვნებით დაკომპლექტებული დაეტოვებინა.

ბესიკ ალადაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტურა

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამხედრო დაზვერვა – გრუ, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველო სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისაგან ბევრი კომპონენტით (აქ დადებითიც იგულისხმება და უარყოფითიც) იყო და არის გამორჩეული.

დასაწყისი იხ. „არსენალი“ №5

## რიჰარდ ზორგე – მითი და სინამდვილე

მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ აზიასა და ევროპაში იაპონიისა და გერმანიის წინააღმდეგ მოქმედი რამდენიმე აგენტურული ჯგუფი შექმნა. მათგან ყველაზე შედეგიანი ჯერ ჩინეთში, ხოლო შემდეგ იაპონიაში მოქმედი „რამზაის“, ანუ რიჰარდ ზორგეს აგენტურული ჯგუფი იყო.

20-იანი წლების ბოლოს კომინტერნის სადაზვერვო განყოფილების მიერ გადაბირებული ახალგაზრდა გერმანელი კომუნისტის, მეცნიერისა და ნიჭიერი ჟურნალისტის რიჰარდ ზორგეს სახელი წლების შემდეგ მითური გახდა. მას მიაწერდნენ დაუჯერებელ პროფესიონალიზმს და სიმამაცეს, მისგან კერპი შექმნეს და საბჭოთა დაზვერვის ძლიერების სიმბოლოდ აქციეს. რეალურად კი „რამზაის“ სადაზვერვო საქმიანობა ძალზე „შუქჩრდილიანი“ იყო.

რიჰარდ ზორგე 1895 წელს დაიბადა ბაქოში, მამა გერმანელი, დედა კი რუსი ჰყავდა. ბავშვობაში „იკას“ ეძახდნენ და ეს სახელი შემდეგ წლებშიც შემორჩა. XX საუკუნის დასაწყისში ოჯახი გერმანიაში დაბრუნდა. ზორგე მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა ფეხში, რის გამოც მთელი სიცოცხლე კოჭლობდა. 1925 წელს გაემგზავრა საბჭოთა კავშირში და კომინტერნის სისტემაში დაიწყო საქმიანობა. 1929 წელს საბჭოთა სამხედრო დაზვერვის შეფმა იან ბერზინმა თანამშრომლობა შესთავაზა.

1930 წლიდან ზორგე, რომელიც გერმანელი ჟურნალისტის ლეგენდით მოქმედებდა, ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ჩინეთსა და მანჯურიაში მიავლინეს. 1933 წლის 6 სექტემბერს გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ საკუთარი კორესპონდენტი რიჰარდ ზორგე უკვე ტოკიოში გამოჩნდა. ორ წელიწადში მან ინტერნაციონალური სადაზვერვო ჯგუფი შექმნა.

ზორგეს ჯგუფის უდავო წარმატებად იაპონიაში ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობა უნდა მივიჩნიოთ. „რამზაი“ ტოკიოში გერმანიის საელჩოს ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. ერთხანს საელჩოს პრესატაშეს პოსტიც ეკავა. მეგობრობდა იაპონიაში გერმანიის ელჩთან ეიგენ ოტთან, განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა კი მის მეუღლესთან – ჰელგასთან ჰქონდა. საერთოდ, ზორგე მარჯვედ უთავსებდა ერთმანეთს ამურულ თავგადასავლებს, უგონოდ სმას, მოტოციკლით ჯირითსა და აგენტურულ საქმიანობას. განუწყვეტელი ლოთობის გამო ზორგეს იმდენად მძიმე ავარიები მოუხდა, რომ ექიმებმა, რომ იტყვიან, ხელახლაააწყვეს. საინტერესოა, რომ იაპონიის კონტრდაზვერვამ სულ სათითაოდ გადათვალა „რამზაის“ სატრფოები და პედანტურად დააფიქსირა: იაპონიაში ყოფნის რვა წლის განმავლობაში ზორგეს 40-მდე სხვადასხვა ეროვნების ქალისთვის „გაუკრავს კბილი“.

სწორედ ავანტიურიზმი, უდისციპლინობა და კონსპირაციის ელემენტარული წესების უგულებელყოფა გახდა 1941 წლის შემოდგომაზე მისი სადაზვერვო ჯგუფის ჩავარდნის მიზეზი.

ზორგეს ჯგუფმა საბჭოთა ხელისუფლებას ორი უმნიშვნელოვანესი ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდა, რომელთაგან ერთმა დიდი როლი შეასრულა მოსკოვის გადარჩენაში.

1941 წლის გაზაფხულიდან „რამზაი“ სისტემატურად ატყობინებდა ცენტრს გერმანიის საომარი მზადების შესახებ და უთითებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის სავარაუდო თარიღებს. სხვადასხვა მიზეზის გამო „დიდი ბელადი“ – სტალინი, ზორგესა და სხვა მზვერავების შეტყობინებებს ინგლისის პროვოკაციად მიიჩნევდა და ანგარიშს არ უწევდა.

ზორგეს მეორე შეტყობინება ომში გერმანიის მოკავშირე იაპონიის ჩართვას ეხებოდა. ზორგეს იაპონელმა აგენტებმა შეძლეს უტყუარი ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, რომ 1941 წელს იაპონია საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხმებოდა. ამან საშუალება მისცა სტალინს, შორეულ აღმოსავლეთში დისლოცირებული დივიზიები დასავლეთის ფრონტზე, მოსკოვის გასამაგრებლად გადაესროლა.

რიჰარდ ზორგე 1941 წლის 18 ოქტომბერს დააკავეს, როცა გერმანიის ელჩის მეუღლის ვილიდან გამოდიოდა. იაპონელი გამომძიებლები საკმაოდ კორექტულად ეპყრობოდნენ ზორგეს. არ ყოფილა ცემის ან წამების შემთხვევები. ამის მიუხედავად, ერთ „მშვენიერ“ დღეს „რამზაიმ“ საბეჭდი მანქანა მოითხოვა და... ყველაფერი ჩამოარაკრაკა.

იაპონელები გაოცებული კითხულობდნენ ზორგეს ჩვენებებს, ეცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში მისი ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის სრულიად საიდუმლო ფაქტებს. „რამზაიმ“ პირადი ინიციატივით იაპონიის კონტრდაზვერვას გადასცა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური და სადაზვერვო გადაწყვეტილებების მიღების სქემა, ანუ შიდასამზარეულო; კომინტერნის სადაზვერვო საქმიანობის საიდუმლო დეტალები; იაპონიასა და ჩინეთში საბჭოთა აგენტურის ზუსტი მონაცემები; მოსკოვთან კავშირის შიფრ-კოდები და ა.შ.

ასე რომ, საბჭოთა დაზვერვის კერპმა მოლაყბე დიაცივით გული მოხსნა და მტერს ყველაფერი ჩაუკაკლა. ზორგეს ეს „გმირობა“ სტალინისთვის მალევე გახდა ცნობილი და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ საბჭოთა დიქტატორს თითი არ გაუნძრევია „რამზაის“ დასახსნელად. სამ წელიწადს ელოდნენ იაპონელები საბჭოთა კავშირის წინადადებას, მაგრამ ამაოდ და 1944 წლის 7 ნოემბერს რიჰარდ ზორგე ჩამოახრჩვეს.

## „წითელი ორკესტრი“

დასავლეთ ევროპაში, ომის წინ და ომის დროსაც, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის აგენტურიდან განსაკუთრებული ეფექტიანი მოქმედებებით გამოირჩეოდა ე.წ. „წითელი ორკესტრი“.

მისი შეფი ლეოპოლდ ტრეპერი 1904 წლის 23 თებერვალს დაიბადა პოლონეთში, ებრაელი წვრილვაჭრის ოჯახში. 1918 წლიდან იყო ახალგაზრდული სიონისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი. ექვსი წლის შემდეგ წავიდა პალესტინაში და მალე კომპარტიის წევრი გახდა. 1932 წლიდან საბჭოთა კავშირშია და კომინტერნის სტრუქტურებში ოთხწლიანი საქმიანობის შემდეგ, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის სპეცდავალების შესასრულებლად არალეგალურად იმყოფებოდა ბელგიასა და საფრანგეთში. ლეოპოლდ ტრეპერი 1938 წლიდან სამხედრო დაზვერვის რეზიდენტია ბელგიასა და საფრანგეთში (ოპერატიული ფსევდონიმები: „დომბი“, „ოტო“, „ლეო“). ბრიუსელში შექმნა კომერ-

ცეული ფირმა „კაუჩუკის მეფე“, რომლის საფარქვეშ მთელ ევროპაში მოქმედებდა ანტიჰიტლერული აგენტურული ქსელი. მაგრამ იმის გამო, რომ ფირმის ხელმძღვანელები უმეტესად ებრაელები იყვნენ, ფირმა გესტაპოს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. ტრეპერი იძულებული შეიქნა 1940 წლის 16 აგვისტოს საბჭოთა საელჩოს მანქანით პარიზში გაქცეულიყო. მალე მან გერმანელების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში ლეგალური მოქმედებებისათვის ახალი ფირმა-საფარი, სახელწოდებით – „სიმექსკო“ შექმნა. ორი წლის განმავლობაში აწვდიდა „ოტოს“ სადაზვერვო ჯგუფი მოსკოვს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას. კერძოდ, 1941 წლის გაზაფხულზე კრემლს ჰიტლერის საიდუმლო გეგმის – „ბარბაროსას“ შესახებ შეატყობინეს.

პარიზში რამდენიმე უცხო რადიოსადგურის აქტიური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანიის კონტრდაზვერვას და მათ შეიმუშავეს სპეცოპერაცია სახელწოდებით „წითელი ორკესტრი“. რადიოპელენგატორების მეშვეობით გესტაპომ დაიწყო საბჭოთა მზვერავების ფაქტზე აყვანა. სასტიკი წამების შემდეგ გერმანელებმა სადაზვერვო ჯგუფის ყველა წევრის ვინაობის, კონსპირაციული ბინებისა და პაროლების დადგენა მოახერხეს. 1942 წლის 24 ნოემბერს დააპატიმრეს „ოტო“ და სადაზვერვო ჯგუფი ლიკვიდირებულ იქნა. გესტაპოს ხელში ჩაგდებული რვა რადიოსადგურიდან ექვსმა მუშაობა გერმანელების კონტროლქვეშ განაახლა და მოსკოვში დეზინფორმაციის გადაცემა დაიწყო. თუმცა „ოტომ“ შეუძლებელი შეძლო და ციხიდან მოახერხა მოსკოვის გაფრთხილება ორმაგი თამაშის შესახებ. მეტიც, 1943 წლის სექტემბერში გესტაპოს საკნიდან გაიქცა და საფრანგეთში იმალებოდა. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1945 წლის იანვარში, ლეოპოლდ ტრეპერი მოსკოვში დაბრუნდა, სადაც სიურპრიზი დაახვედრეს – საპატიმრო საკანი ლუბიანკაზე. სამხედრო დაზვერვის ყოფილმა რეზიდენტმა თორმეტი წელიწადი გაატარა საბჭოთა ციხეებსა და სხვადასხვა ბანაკში. მხოლოდ 1957 წელს გაათავისუფლეს და ისიც დაუყოვნებლივ პოლონეთში გაემგზავრა.





რიჰარდ ზორგე (მარცხნივ) და გერმანიის ელჩი იაპონიაში, გენერალ-მაიორი ოიგენი

ლეოპოლდ ტრეპერის პრობლემები ამით არ დასრულებულა. თექვსმეტი წლის განმავლობაში ამაოდ ითხოვდა ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში გამგზავრების ნებართვას. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში კომუნისტური რეჟიმი შედარებით ლოიალური იყო, მას მხოლოდ 1973 წელს დართეს ისრაელში საცხოვრებლად წასვლის ნება, სადაც 1982 წელს გარდაიცვალა.

## საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ავღანეთის ომში

გრუ-ს შესაძლებლობების ნამდვილი გამოცდა ავღანეთის ომში მოხდა. 1979 წლის მაისის დასაწყისში გრუ-ს უფროსის, არმიის გენერალ ივაშუტინის დავალებით პოლკოვნიკმა კოლესნიკმა დაიწყო 154-ე ცალკეული სპეციალური დანიშნულების რაზმის ფორმირება. ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო შემადგენლობა 520 კაცს აღწევდა, რომლებიც იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე საბჭოთა იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. ამ დანაყოფის პირადი შემადგენლობა ნაციონალურ-რელიგიური ნიშნით შეირჩა და მხოლოდ უზბეკი, ტაჯიკი და თურქმენი ეროვნების მუსლიმანი მებრძოლებით დაკომპლექტდა. ამიტომაც ავღანეთის ომის ისტორიაში ეს რაზმი „მუსლიმანური ბატალიონის“ სახელწოდებით შევიდა. მის მეთაურად დაინიშნა მაიორი გალბაევი. ავღანეთის არმიის ფორმაში ეკიპირებული, შესაბამისი ავღანური დოკუმენტებით უზრუნველყოფილი ბატალიონი 1979 წლის 19-20 ნოემბერს Ан-12-ის ტიპის თვითმფრინავებით ბაგრამში გადაიყვანეს, ხოლო მძიმე ტექნიკა (БМП-1 და БТР-60ПБ) Ан-22 „ანტეით“ გადაიტანეს. მუსლიმანური ბატალიონი ქაბულის შემოგარენში, ავღანეთის პრეზიდენტ ჰაფიზულა ამინის რეზიდენციის „გასაძლიერებლად“ (სინამდვილეში კი მისი სასახლის შტურმით ასაღებად) გადაისროლეს.

იმ პერიოდში ავღანეთში რთული შიდაპოლიტიკური ვითარება იყო. პრეზიდენტი ამინი, რომელიც ქვეყნის სათავეში პრეზიდენტ თარაკის ლიკვიდაციის შემდეგ მოვიდა, ძალაუფლების გამყარებას საბჭოთა არმიის დახმარებით გეგმავდა. მისი არაერთი თხოვნა ჯარის შეყვანის შესახებ საბჭოთა პოლიტბიურომ 1979 წლის ბოლოს დააკმაყოფილა. ამინის პიროვნების ირგვლივ სერიოზული დაპირისპირება იყო საბჭოთა ხელმძღვანელობაში. თავდაცვის სამინისტრო და სამხედროები მას უჭერდნენ მხარს, ხოლო კა-გე-ბეს შეფი იური ანდროპოვი ამინის ლიკვიდაციასა და მის ადგილზე ბაბრაქ ქარმალის (რომელიც იმ დროისათვის საბჭოთა საგარეო დაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და ჩეხოსლოვაკიიდან ადევნებდა მოვლენებს თვალს) მოყვანას მოითხოვდა.





იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!
ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი ფასნამატის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდროპოვმა შეძლო ბრეჟნევის დარწმუნება და პოლიტბიურომ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის აუცილებელ წინა პირობად პრეზიდენტ ამინის ლიკვიდაციისა და სახელმწიფო გადატრიალების საიდუმლო გადაწყვეტილება მიიღო.

პრეზიდენტი ამინი ახალ რეზიდენციაში, თაჯ-ბეკის სასახლეში ნებივრობდა თავის მრავალრიცხოვან ცოლებთან და სიზმარშიაც კი ვერ წარმოიდგენდა „რუსი ძმების" ვერაგობას.

საინტერესოა, რომ თავის დროზე სასახლის დაცვის სისტემა საბჭოთა კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს სპეციალისტებმა შეიმუშავეს და მაქსიმალურად გამოიყენეს რთული რელიეფი და ადგილმდებარეობა. სასახლისკენ მიმავალი ერთადერთი სპირალური გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლებოდა, თანაც ზედა წერტილიდან შესაძლებელი იყო გზის სრული გაკონტროლება. ამ ფუნქციას ამინის დაცვის მიერ მიწაში ჩაფლული და კარგად შენიღბული T-55 ტიპის ორი ტანკი ასრულებდა.

1979 წლის 21 დეკემბერს მუსლიმანურმა ბატალიონმა ავღანელებთან შეთანხმებით დისლოკაციის ადგილი – პრეზიდენტ ამინის დაცვის ორ ბატალიონს შორის დაიკავა და შტურმისთვის ფარულ მზადებას შეუდგა. სამხედრო ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ კა-გე-ბეს სპეცდანიშნულების რაზმები – „გრომი" (მეთაური მაიორი სემიონოვი) და „ზენიტი" (მეთაური მაიორი რომანოვი), საერთო ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ ბოიარინოვს ევალებოდა. ოპერაციას კოდური სახელწოდება „შტორმი-333" შეურჩიეს.

ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში ინტენსიური დეზინფორმაციული მუშაობის შედეგად საბჭოთა სპეცსამსახურებმა შეძლეს ავღანეთის პრეზიდენტის პირადი დაცვისა და მისი ერთგული საჯარისო ნაწილების მეთაურთა ყურადღების მოდუნება.

ამინს იმდენად სჯეროდა „რუსი ძმებისა", რომ მხოლოდ საბჭოთა სამხედროებისა და ექიმების რჩევებსა და მკურნალობას ენდობოდა. ამინის ლიკვიდაცია ჯერ მოწამვლით სცადეს. მისმა პირადმა მზარეულმა, უზბეკი ეროვნების კა-გე-ბეს აგენტმა, 27 დეკემბერს სცადა ამინის, მისი ოჯახის წევრებისა და სტუმრების მოწამვლა. ავღანეთის პრეზიდენტი და მისი ახლობლები მხოლოდ შეუძლოდ შეიქნენ და სასწრაფოდ ექიმები გამოიძახეს. ამიტომაც იყო, რომ შტურმის მომენტში ამინთან საბჭოთა მედპერსონალი იმყოფებოდა. ექიმებმა, რომლებმაც ოპერაციის შესახებ არაფერი იცოდნენ, შეძლეს ამინისა და სხვა მოწამლულების გადარჩენა. შემდეგ, შტურმის დროს, ერთ-ერთი საბჭოთა ექიმი, პოლკოვნიკი კუზნეჩენკოვი, სპეცდანიშნულების რაზმის ნასროლი ბრმა ტყვიით გარდაიცვალა.

საბჭოთა სპეცსამსახურებს ხელთ ჰქონდათ რეზიდენციის დეტალური გეგმა (ოთახებისა და კომუნიკაციების განლაგება), აგრეთვე ზუსტი ინფორმაცია დაცვის რაოდენობისა და საცეცხლე წერტილების განლაგების შესახებ.

შტურმის წინ სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებს პოლიტსწავლებები ჩაუტარეს და ეჭვის გასაფანტავად „საიდუმლოდ" გაანდვეს, რომ პრეზიდენტი ამინი ავღანელი ხალხის მოღალატე და „ამერიკის აგენტი" იყო, ამიტომაც მისი და მისი ოჯახის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირის „ინტერნაციონალური ვალი" გახლდათ. ეს ვერსია სპეცდანიშნულების რაზმელების ღიმილს იწვევდა და მათ კონტრკითხვაზე: თუ ამინი ამერიკის აგენტია, მაშინ საბჭოთა ჯარების შემოყვანას რატომ ითხოვსო, საბჭოთა კომისრები პასუხს ვერ პოულობდნენ.

შტურმი 1979 წლის 27 დეკემბერს, საღამოს დაიწყო. პრეზიდენტი ამინი და ავღანელი სამხედროები კარგა ხანს ვერ იჯერებდნენ, რომ მათ „რუსი ძმები" დაესხნენ თავს. კავშირგაბმულობის არხების მწყობრიდან გამოყვანის გამო, რაც კა-გე-ბეს სპეციალისტებმა შტურმამდე ნახევარი საათით ადრე მოახდინეს, ამინმა ვერ შეძლო დახმარების გამოძახება. ყველაფერი 43 წუთში დამთავრდა. ამინი და მისი ოჯახის წევრები, მათ შორის ხუთი და რვა წლის ვაჟები, დაუნდობლად ამოჟლიტეს.

საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმშიც იყო მსხვერპლი, რაც ავღანელების „დამსახურებას" ნამდვილად ვერ მივაწერთ – სიბნელეში საბჭოთა სამხედროები თავად ხოცავდნენ ერთმანეთს.

ავღანეთში სახელმწიფო გადატრიალებისა და ამინის ლიკვიდაციის გეგმა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ამის შესახებ საბჭოთა ელჩმა ავღანეთში და გრუ-ს რეზიდენტმა მხოლოდ მეორე დღეს – 28 დეკემბერს, უკვე მომხდარის შემდეგ შეიტყვეს.

საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში აღმოჩნდა ის საბედისწერო ნაბიჯი, რომელმაც დააჩქარა საბჭოთა იმპერიის დანგრევა.

## საბჭოთა (რუსეთის) სამხედრო დაზვერვა 1990-2006 წლებში

ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ სამხედრო დაზვერვისა და მისი სპეცდანიშნულების რაზმის მოქმედებების არეალი საბჭოთა კავშირის ტერიტორია და დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების „მორჯულება" გახდა. დადასტურებული ფაქტია, რომ იმ პერიოდის ყველა ტრაგიკული მოვლენა – თბილისში, ბაქოში, ვილნიუსსა და რიგაში სამხედრო დაზვერვის სპეცდანიშნულების რაზმის უშუალო მონაწილეობით მოხდა. ისინი უწყობდნენ ხელს აგრეთვე ყარაბაღის ომის ესკალაციას და აზერბაიჯანისომხეთს შორის მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას.

საბჭოთა კავშირის დაშლის აგონიური პროცესები სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. 1991 წლის ბოლოსათვის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმის 13 ბრიგადა (12 სახმელეთო და ერთი საზღვაო) იყო. ამათგან 10 იმ ყოფილ რესპუბლიკებს დარჩათ, რომელთა ტერიტორიაზეც იყვნენ დისლოცირებული (მათ შორის 4-4 რუსეთს და უკრაინას, 1-1 ბელორუსსა და უზბეკეთს), ხოლო სამი ბრიგადა დაიშალა.

რუსეთის ოთხი ბრიგადიდან 1994 წელს ორი გრუ-დან საჰაერო-სადესანტო ჯარებს გადაეცა. ამჟამად სამხედრო დაზვერვის დაქვემდებარებაშია 16-ე (დისლოკაციის ადგილი რიაზანის ოლქი, ქალაქი ჩუჩკოვო) და 22-ე (მოსკოვის ოლქი, ქალაქი კუბინკა) ბრიგადები.

კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ასევე სამოქალაქო ომი მათ მიერ იყო პროვოცირებული. საბრძოლო და სადაზვერვო-დივერსიულ ოპერაციებსაც ისინი გეგმავდნენ და ატარებდნენ.

გასულ წლებში რუსეთის სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმი უშუალოდ მონაწილეობდა გროზნოს, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.

2000 წლის 24 ოქტომბერს მოსკოვში დიდი პომპეზურობით აღნიშნეს სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმის შექმნის 50-ე წლისთავი. თუმცა ბოლო პერიოდში მოსკოვში, ბესლანსა და ნალჩიკში მომხდარი ტერაქტები და ჩეჩნეთში პერიოდული სამხედრო შეტაკებები ადასტურებს, რომ ზეიმი ჯერ ნაადრევია.

## გრუ საქართველოში

1957 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა 43-ე სპეციალური დანიშნულების ბატალიონი და მისი დისლოკაციის ადგილად კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – ლაგოდეხი შეირჩა. ექვსი წლის შემდეგ ამ ბატალიონის ბაზაზე კადრირებული სპეცდანიშნულების ბრიგადა შეიქმნა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმის ყველა ოპერაციაში.

1980 წლის 29 თებერვალს ლაგოდეხში დისლოცირებული მე-12 ბრიგადის შემადგენლობაში შეიქმნა 173-ე სპეცდანიშნულების ცალკეული რაზმი, რომელიც ავღანეთში 1984 წელს შეიყვანეს. 1988 წლის ნოემბერში, ავღანეთიდან გამოყვანის შემდეგ, მისი დისლოკაციის ადგილად როსტოვის ოლქი განისაზღვრა. ეს დანაყოფი უშუალოდ მონაწილეობდა თბილისსა და ბაქოში მშვიდობიანი დემონსტრაციების სისხლიან დარბევაში, ყარაბაღის ომში, ოსეთ-ინგუშეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტსა და ჩეჩნეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში.

საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლამდე ლაგოდეხის მე-12 ბრიგადა ფორმალურად თუ არსებობდა – რუსეთმა თითქმის მთლიანად გაიტანა შეიარაღება, ხოლო პირადი შემადგენლობიდან დარჩენილი იყო მხოლოდ დაცვის უზრუნველყოფის ასეული.

საბჭოთა კავშირის დაშლის დროს რუსეთის სამხედრო დაზვერვის მოქმედებების არეალმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ გრუ-ს სპეცდანიშნულების რაზმები მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მიერ პროვოცირებულ ყველა ოფიციალურ შეიარაღებულ კონფლიქტსა და ჩატარებულ ფარულ სპეცოპერაციაში.

ეს სპეცსამსახური და მისი სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ და ჩატარებულ როგორც ღია, ასევე მრავალ ჯერ კიდევ გაუხმაურებელ სპეცოპერაციაში.

კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობა, სამოქალაქო ომი მათი პროვოცირებული იყო. საბრძოლო და სადაზვერვო-დივერსიულ ოპერაციებსაც ისინი გეგმავდნენ და ატარებდნენ.

1993 წლის იანვარში, როდესაც რუსეთმა ბრიგადის ოფიციალურად გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, საწყობებში 300-მდე ავტომატი და ტყვიამფრქვევი, ცოტაოდენი ტყვია-წამალიღა იყო დარჩენილი. მიუხედავად ამისა, რუსმა სამხედროებმა იარაღის საქართველოსთვის გადაცემაზე უარი განაცხადეს და 1993 წლის იანვრის დასაწყისში ცხრა სატვირთო ავტომანქანით ვაზიანის სამხედრო საწყობებში გადატანა მოინდომეს. რუსეთის ოფიციალური ვერსიით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებმა იარაღის მუქარით შეძლეს იარაღისა და საბრძოლო მასალების ხელში ჩაგდება. მაშინვე გავრცელდა მეორე, უფრო სარწმუნო ვერსიაც იმის შესახებ, რომ რუსმა სამხედროებმა, კერძოდ კი, კარგად ცნობილმა ბეპაევმა იარაღი დიდ ფულად მიჰყიდეს კიტოვანს და შეიარაღებული დაპირისპირება მხოლოდ ორივე მხარის მიერ გათამაშებული სპექტაკლი იყო. იმ პერიოდში აფხაზებიც შეუფერხებლად იღებდნენ იარაღს რუსეთისაგან, ხშირად უფრო თანამედროვეს და სრულიად უფასოდ. აი, ამგვარი მეთოდებით ცდილობდა რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებას და მის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდას, რასაც სამწუხაროდ მიაღწია კიდეც.

საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელების მტკიცებით, გრუ-ს დივერსიული სპეცრაზმების ხელი ურევია 2005 წლის თებერვალში გორში მომხდარ ტერაქტში, როდესაც სამი კაცი დაიღუპა.

2006 წელს კი ელვის უსწრაფესად განვითარებულმა „მზვერავების სკანდალმა", რაც საქართველოში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოთხი ოფიცრისა და რამდენიმე მათი ადგილობრივი აგენტის დაკავებამ გამოიწვია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაამწვავა. ყველა სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება, დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოება. რუსეთის ხელისუფლებას კი რატომღაც მიაჩნია, რომ მისმა სპეცსამსახურებმა და აგენტურამ აქტიურად, ძალზე აგრესიულად და, რაც ყველაზე გასაკვირია, დაუსჯელად უნდა იმოქმედონ საქართველოში. მეორე საკითხია, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრების დაკავების, მტკიცებულებების ამოღებისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესები და პროცედურები ნამდვილად არაპროფესიონალურად ჩაატარეს საქართველოს სპეცსამსახურებმა. ამ მხრივ უფრო კარგი შედეგები მათ აზერბაიჯანელ კოლეგებს ჰქონდათ.

## გრუ-ს მოქმედებები კავკასიაში

გრუ უწყობდა ხელს ყარაბაღის ომის ესკალაციას და აზერბაიჯან-სომხეთს შორის მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას. დადასტურებული ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიაში, იმ პერიოდში მომხდარი ყველა სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე სამხედრო დაზვერვა იყო. აზერბაიჯანში ელჩიბეის ეროვნული ხელისუფლების ალიევით, ხოლო საქართველოში გამსახურდიას – შევარდნაძით ჩანაცვლებას რუსეთის სპეცსამსახურები, უპირველესად კი გრუ ხელმძღვანელობდა. რუსეთის პრეზიდენტად ყოფილი კა-გე-ბეს თანამშრომლის პუტინის დანიშვნის შემდეგ რუსეთ-აზერბაიჯანის და რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები დათბა. პუტინი რამდენჯერმე ეწვია ბაქოსა და ერევანს, ალიევიც ჩადიოდა მოსკოვში. უეცრად ამ იდილიურად „მოწმენდილ ცაზე" სეტყვის ღრუბლები გაჩნდა –2002 წლის ივლისში აზერბაიჯანის უშიშროების ორგანოებმა დააკავეს ამ ქვეყნის სამი მოქალაქე: სეიარ ახუნდოვი (პროფესიით მძღოლი), სერგეი ნამაზოვი (მატარებლის მემანქანე, ყარაბაღის ომის მონაწილე) და მუბარაზ ახუნდოვი (უმუშევარი). მათ ბრალად ედებოდათ რუსეთის სამხედრო დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობა და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება-გადაცემა. სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ მათ გარდა დააკავეს რუსეთის გრუ-ს რამდენიმე თანამშრომელიც, მაგრამ თვით ფაქტი და მათი ვინაობა, ალიევის გადაწყვეტილებით, არ გახმაურებულა. ის სპეცსამსახურების დაუწერელი კანონებით მოქმედებდა და ამ კოზირს რუსეთთან მომავალი პოლიტიკური ვაჭრობისთვის ინახავდა.

ფარული დაპირისპირება რამდენიმე თვე გრძელდებოდა. გარეგნულად ორივე მხარე არაფერს იმჩნევდა. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები რამდენჯერმე ეწვივნენ ბაქოს. რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, ქართველი ძალოვნების „ყონაღმა", ერთ დროს ყოვლისშემძლე ვლადიმირ რუშაილომ სულ ხელები და წარბები ასავსავა – რა სამხედრო დაზვერვა და რისი რუსეთი, ეგენი აზერბაიჯანის მოქალაქენი არიან და საცოდავებს გრუ გაგონილიც არ ექნებათო. მოკლედ, სულ ცხარე ცრემლები ღვარა. სინამდვილეში კი გამალებული ფარული მოლაპარაკებები მიდიოდა ალიევთან. თუმცა აღმოსავლეთის „ბებერმა მგელმა" არაფერი დათმო. გრუ-ს ოფიცრები უხმაუროდ კი გააძევა ქვეყნიდან, მაგრამ აზერბაიჯანის მოქალაქეთა სასამართლო პროცესის გამართვა და რუსეთის შპიონაჟში მხილება მაინც არ გადაიფიქრა.

## გრუ-ს ჯაშუშები განსასჯელთა სკამზე

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ რუსეთის სპეცსამსახურები დასაყრდენს სოციალურად გაჭირვებულ ფენებში პოულობენ.

ასე იყო ბაქოში, ასეა თბილისში და სხვაგანაც. ამგვარი მიდგომა რუსეთის ბიუჯეტს კი ზოგავს, მაგრამ აგენტების საიმედოობაზე რა მოგახსენოთ. ფულს უფრთხილდებიან, მაგრამ ნათქვამია, ძუნწი ორჯერ იხდისო.

2003 წლის 24 თებერვალს ბაქოში სასამართლო პროცესი გაიმართა. საქმის განხილვის დახურული რეჟიმის მიუხედავად, მსმენელისთვის ბევრი რამ გახდა ცნობილი. სამივე ბრალდებულმა აღიარა დანაშაული. დადგინდა, რომ ისინი გრუ-ს ერთ-ერთი დანაყოფის, რუსეთის კასპიის ფლოტილიის სამხედრო-სადაზვერვო ორგანოს თანამშრომლებმა გადაიბირეს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე. ორიოდე... 

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ბესიკ ალადაშვილი

# მოძველებული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადეგი ДШК

**მსხვილკალიბრიანი ДШКМ „ხანდაზმულობის" მიუხედავად, დღესაც მიაგნებდა თავდამსხმელ შვეულმფრენებს ზემო აფხაზეთის თავზე**

წლების განმავლობაში გრძელდება ქართული მიწის საჰაერო დაბომბვა, ჩვენი ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, აგრესორს საკადრის პასუხს ვერ სცემს და ამიტომ ბევრი ჩვენი მოქალაქე ცდილობს თავისი ნააზრევითა და ნაფიქრალით დაეხმაროს ქვეყანას. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ დასანანია, რომ ზოგიერთი არათუ არაკომპეტენტური, არამედ არაკორექტულიც არის.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ზოგიერთებმა გაამასხარავეს ჩვენივარაუდი იმის თაობაზე, რომ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების დროს კოდორის ხეობის მაღალ წერტილებში მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევების ДШК-ების (და მისი მოდერნიზებული ვარიანტის ДШКМ-ის) დაყენება გარკვეულწილად უზრუნველყოფდა ხეობის ქართული სოფლების დაცვას საჰაერო თავდამსხმელებისგან. კარგად ვიცით, რომ 1938 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მიღებული 12,7 მმ კალიბრიანი ДШК-ი მისი შექმნიდან 70-ე წლისთავზე მორალურად მოძველებულია და ზემო აფხაზეთში უფრო თანამედროვე საზენიტო სისტემების განთავსება სჯობდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოს ხელი აქვს მოწერილი იმ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც გვიკრძალავს უფრო მძლავრი იარაღის სახეობების შეტანას ზემო აფხაზეთში. ასე რომ, იქ ვერც ОСА-ს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს შეიტან და ვერც ШИЛКА-ს დააყენებ. ეს კი არა და, უფრო კომპაქტური საზენიტო დანადგარიც ЗУ-23-2-იც კი „ყვირილს" იწყებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხეობაში საპატრულო შემოვლებს ატარებს გაეროსა და რუსი ცისფერჩაფხუტიანების ჯგუფი. მოსკოვსა და სოხუმს ერთი სული აქვთ, რაიმე საბრძოლო ტექნიკა ნახონ ჩხალთაში თუ აჟარაში, რომ მაშინვე გაეროს ბოლო რეზოლუციის დარღვევა დაგვაბრალონ.

არადა რუსული შვეულმფრენები და აფხაზური „გრადები" ბომბავენ ქართულ სოფლებს და მათ საკადრისი პასუხის გაცემა სჭირდება.

ამ შემთხვევაში ყველაზე მისაღები, რა თქმა უნდა, მეტრ-ნახევარი სიგრძის Стрела-2М და Игла-ს ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებია, რომელთა გადამალვა და შენიღბვა უფრო ადვილია, მაგრამ ამ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსე-



ДШКМ-ი 1946 წლიდან იწარმოებოდა და იგი მსოფლიოს 40 ქვეყნის შეიარაღებაში დღესაც არის.



T-54, T-55 და T-62 ტიპის ტანკების კოშკურებზე ДШКМ ტიპის საზენიტო ტყვიამფრქვევებია დაყენებული.

ბიდან ყველა ვერ გაისვრის. მსროლელებს სპეციალური მომზადება სჭირდება, არადა ნუ დაგვავიწყდება, რომ ზემო აფხაზეთში თავდაცვის სამინისტროსი კი არა, შსს-ს პოლიციური დანაყოფები დგანან. თანაც ღამით „სტრელის" სროლა ძნელია, რადგან მსროლელს (ღამის ხედვის მოწყობილობის გარეშე) უჭირს მფრინავი ობიექტის აღმოჩენა. გარდა ამისა, „სტრელებისა" და „იგლების" ძვირად ღირებული საზენიტო რაკეტების რიცხვი საკმაოდ შეზღუდულია, ახლების ყიდვა კი თითქმის შეუძლებელი, რადგან მოსკოვიც და ვაშინგტონიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან მათ ექსპორტს.

ДШК-ს მსხვილკალიბრიან საზენიტო ტყვიამფრქვევზე არჩევანი („სტრელებისა" და „იგლების" შემდეგ) იმიტომ შეჩერდა, რომ ამ ტიპის ტყვიამფრქვევი საკმაოდაა დარჩენილი ქართული არმიის საწყობებში და არც 12,7 მმ კალიბრის ვაზნების სიმცირეს განვიცდით. გარდა ამისა, Т-55 ტიპის ტანკების კოშკურებზე სწორედ ДШКМ ტიპის საზენიტო ტყვიამფრქვევებია დაყენებული. ამ ტანკების დიდ ნაწილს დაჭრასა და ჯართში ჩაბარებას უპირებდნენ (რამდენად სწორია, ეს სხვა საქმეა). იმედია, ДШКМ-ებსაც ჯართს არ გაატანენ...


ვიწროთვალება ვიეტნამელი მეზენიტე ქალები დიდი წარმატებით იყენებდნენ საზენიტო ДШК-ებს ამერიკული რეაქტიული თვითმფრინავების წინააღმდეგ

მეორე მსოფლიო ომის წინ შექმნილი საზენიტო ტყვიამფრქვევი, თუნდაც მსხვილკალიბრიანი, რა თქმა უნდა, ველარ იქნება ეფექტიანი რეაქტიული თვითმფრინავების წინააღმდეგ, რომელთა სიჩქარე 1000 კმ/სთ-ს აღწევს და აჭარბებს კიდეც. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი შვეულმფრენები 250-300 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავენ, ე.ი. უფრო ნელა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბდამშენი თვითმფრინავები, აქედან გამომდინარე, ვით-

ამ ფოტოზე ღამის ფრენებისთვის მოდერნიზებული რუსული საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24ПН-ია აღბეჭდილი. 11 მარტის ღამეს ზემო აფხაზეთში მართულმა რაკეტა Атака-მ ან მის მაგიერმა შვეულმფრენმა ისროლა დიდი სიზუსტით. მისი ჩამოგდება სითბური დამიზნების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით (Стрела-2М ან Игла-1) ძნელია, რადგან ამ შვეულმფრენს (ისევე როგორც სხვა Ми-24-ებსაც და Ми-8-ებსაც) უყენდება სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების მოსაგერიებელი სამი სისტემა.

პირველი: ეს არის შვეულმფრენის ძრავების საქშენებზე დასაყენებელი სპეციალური ეკრანები, ე.წ. ყურები. ძრავის საქშენიდან გამოსული გახურებული აირი შედის ყურებში, სადაც მას ერევა შემხვედრი ჰაერის ცივი ნაკადი და ამის შემდეგ შედარებით გაცივებული აირი აიტყორცნება ზემოთ, სადაც მას მბრუნავი ხრახნი ფანტავს. „სტრელის" ინფრაწითელი დამიზნების მოწყობილობას უჭირს ძრავებიდან გამომავალ აირის ნაკადზე მიყოლა, რადგან ეკრანები 2-3-ჯერ ამცირებენ ძრავების სითბურ ფონს.

მეორე თავდაცვით საშუალებას „პასიური შეფერხების ავტომატი" – АСО-2В წარმოადგენს. მისი კონტეინერები შვეულმფრენის კუდზე მაგრდება. თითოეულში 32 პიროპატრონა ЛО-56 თავსდება. ისინი გამოსროლისას დიდი ტემპერატურის გამოყოფით იწვიან და თავისკენ იზიდავენ სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტებს.

მესამე და ყველაზე საინტერესოა ოპტიკურ-ელექტრონული შეფერხების სადგური СОП-В1А, რომელსაც ЛИПА-საც უწოდებენ. „ლიპა" შვეულმფრენის რედუქტორის უკან მონტაჟდება და ადგილი შესამჩნევია (მაგალითად, აფხაზეთში მფრენ რუსი ცისფერჩაფხუტიანების Ми-24-ებს „ლიპები" აქვთ დაყენებული). სადგურში მოთავსებულია ქსენონის მძლავრი ნათურა ან ნიქრომის სპირალი. მისი გაცხელებისას გამოყოფილ ინფრაწითელ გამოსხივებას „ლიპას" მბრუნავი ლინზების სისტემა შვეულმფრენის გარშემო ფანტავს. ამ დროს წარმოიქმნება მუდმივად გადაადგილებადი ინფრაწითელი სისტემის იმპულსური ნაკადი, რომელიც იწვევს „სტრელის" დამიზნების სისტემის „დაბნევას", რის გამოც საზენიტო რაკეტა კარგავს დამიზნებითი ფრენის მიმართულებას. გამოცდების დროს „ლიპამ" თითქმის ყველა „სტრელა" „დააბნია", თუმცა „სტინგერის" ბოლო მოდიფიკაციებს, ალბათ, ველარ მოატყუებს (ავღანეთში მოხერხებული პილოტები მიწაზე რთავდნენ „ლიპას" და მასზე კარტოფილს წვავდნენ ან ჩაიდანს ადუღებდნენ!).




ავღანეთის ომში გამოჩნდა, რომ თავდაცვის სამივე სისტემის ერთად ამოქმედების შემდეგ სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების იერიშის 70-85% იშლებოდა, რაც ცუდ შედეგად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კოდორის ხეობის ან ცხინვალის რეგიონში თავდამსხმელმა Ми-24-მა (ან Ми-8МТ) თავდაცვის სამივე სისტემა რომ აამოქმედოს, ძალიან ნაკლები შანსი გვაქვს, რომ Стрела-2М-ით ჩამოვაგდოთ. ასეთ დროს წინა პლანზე გამოდის მართალია მოძველებული, მაგრამ მარტივი ДШК, რომლის ჯავშანგამტანი ტყვიები ათასნაირ „ინფრაწითელ" ეშმაკობაზე არ რეაგირებენ...

ომ რატომ არ უნდა იყოს ეფექტიანი ДШК-დან გახსნილი საზენიტო ცეცხლი თავდამსხმელი შვეულმფრენის ჩამოსაგდებად.

ვისაც სასაცილოდ მიაჩნია ДШК-ის გამოყენება შვეულმფრენების ჩამოსაგდებად, ის ვერ ერკვევა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნიუანსებში და არც უახლოეს ისტორიას იცნობს.

ავღანეთი. 1980 წელი. 13 თებერვალი. ჯალალაბადიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 25 კმ-ის მოშორებით, ჩამოაგდეს საბჭოთა 292-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკის საბრძოლო Ми-24;

– 24 აპრილს მოჯაჰედებმა ДШК-დან გახსნილი ჯერით ქალაქ ღაზნის ახლოს ჩამოაგდეს 50-ე ცალკეული საავიაციო პოლკის კუთვნილი Ми-24Д;

– 5 ივლისს ქაბულიდან 28 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით ჩამოვარდა საბჭოთა Ми-24Д, მას შემდეგ, რაც მას მსხვილკალიბრიანი ДШК-ის ტყვიები მოხვდა;

– აეროდრომ ყუნდუზის ახლოს 17 აგვისტოს ДШК-თი ჩამოაგდეს Ми-24Д;

– 25 აგვისტოს 292-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკის Ми-24В ჩავარდა სურხაბის წყალსაცავის მიდამოებში. მას ავღანელები ДШК-დან ესროდნენ;

– 50-ე ცალკეულმა საავიაციო პოლკმა მეორე Ми-24Д 12 დეკემბერს დაკარგა. ამ შვეულმფრენსაც ДШК-ის ტყვიები მოხვდა;

– 1981 წლის 28 ნოემბერს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის საშუალებით დააზიანეს Ми-24, რომელიც დასახლებული პუნქტის ხანაბადის მახლობლად ჩამოვარდა;

– 1982 წლის 15 იანვარს ДШК-თი დააზიანეს 335-ე პოლკის Ми-24Д, რომელიც შემდეგ მთას შეეჯახა;

– 27 მაისს 280-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკის Ми-24Д ყიშლაყ რუხის მიდამოებში დაეცა ДШК-დან მისი მიმართულებით სროლის შედეგად;

– 11 სექტემბერს გარდეზის აეროდრომთან ДШК-თი ჩამოაგდეს საბრძოლო Ми-24 შვეულმფრენი...

ეს არის ავღანეთის ცაში საბჭოთა საბრძოლო Ми-24-ების ДШК-ის ტიპის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით ჩამოგდების არასრული სია მხოლოდ სამი წლის განმავლობაში (1980-1982წწ). არადა ავღანეთში ომი 1989 წლის თებერვლამდე გრძელდებოდა და სულ საბჭოთა კავშირმა ამ ომში 333 ცალი სხვადასხვა ტიპის (ძირითადად, Ми-24 და Ми-8) შვეულმფრენი დაკარგა. თუკი მარტო 1980-82 წლებში არანაკლებ 12 ცალი შეჯავშნული Ми-24 ჩამოუგდეს მოჯაჰედებმა ДШК-თი საბჭოთა ავიაციას, ადვილი წარმოსადგენია, რომ 1982-89 წლებშიც Ми-24-ების არანაკლებ რაოდენობას ჩამოყრიდნენ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან გახსნილი ცეცხლით.

მეტიც, სწორედ ДШК-დან ნასროლი ტყვიებითაა დაზიანებული და ჩამოგდებული ზებგერითი საბჭოთა გამანადგურებელ-

**ჩვენი დოსიე:** ДШК-დან ნასროლი ჩვეულებრივი ჯავშანგამტანი ტყვია Б-32 100 მ-ში 20 მმ-იან სისქის ჯავშანს ხვრეტს, 500 მეტრში კი 15 მმ-იანს. ჯავშანგამტანი ცეცხლგამჩენი ტყვია БС (რომელიც ვოლფრამის კარბიდისგანაა დამზადებული) 750 მეტრში 20 მმ-იან ჯავშანს ხვრეტს მცირე კუთხით მოხვედრის შემთხვევაშიც კი. ადვილად წარმოსადგენია, რას უზამს ДШК-დან გაშვებული ჯერი Ми-8 ტიპის შვეულმფრენს, ხოლო შეჯავშნული Ми-24-საც ჩამოგდება არ ასცდება, თუკი ეს ჯავშანგამტანი ტყვიები რედუქტორში, მთავარ ხრახნში, ლილვში თუ კუდის ხრახნში მოხვდება. რამდენიმე ჯავშანგამტანი ტყვიის მოხვედრას ვერც Ми-24 ჯავშნიანი საქარე მინა უძლებს...



შედარებისთვის მარცხნიდან:
5.45X39 (АК-74), 7.62X39 (АКМ),
7.62X54R (СВД/ПКМ), 12.7X107 (ДШК),



**ჩვენი დოსიე:** დასანანია, რომ კონფლიქტის ზონაში, ისევე როგორც ზემო აფხაზეთში, არ შეგვიძლია განვათავსოთ 23 მმ-იანი და უფრო დიდი კალიბრის შეიარაღება. ამას მოითხოვს სამშვიდობო ხელშეკრულება. ასე რომ, იგივე ЗУ-23-2-ის ჩხალთაში თუ აჟარაში აღმოჩენის შემთხვევაში, უსიამოვნებები არ აგვცდება. სამაგიეროდ, თავისუფლად შეიძლება განვათავსოთ ზემო აფხაზეთის შემაღლებულ ადგილებზე 12,7მმ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები როგორც ДШК-ის, ისე УТЕС-ის, ან 14.5მმ-იანი КПВ-ს ტიპისა. კოდორის ხეობის ზემო ზონის ლანდშაფტი იძლევა იმის საშუალებას, რომ დღეისათვის მოძველებულად მიჩნეულმა ДШК-ის ტიპის საზენიტო ტყვიამფრქვევებმა მეტ-ნაკლებად ეფექტიანად იმუშაონ მიწიდან თითქმის 2 კმ-ის სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენების წინააღმდეგ. ДШК-დან სროლის ტემპის მაჩვენებელიც ამას ადასტურებს — 600 გასროლა/წუთში და დაახლოებით 44-გრამიანი 12,7მმ კალიბრის ტყვიის საწყისი სიჩქარე — 850-870 მ/წმ-ში.



**ДШК-ის ამერიკული ანალოგი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი Browning M2HB პირველადი სახით აშშ-ის არმიის შეიარაღებაში ჯერ კიდევ 1921 წელს გამოჩნდა. ის დღესაც არის ათობით ქვეყნის არმიის შეიარაღებაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არც ДШК-სა და არც „ბრაუნინგის“ ტყვიამ-ფრქვევებს ჯერ არ ამოუწურავთ თავიანთი შესაძლებლობები.**

ბომბდამშენები Су-17М3-ები: 1983 წლის 18 აგვისტოს (156-ე საავიაციო პოლკის ეს გამანადგურებელ-ბომბდამშენი დაეცა ყანდაარიდან 20 კმ-ში); 1984 წლის 25 მაისს (ДШК-ის მსხვილკალიბრიანი ტყვიების მოხვედრის შემდეგ დეტონაცია განიცადა თვითმფრინავზე ჩამოკიდებულმა საავიაციო ბომბმა და გამანადგურებელ-ბომბდამშენის ნამსხვრევები ცნობილი ფანჯის ხეობაში გაიფანტა); 1985 წლის 16 დეკემბერს (ქ. ბაგრამიდან 67 კმ-ის დაშორებით დაეცა მზვერავი Су-17М3Р, მის ნამსხვრევებსაც ДШК-ის ნატყვიარები ეტყობოდა); 1986 წლის 3 აპრილს (ქ. გარდეზიდან 10 კმ-ზე); 1986 წლის 17 მაისს (ბაგრამიდან 27 კმ-ზე); 1986 წლის 22 ნოემბერს (ბაგრამიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით); 1987 წლის 19 ივნისს (ყანდაარიდან დასავლეთით 75 კმ-ში) და ა.შ. არც ეს არის ზებგერითი Су-17-ების ДШК-თი ჩამოგდების სრული სია.

ДШК-ი საკმაოდ დიდი საფრთხე შეიქნა ავღანეთის ცაში პირველად გამოჩენილი მოიერიშე Су-25-ებისთვის, რომლებიც თბილისის საავიაციო ქარხანაში იწყობოდა. ქარხნის ასობით სპეციალისტი იმყოფებოდა ავღანეთის ომის დროს ამ ქვეყნის აეროდრომებზე და მათ კარგად იციან, რამდენი Су-25 ჩამოაგდეს და დააზიანეს ДШК-დან გახსნილი ცეცხლით.

ამ სტატიის ავტორი ჩეჩნეთში არაერთხელ ყოფნისას თავად დარწმუნდა, როგორ ეფექტიანად იყენებდნენ ჩეჩენი მებრძოლები ДШК-ებს შენიღბული საცეცხლე პოზიციებიდან რუსული შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების დასაზიანებლად. ყველაზე ადრე კი ვიეტნამის ომში ჯუნგლებში ჩამალული ДШК-ებიდან გახსნილი საზენიტო ცეცხლით ვიეტნამელ პარტიზანებს არაერთი ამერიკული „ფანტომი“, „სკაიჰოკი“ თუ „იროკეზი“ ჩამოუგდიათ.

მგონი, ეს ჩამონათვალი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ДШК-ის მეტ-ნაკლებად ეფექტიანად გამოყენება დღესაც შეგვიძლია, ან რითი ჩამორჩებიან ქართველი ოფიცრები ვიეტნამელ პარტიზნებს, ავღანელ მოჯაჰედებს თუ ჩეჩენ მწყემსებს, მით უმეტეს, რომ დღეს ქართულ მიწას სწორედ ისეთივე დაჯავშნული Ми-24 და Су-25-ები ბომბავენ, როგორებსაც ავღანეთსა და ჩეჩნეთში ყრიდნენ.

ზემო აფხაზეთში არის რამდენიმე ისეთი შემაღლებული ადგილი, სადაც შეიძლება ДШК(ДШКМ)-ებით გათვლების მალულად დაყენება. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია სასროლად გამზადებულ ტყვიამფრქვევებს დღედაღამ მეზენიტეები უსხდნენ. ამიტომაც უპრიანი იქნებოდა ხეობაში, შესაფერის ადგილას, მობილური, მცირეგაბარიტიანი რადიოლოკაციური სადგურის დაყენება (იმედია, ამაში ხელს ვერ შეგვიშლიან ვერავითარი რეზოლუციებით), რომელიც დროულად ატეხს განგაშს საჰაერო სამიზნეების მოახლოებისთანავე და „სტრელებს“, „იგლებსა“ და ДШК-ების მსროლელებს 3-5 წუთი ექნებათ საჰაერო თავდამსხმელების საკადრისად დასახვედრად.

*ირაკლი ალადაშვილი*

## მცირე სტატისტიკური ექსკურსი:

– 1980-82 წ.წ. ავღანეთში ჩამოგდებული 15 საბჭოთა Ми-24-დან 12 ცალი მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებზე მოდის.

– ავღანეთში 1985 წელს Ми-8 ტიპის შვეულმფრენებმა საბრძოლო დანაკარგი შემდეგი საზენიტო საშუალებებისგან მიიღეს:

6% – გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები

27% – ხელის ცეცხლსასროლი იარაღი

27% – საზენიტო-სამთო დანადგარები

40% – მსხვილკალიბრიანი ДШК-ის საზენიტო ტყვიამფრქვევები

– ДШК-ის შიშით Ми-24-ის ეკიპაჟი 2000მ-ზე მაღლა ფრინდება, სადაც მას 12,7 მმ-იანი ტყვიები ბევრს ველარაფერს დააკლებს, სამაგიეროდ მაღალ სიმაღლეზე შვეულმფრენი რადიოლოკაციური სადგურის მხედველობის არეში ექცევა და, შესაძლოა, რადიოლოკაციური დამიზნების საზენიტო რაკეტის ლუკმა გახდეს.

### ჩეჩნეთის ომის ქრონიკა

– 1995 წლის 5 მაისს ჩეჩნეთში ДШК-ის ჯერით ჩამოგდებულ იქნა რუსული Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი. მსხვილკალიბრიანმა ტყვიებმა გახვრიტა პილოტის კაბინის ბლისტერის გვერდითა შეუჯავშნელი მინა. პილოტი ჰაერშივე დაიღუპა.



– 1995 წლის 30 მაისს, სადაზვერვო ფრენის დროს, ДШК-ის ცეცხლით ჩეჩნებმა დააზიანეს რუსული Ми-24, რომელმაც ავარიული დაშვება მოახდინა. შვეულმფრენი საფრენად უვარგისი გახდა და ჩამოწერეს. ჩეჩნეთის ომის პირველ წელს (1994-95წ.წ.) რუსეთმა 14 შვეულმფრენი დაკარგა: 7 Ми-24 და 7 Ми-8. მათი უმეტესობა ДШК-თი ჩამოაგდეს.

# თურქული „ბარბაროსები" შავ ზღვაში



## გერმანული პროექტის ფრეგატები თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში

თურქეთი ბოლო დროს დიდ ყურადღებას აქცევს სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებასა და მოდერნიზებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თურქეთის რესპუბლიკას სანაპირო ზოლის სიგრძე 8726 კმ-ია. ამასთან, როგორც ცნობილია, თურქეთსა და საბერძნეთს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე დიდი ხანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია, დღემდე ვერ მოუგვარებიათ ბევრი სადავო საკითხი. დავის ობიექტების ნაწილი კუნძულებიცაა, ამიტომაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ვისი სამხედრო ფლოტი უფრო ძლიერია.

„არსენალის" შუა პოსტერზე ასახულია NATO-ს ქვეყნების შერეული საზღვაო არმადა, რომელსაც წინ თურქული სარაკეტო ფრეგატი Barbaros-ი მიუძღვება.

„ბარბაროსი" თურქეთის სამხედრო ფლოტის შეიარაღებაში 1995 წელს მიიღეს. დღეისათვის თურქეთს ოთხი ამ ტიპის ფრეგატი ჰყავს. ისინი გერმანული პროექტ


„ბარბაროსა" ბოსფორის წყლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEKO 200-ის ბაზაზეა შექმნილი. საერთოდ, MEKO 200-ის ბაზაზე შექმნილი ფრეგატები თურქეთის გარდა კიდევ რამდენიმე ქვეყნის ფლოტში დაცურავენ. ხომალდის კონსტრუქცია, ძირითადად, მაღალგამძლეობის მეტალისგანაა დამზადებული. პროექტი თავიდანვე განკუთვნილი იყო საექსპორტო გაყიდვებისთვის, ამიტომაც იგი ითვალისწინებს მოდერნიზების სხვადასხვა დონეს, თანაც ისე, რომ პროექტის მყიდველ ქვეყნებს თავიანთ გემთმშენებელ ქარხნებში შესძლებოდათ ამ ფრეგატების აგება.

თურქული „ბარბაროსის" მთავარი შეიარაღებაა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები HARPOON-ები. ფრეგატზე „ჰარპუნების" ოთხკონტეინერიანი ორი გასაშვები დანადგარია დამონტაჟებული. საზენიტო შეიარაღებიდან ამერიკული SSM ტიპის საზენიტო რაკეტები აქვს ბორტზე. შვეულად განთავსებული რვა შახტიდან 32 საზენიტო რაკეტა იღებს სტარტს. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის საჰაერო შეტევის მოსაგერიებლად „ბარბაროსის" ბორტზე ოთხი 25 მმ-იანი საზენიტო ქვემეხია დამონტაჟებული.

ფრეგატის საარტილერიო შეიარაღების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს 127 მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხი წარმოადგენს. ნავსაწინააღმდეგო საშუალებებიდან კი აქვს ორი სამლულიანი 324 მმ-იანი სატორპედო აპარატი. ფრეგატის გემბანზე ბაზირება ერთ S-70B ტიპის შვეულმფრენსაც შეუძლია.



Harpoon-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტის გაშვების მომენტი

„ბარბაროსის" სრული წყალწყვა 3380 ტონას აღწევს. ფრეგატის სიგრძე 118 მია, სიგანე 14,8 მ, წყალჯდომა კი 4,3 მ. ხომალდზე დაყენებულია ორი აირტურბინიანი ძრავა (თითოეულის სიმძლავრე 30 ათასს ცხ.ძ.-ს შეადგენს) და ორი დიზელის ძრავა (თითოეული მათგანი 599 ცხ.ძ.-ს ავითარებს). ფრეგატის მაქსიმალური სიჩქარე 32 კვანძს შეადგენს, ხოლო საშუალო სიჩქარით, 18 კვანძით ცურვისას „ბარბაროსი" 4100 მილს ფარავს.

ფრეგატის ეკიპაჟი 196 მეზღვაურისგან შედგება, რომელთაგანაც 22 ოფიცერია. MEKO 200 ტიპის ფრეგატები თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ და ისინი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან (თუკი არ სჯობნიან) რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ანალოგიური კლასის ხომალდებს.

*ირაკლი ალადაშვილი*



„ბარბაროსას" ტიპის თურქული ფრეგატი Kemolreis-ი გაშლილ ზღვაში


BARBAROSA
არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოუცხადებელი ომი

## მთავარი სიხშირეზე აწყობაა

მას შემდეგ, რაც კაცობრიობის წინაპარი გამოქვაბულიდან გამოვიდა, წელში გაიმართა, უკანა კიდურებზე დადგა და ხელში ჯოხი აიღო (ხიდან ვაშლის ჩამოსაგდებად თუ დაუპატიჟებელი სტუმრების მისაბეგვად), „ჯოხიანი კაცის" ყველას ეშინია. ამიტომაცაა, რომ მომავლის ომების ერთ-ერთი „ჰუმანური" დოქტრინის არსი მოწინააღმდეგის განიარაღებაში მდგომარეობს.

არცთუ დიდი ხნის წინ სამხრეთ კორეის თავდაცვითი კვლევის ინსტიტუტმა (Agency for Defense Development) ქვეყნის პარლამენტის წევრებს აუწყა, რომ 2016 წლისთვის შექმნის იარაღს, რომლის დამაზიანებელი ძალა მძლავრ ელექტრომაგნიტურ იმპულსზეა დაფუძნებული. საცდელ ნიმუშს, როგორც ამბობენ, რამდენიმე წლის შემდეგ წარუდგენენ ხელისუფლებას. მეცნიერები განმარტავენ, რომ ადამიანისთვის არამომაკვდინებელი (რა თქმა უნდა, ეს უსაფრთხოს არ ნიშნავს) ელექტრომაგნიტური ბომბები მოწინააღმდეგის ელექტრონულ და ელექტრულ მოწყობილობებს ერთ წამში ჯართად გადააქცევს. აფეთქების შედეგად წარმოქმნილი მძლავრი მაგნიტური ველი მცირე დროით ათასი ვოლტის ოდენობით გადატვირთვას გამოიწვევს და მოწინააღმდეგეს კომპიუტერების, კავშირგაბმულობის, რადარებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების გარეშე დატოვებს. ერთი სიტყვით, დააყრუებს, დააბრმავებს და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს მტერს. ისიც აუცილებელია ითქვას, რომ კორეელები ასეთი იარაღის წარმოების ლიდერები ვერ გახდებიან, რადგან ელექტრომაგნიტურ ბომბზე ლაპარაკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როცა ინგლისურმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა" მკითხველებს აუწყა, რომ ინგლისელმა მეცნიერებმა თითქმის დაასრულეს მუშაობა ელექტრომაგნიტურ ბომბზე, რომელიც დამღუპველად იმოქმედებს კომპიუტერულ ტექნიკასა და სხვადასხვა ელექტრონულ ხელსაწყოზე, რადგან მისი აფეთქება წარმოშობს მაღალი სიხშირის მიზანმიმართულ ელექტრომაგნიტურ ტალღას, რომელსაც გიგანტური სიმძლავრე აქვს. სინამდვილეში კი ამ პროექტზე მუშაობა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევით ლაბორატორიაში (ნიუ-მექსიკოს შტატი) 1980 წლიდან მიმდინარეობს, მიზანმიმართული ენერგიის (Directed Energy Directorate) დირექტორატის მეთვალყურეობით.

სადღეისოდ მსოფლიოში ზემაღალსიხშირიანი, ანუ ელექტრომაგნიტური იარაღი, სავარაუდოდ, აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს. ამერიკას რომ აქვს, ნაწილობრივ იმითაც დასტურდება, რომ ვაშინგტონს არ უარუყვია თითქმის ყველა ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბაღდადში მათ პირველად გამოიყენეს ელექტრომაგნიტური იარალი ერაყის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის სადგურის დასადუმებლად.

საზოგადოებას არაერთხელ მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იუგოსლავიაში საბრძოლო მოქმედებების დროს, მის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ოთხასზე მეტი ავიაბომბი JDAM, რის შედეგადაც საჰაერო თავდაცვის რადიოლოკაციური სისტემები განადგურდა. დამამთავრებელ ეტაპზე კი იუგოსლავიაში კიდევ ერთი ავიაბომბი, ამჯერად გამოცადეს მართვადი კასეტური W-CMD, რომელმაც ეფექტიანად გამოიყვანა მწყობრიდან ქვეყნის ელექტრომომარაგება.

როგორც ექსპერტები ფიქრობენ, სამხედროების მოხსენებებს ახალი იარაღის გამოყენებით hommo Sapiens-ის ჯანმრთელობის უვნებლობის შესახებ არ უნდა ვენდოთ. სიხშირისა და ძალის დონით ელექტრომაგნიტურ იარაღს ადამიანის ნერვულ სისტემასა და გონებრივ შესაძლებლობებზე ზეგავლენა შეუძლია. მეცნიერები დელიკატურად შენიშნავენ, რომ ჯერჯერობით ელექტრომაგნიტური იარაღის ადამიანზე ზემოქმედების ყველა შესაძლო შედეგი არ არის შესწავლილი. შეგვიძლია გამოვიტანოთ სავარაუდო დასკვნა, რომ სადღეისოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცდა უკვე გაიარა და შეიარაღებაში მიიღეს მინიმუმ ოთხი ტიპის ელექტრომაგნიტური საომარი მასალა მხოლოდ საარტილერიო ლულიანი და საზალპო სისტემებისთვის. გარდა ამისა, მათი ზემოქმედების რადიუსი მნიშვნელოვნად დიდია, ვიდრე მათივე კალიბრის ფუგასური და ნამსხვრევებიანი ჭურვებისა, მათ ეფექტიანად გამოჰყავთ მწყობრიდან სარადიოლოკაციო და ნებისმიერი სხვა აპარატები. ამასთან, არასაკონტაქტო ნაღმებისა და რაკეტების ქობინების მო-

სადღეისოდ მსოფლიოში ელექტრომაგნიტური იარაღი, სავარაუდოდ, აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედების ბლოკირებას ახდენენ. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მე-20 საუკუნეში შექმნილი რადიოელექტრონული საშუალებების ჩამხშობი იარაღისგან განსხვავებით, ახალ იარაღს შეუძლია ნაწილობრივ მოშალოს ან მწყობრიდან გამოიყვანოს ის ელექტრომოწყობილობები, რომლებიც წრედში არ არიან ჩართულნი (აფეთქების ეპიცენტრიდან 200 მეტრის რადიუსში). მათი გამოყენება როგორც ხმელეთზე, ასევე წყალზეც, ეფექტიანია. როგორც საიდუმლო წყაროებიდან გახდა ცნობილი, შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი უკვე მომავალ ათწლეულში მიიღებს შეიარაღებაში ელექტრომაგნიტურ ქვემეხებს, რომელთა ჭურვებსაც ნაწილობრივ კინეტიკური ენერგიის მძლავრი პოტენციალის წყალობით უფრო მძლავრი შემაღწევული ძალა ექნება. ცდებმა აჩვენა, რომ ელექტრომაგნიტური ჭურვის აფეთქების შედეგად წარმოიშვება 3,3 მეტრის სიღრმისა და დიამეტრის ძაბრისებური ღრმული, თავად ჭურვი კი მიწაში 12 მეტრის სიღრმეზე იმარხება. კოსმოსში დაახლოებით ასეთივე ქვემეხების გატანას გეგმავენ ამერიკელები. ვარაუდობენ, რომ კინეტიკურ ენერგიას დამატებული 1 კგ მასის მქონე ჭურვი და სიჩქარე 10 კმ/წმ 10 კილოგრამი ტროტილის აფეთქების ენერგიის ეკვივალენტური იქნება. მსგავსი იარაღით ძნელი არ იქნება ბალისტიკური რაკეტის ტრაექტორიის არევა ან მისი საბრძოლო ქობინის დაშლა.

იბადება ლოგიკური კითხვა: თუ მსგავსი იარაღი მართლაც არსებობს, რატომ არ აღჭურვავს შეერთებული შტატები მისით თავის შეიარაღებულ ძალებს, თუნდაც საზღვაო გემებს? პასუხი მარტივია: სამხედრო ხომალდებს დღეს ელექტრომაგნიტური ქვემეხების საჭირო ენერგიით მომარაგების საშუალება არ აქვთ. აქედან გამომდინარე, საჭიროა ახალი გემების აგება. ამ საკითხზე უკვე მუშაობენ პენტაგონის სპეციალისტები. ამას წინათ შვედეთში რუსული წარმოების ელექტრონული ბომბი გამოცადეს, რომლის დროსაც ერთ წამში გამოვიდა მწყობრიდან ყველა კომპიუტერი და ელექტრონული მოწყობილობა, რომლებიც ბომბის მოქმედების რადიუსში მოხვდნენ. მათ შორის ის ელექტრომოწყობილობები, რომელთა განთავსებაც მრავალმიზნობრივ გამანადგურებელ Jas-39 „გრიპენ"-ზე განსათავსებლად იყო გამიზნული. შვედეთის სამხედრო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ექსპერტ ა. კალუნსს მიაჩნია, რომ რუსული ელექტრომაგნიტური იარაღი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ელექტრომაგნიტური ბომბი იგივე მიკროტალღური, მძლავრი ენერგიის (high-power microwave) მქონე იარაღია. მის ღირსებებზე საუბრისას ფირმა Macrowave Sciences-ს პრეზიდენტმა ჯეიმს ბენფორდმა თქვა: „ფართო საზოგადოებრიობამ შეიძლება ვერც კი გაიგოს ამ იარაღის გამოყენების შესახებ, რადგან მისი უპირატესობა მოულოდნელობაში მდგომარეობს. ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენების ფაქტის მთლიანად უარყოფა შეიძლება. დაზარალებულებს აზრადაც არ მოუვათ, რომ მათზე თავდასხმა განხორციელდა, რადგან ეგონებათ, რომ მათ კომპიუტერულ სისტემებში მორიგი გაუგებრობა მოხდა".

დღეს სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალისტები ისეთი ელექტრომაგნიტური ბომბების კონსტრუქციებზე მუშაობენ, რომლებსაც ფრთიან რაკეტებზე, უპილოტო თვითმფრინავებზე და შვეულმფრენებზეც კი დაამონტაჟებენ.

შემუშავებულია აგრეთვე მინიატიურული ვარიანტებიც, რომლებიც ჩვეულებრივ პორტფელში ჩაეტევა, სამაგიეროდ, მიკროტალღური გამოსხივების ძალზე მძლავრი იმპულსი ექნება, რასაც აკუმულირებული ენერგიის დახმარებით გამოსცემს. დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს რაიმე შეთანხმება ან კანონი ასეთი იარაღის აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, ამიტომ მსოფლიო მეცნიერები მთელ თავიანთ ფანტაზიას აქსოვენ მასში. გარდა ამისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი მასში ხსნას ხედავს: ისინი ფიქრობენ, რომ ახალი გამოგონებების წყალობით, ელექტრონიკა, ისეთი დაუცველი, როგორიც დღეს არის მიკროტალღური იმპულსის წინაშე, მომავალ დროში საიმედო ფარს შეიძენს, მით უმეტეს, რომ მრავალი ქვეყნის ლაბორატორიებში მიმდინარეობს სამეცნიერო სამუშაოები მძლავრი ეკრანების შესაქმნელად, რომელთა მიზანიც სამხედრო ელექტრონიკის დაცვა იქნება.

## ფრონტი ფრონტის ხაზის გარეშე

უეჭველია, რომ სამხედრო პირი ან პოლიტიკური მოღვაწე, ვინც საინფორმაციო ომის წარმოების საშუალებებსა და მეთოდებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მომავლის ომების მცოდნედ და შორსმჭვრეტელად ვერ ჩაითვლება. საინფორმაციო ომები დასაბამიდან მიმდინარეობდა და დღესაც მათ გარეშე არც ერთ კონფლიქტს არ ჩაუვლია, ოღონდ ხასიათი და მასშტაბები შეიცვალა. მაგალითად, სპარსეთის ყურეში ომის დროს ამერიკელებმა ამა თუ იმ ცნობის მიღება-გადაცემის დროს ტალღათა დიაპაზონის უპრეცედენტო რაოდენობა — დაახლოებით 50 ათასი გამოიყენეს.

ინფორმაციული ბრძოლის მეთოდები დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ეს გახლავთ რადიოელექტრონული ბრძოლა — კომპიუტერის ვირუსების გამოყენება, კრიპტოდაცვა, კოდების გახსნა, გაშიფვრა, ფსიქოლოგიური ოპერაციები. მომავალი ომებისთვის პირველ პლანზე წამოიწია არა საინფორმაციო დარტყმის მოულოდნელობამ, არამედ მთლიანი არსენალის კომპლექსურმა გამოყენებამ. თუმცა ჰაკერების კარგად ორგანიზებულ შეტევას ან „ლოგიკურად მოაზროვნე ბომბის ჩამოგდებასაც" შეუძლია პარალიზება გაუკეთოს მთელ რიგ ქვეყნებს და მწყობრიდან გამოიყვანოს მრავალი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის მართვის სისტემები. ანალიტიკოსების აზრით, საუკეთესოდ ორგანიზებულ „ელექტრონულ

**ცდებმა აჩვენა, რომ ელექტრომაგნიტური ჭურვის აფეთქების შედეგად წარმოიშვება 3,3 მეტრის სიღრმისა და დიამეტრის ძაბრისებური ღრმული, თავად ჭურვი კი მიწაში 12 მეტრის სიღრმეზე იმარხება...**



პერლ-ჰარბორს“ მოწინააღმდეგის ისეთი დონის დემორალიზების გამოწვევა „შეუძლია, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყება აქტუალობას დაკარგავს“. პენტაგონში კარგად უწყიან საინფორმაციო ომის მნიშვნელობა და ჯერ კიდევ ათი წლის წინ მიიღეს საგანგებო დირექტივები, რომლებიც საინფორმაციო ომების კონცეფციას განსაზღვრავს. საგულისხმოა, რომ ამ ზედმიწევნით დამუშავებული დოკუმენტების პუნქტების სარეალიზაციოდ ამერიკელები ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავენ.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის კარგადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ დღეისთვის კომპიუტერული კოდების გამტეხი სამხედრო ქვედანაყოფები ჰყავთ ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთის, ლიბიის, ირანის, ერაყის, ისრაელისა და რიგი სხვა ქვეყნების საიდუმლო სამსახურებს.

როგორც აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორმა, გენერალმა კენეტ მონიჰენმა განაცხადა: „თუ ორგანიზებულად, სახელმწიფო დონეზე ჩატარდება, საინფორმაციო შეტევებს შესაძლებელია კატასტროფული შედეგი მოჰყვეს. მსგავსი აქციები მასობრივი განადგურების იარაღის ზემოქმედების ტოლფასია“. ეს აზრი გაზვიადებული სულაც არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელები ფედერალური გამოძიების ბიუროს გამგებლობაში არ ჩამოაყალიბებდნენ საგანგებო დანიშნულების რაზმებს, რომელთა ფუნქციაც ქვეყნის შეიარაღებული ძალების საინფორმაციო ქსელების აქტიური საინფორმაციო შეტევებისგან დაცვაა. სამაგიეროდ, მზად არიან მოწინააღმდეგის ჯარების სახეობების მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსაყვანად, მათი ენერგომომარაგებისა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემების მოსაშლელად. სწორედ ამ მიზნითაა დამუშავებული კომპიუტერული იარაღის სისტემის კომპლექსი, კოდური სახელწოდებით „ბლიცკრიგი“. როგორც მისი მთავარი კონსტრუქტორი ლერი ვუდი ამბობს, მათი ვირუსები ქსელიდან გათიშული კომპიუტერის მეხსიერებებსაც ანგრევენ. არცთუ დიდი ხნის წინ ჩატარებულმა ცდებმა „ვირუსების მამის“ სიტყვების ჭეშმარიტება დაადასტურა. საგანგებოდ ცდისთვის მოდელირებულ (რეალურის ანალოგი) ქვეყანაში სიცოცხლე, როგორც ამბობენ, შეწყდა. ამ სამხედრო სწავლების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გენერალმა თომას მურმანმა თქვა: „ბლიცკრიგმა“ გასრისა მოწინააღმდეგე; მისი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ომი მის დაწყებამდე დავამთავროთ“.

სწორედ ასეთ ომს, რომლისთვისაც აშშ-ში უკვე კარგა ხანია ამზადებენ კიბერჯარისკაცებს, ექსპერტების უმრავლესობა ცივილიზებულს უწოდებს, რადგან იგი ადამიანთა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ




იუგოსლავიაში საბრძოლო მოქმედებების დროს, მის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ოთხასზე მეტი ავიაბომბი JDAM, რის შედეგადაც საჰაერო თავდაცვის რადიოლოკაციური სისტემები განადგურდა.

ეტაპზე, მსხვერპლს არ ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ერთ, ვირუსულ-საინფორმაციო ჭურვით შეიარაღებულ კიბერჯარისკაცს მთელი სატანკო დივიზიის მრისხანე შეჯავშნული ურჩხულების უძრავ გროვად გადაქცევა ისევე ეფექტიანად შეუძლია, როგორც მითურ მედუზა გორგონას. გარდა ამისა, ამ ვირტუალური არმიის არსენალში არის იარაღი, რომელსაც შეუძლია მიწისაგან პირისა აღგავოს ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა; ანდა გამოიწვიოს ადამიანებში ფსიქიკური აშლილობა, დაუზიანოს ცნობიერება, გამოიწვიოს ინდივიდის მეხსიერების მატრიცის ტრანსფორმირება და ჩაუნერგონ მას, რბილად რომ ვთქვათ, აგრესორის მიმართ ლოიალობა.

ინფორმაციული ომების კიდევ ერთი ღირსება — მისი პერმანენტულობაა. ასეთ ომს არავინ გამოაცხადებს, ის, არც სამშვიდობო მოლაპარაკებებით ან რომელიმე მხარის საბოლოო განადგურებით დასრულდება — ასეთი ომი განვითარების მუდმივ პროცესში დარჩება. ამგვარი ომი დღესაც მიმდინარეობს და მოიცავს გლობალურ საინფორმაციო-კულტურულ და იდეოლოგიურ ექსპანსიას, რომელიც მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ქსელითა და სხვა მასობრივი ინფორმაციული საშუალებებით ხდება. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ბევრ ქვეყანას იგი პრობლემად ექცა. ამიტომ იძულებულნი არიან, მიიღონ საგანგებო ზომები, რათა დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები და სულიერი ღირებულებები უცხო ქვეყნების საინფორმაციო გავლენისგან. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ საინფორმაციო ომის უნივერსალურობას, უჩინარობას, მრავალვარიანტულობასა და ზემოქმედების რადიკალურობას, გამოყენების დროისა და გარემოს არჩევანის თავისუფლებას, აგრეთვე, საინფორმაციო იარაღის ეკონომიურობას, ნათელი ხდება, რომ საქმე მართლაც ეფექტიან და პერსპექტიულ, ჭეშმარიტ საბრძოლო მოქმედებებთან გვაქვს.

მისი სამიზნე საზოგადოების საინფორმაციო ინფრასტრუქტურაა, რომელიც მოიცავს შეიარაღებულ ძალებს, თავდაცვითი საწარმოების კომპლექსებს, სახელისუფლებო სტრუქტურებს, რომლებიც საშინაო და საგარეო უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს. ამ სისტემის ცალკეულ რგოლზე მასირებულმა თავდასხმამ შესაძლებელია დამღუპველი შედეგი მოიტანოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საინფორმაციო იარაღის განვითარების ტემპები გაცილებით მაღალია, ვიდრე თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარებისა. ეს გასაკვირი არც არის: თავდასხმითი საშუალებები ხარისხობრივად ყოველთვის დომინირებდა თავდაცვით საშუალებებზე. სხვაგვარად ნებისმიერი მიღწევა ამ საქმეში ძალზე პრობლემატური იქნებოდა.

აშშ-ის უშიშროების გაერთიანებული კომისიის მოხსენებაში, რომელიც თავდაცვის მინისტრის მითითებითა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ბრძანებით შეიქმნა, შავით თეთრზე წერია: „მონაცემთა გადაცემის ქსელები მომავლის ბრძოლის ველად გადაიქცევა. საინფორმაციო იარაღი, რომლის გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება ახლო მომავლის საქმეა, „ელექტრონული სიჩქარეებით“ იქნება გამოყენებული, როგორც თავდაცვისას, ისე თავდასხმის დროს. საინფორმაციო ტექნოლოგიები გეოპოლიტიკური კრიზისების თოფის გაუსროლელად გადაჭრის საშუალებას იძლევიან“.

მოამზადა
თამაზ ჟორჟოლიანი

ბიბლიოთეკა



# შეწყვეტილი ფრენა, ანუ როგორ დაიღუპა "შავი ქორი"

**2001 წელს გამოვიდა რიდლი სკოტის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი ომის შესახებ, სახელწოდებით „შავი ქორის დაღუპვა". ფილმში მოთხრობილია იმ წარუმატებელი საგანგებო სამხედრო ოპერაციის ამბავი, რომელიც ამერიკელებმა 1993 წლის ოქტომბერში ჩაატარეს. თავად ოპერაციის მონაწილეები აღიარებენ, რომ ფილმში ისტორია დამაჯერებლადაა გადმოცემული, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ბევრი ფაქტი კადრებს მიღმა დარჩა. ჩვენს პუბლიკაციაში ოფიციალურ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით აღვადგინოთ გარდასულ დღეთა მოვლენები და გავაანალიზოთ სპეცოპერაციის დროს დაშვებული შეცდომები.**

1991 წელს სომალიში სამოქალაქო ომის შედეგად დაემხო ქვეყნის ხელისუფლება, მაგრამ არც ახალი არ მოსულა, რადგან სომალელ საველე მეთაურებს შორის ხელისუფლების გადანაწილების თაობაზე უთანხმოებამ იჩინა თავი. ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ჩათვლით, სტაგნაციამ მოიცვა, ამას გვალვაც დაერთო და სომალიში შიმშილობა დაიწყო. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაიღუპა.

სამოქალაქო ომის შესაწყვეტად და მოშიმშილეთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1992 წლის აპრილში მიიღო 751-ე რეზოლუცია სომალიში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების თაობაზე, მაგრამ ოპერაცია წარუმატებელი გამოდგა, მარცხი ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის, რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების ელემენტარულმა უცოდინარობამ გამოიწვია. ცხადი იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დამოუკიდებლად ამოცანას თავს ვერ გაართმევდა, ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, ქვეყნის სამხედრო ძალებს დაეგეგმათ და ჩაეტარებინათ UNOSOM-ის მხარდასაჭერი ოპერაცია. ბრძანება შესრულდა და სომალიში დაიწყო ოპერაცია, სახელწოდებით „Restore hope" – „აღდგეს იმედი!"

ამერიკელებმა თავიანთი ჯარების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალებში შეყვანა და სამშვიდობო კონტინგენტის ხელმძღვანელობა გადაწყვიტეს, მერე, მდგომარეობის სრული სტაბილიზაციის შემდეგ, საერთო ძალებით ქვეყნის ჰუმანიტარული დახმარებით მომარაგებას უზრუნველყოფდნენ და ქვეყნის მმართველობას გაეროს მშვიდობისმყოფელთა მუდმივმოქმედ კონტინგენტს გადასცემდნენ, თავიანთ ჯარებს კი სომალიდან გაიყვანდნენ.

1993 წლის მარტში გაეროს უშიშროების საბჭომ UNOSOM-II-ის სამშვიდობო ოპერაციის დაწყების თაობაზე გააკეთა განცხადება.

ოპერაციის მანდატის შესაბამისად, მშვიდობისმყოფელთა მიზანი იყო ბანდფორმირებების განიარაღება, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების აღდგენა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარება.

ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა თურქი გენერალი სივიკ ბირი, რომელთანაც გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლად მუშაობდა გადამდგარი ამერიკელი ადმირალი ჯონათან ჰოუკი. ამ ოპერაციის ფარგლებში უშიშროების საბჭომ ამერიკელებს დააკისრა ყველა სახის ზურგისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

რამდენიმე ხნის შემდეგ უშიშროების საბჭომ ამერიკელებს სთხოვა, ოპერაციაში ჩაერთოთ თავიანთი სწრაფი რეაგირების ძალები, რომელსაც აშშ-ის მე-10 სამთო დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ტომას მ. მონტგომერი უხელმძღვანელებდა.

მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტის გაძლიერება, რომელთაც ხელთ საკმაოდ აგრესიული მანდატი ჰქონდათ, განდგომილთა საველე მეთაურებს არ გამოჰპარვიათ. მათ შორის შედარებით გავლენიანი სომალის არმიის შტაბის ყოფილი უფროსი მუჰამედ ფარას აიდიდი იყო. მისი



სამხედრო დაჯგუფება კარგად შეიარაღებული, აგრეთვე უფრო დისციპლინირებული და მართული იყო. აიდიდს ჰქონდა რადიოსადგური, რაც ბოევიკთათვის მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ერთადერთი საშუალება იყო. სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისთანავე, აიდიდმა რადიოთი სომალელებს ამერიკელებისა და გაეროს ჯარების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა, რამაც ძალზე გააღიზიანა გენერალი ბირი, რომელმაც პაკისტანის მსუბუქი ტანკების ბრიგადას იერიშზე გადასვლა, ეროვნული ალიანსის ლიდერების ხელში ჩაგდება და რადიოსადგურის განადგურება უბრძანა. აიდიდს დაზვერვამ დროულად შეატყობინა პაკისტანელთა ტანკების გადაადგილების ზუსტი მიმართულება და იერიშის დაწყების დრო. მთებში ჩასაფრებულმა ეროვნული ალიანსის (მილიციის) მეომრებმა მშვიდობისმყოფელებს დიდი ზიანი მიაყენეს. ბრძოლაში დაიღუპა 24 და დაიჭრა 50 პაკისტანელი. ამ აქციის საპასუხოდ გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს ღალიმ და უშიშროების საბჭომ, აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონის თანხმობით, მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ოპერაცია UNOSOM-II-ის ხელმძღვანელობას უფლება ჰქონდა, დაეპატიმრებინა ყველა ის პირი, ვინც შემჩნეული იქნებოდა ბოროტმოქმედებაში.

ოპერაციის ხელმძღვანელობამ და ამერიკელთა სარდლობამ გადაწყვიტეს პირველი დარტყმა აიდიდის სამილიციო ფორმირებებისთვის მიეყენებინათ და დაეტყვევებინათ მისი მეთაური. მათი აზრით, ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის დატყვევება და მისი ფორმირებების განადგურება სხვა საველე მეთაურებზე შოკისმომგვრელად იმოქმედებდა. მიზნის მისაღწევად მონტგომერიმ და ჰოუკმა სომალიში ცეცხლით მხარდასაჭერი ახალი AC-130H „სპექტრი“ თვითმფრინავების გადასროლა მოითხოვეს.

მალე გაეროს ჯარებმა სწორედ ამ თვითმფრინავებით გაანადგურეს ეროვნული ალიანსის შტაბბინა, რადიოსადგური და აიდიდის საცხოვრებელი სახლი. ამასთან, ხელში ჩაიგდეს იარაღი, სამარი ტექნიკა და ალიანსის ლიდერთა ერთი ნაწილი. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ბოევიკთაგან გაწმინდეს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ადრე აიდიდის ხალხი აკონტროლებდა. მიუხედავად ამისა, სამშვიდობო ძალებმა წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. აიდიდი მიიმალა, იატაქქვეშეთში გადავიდა და ბრძოლა გააგრძელა.

ჰოუკმა ჩათვალა, რომ ომს მხოლოდ აიდიდის დატყვევება დაუსვამდა წერტილს და ამიტომ მისი თავი 25.000 ამერიკულ დოლარად შეაფასა. სააგიტაციო ფურცლები სომალის დედაქალაქ მოგადიშოს თავზე მიმოფანტეს თვითმფრინავებმა.

მარცხის გამო აიდიდმა შეასუსტა აქტიური მოქმედებები. ქვეყანაში, ასე თუ ისე, სიმშვიდემ დაისადგურა. სარდლობამ თვითმფრინავები ზედმეტად მიიჩნია და ბაზაზე, იტალიაში დააბრუნა. ადმირალი ჰოუკი კი სომალელების მოსყიდვასა და აიდიდის ხელში ჩაგდებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ, სამაგიეროდ ეროვნული ალიანსის ლიდერმა მშვიდობისმყოფელების აეროდრომებზე სწრაფი რეაგირების ძალებზე რამდენიმე მოულოდნელი თავდასხმა მოაწყო, რითაც მშვიდობისმყოფელთა სარდლობას აგრძნობინა, რომ გამარჯვებაზე ფიქრი ნაადრევი იყო. ბირი და ჰოუკი მიხვდნენ, რომ აიდიდის დატყვევების ოპერაცია გაჭიანურდა და აშშ-ის სარდლობას კონფლიქტის რეგიონში პირველი ოპერატიული რაზმ „დელტის“ ჩასვლა მოსთხოვეს. 22 აგვისტოს ქვეით 75-ე პოლკის რეინჯერთა მე-3 ასეულის ერთმა ოცეულმა და საგანგებო დანიშნულების რაზმ „დელტის“ პირველმა ოპერატიულმა შენაერთმა მოგადიშოში განთავსების ბრძანება მიიღო. ისინი ადგილზე 1993 წლის 26 აგვისტოს ჩავიდნენ. ბირი და ჰოუკი იმედოვნებდნენ, რომ მათი დახმარებით მალე დაატყვევებდნენ აიდიდსა და მის გარემოცვას.

ამოცანის შესრულება დაევალა სპეციალურად შექმნილ ქვედანაყოფს, რომელსაც ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი „რეინჯერი“ ეწოდა. მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი უილიამ ფ. ჰარისონი. ეს უკანასკნელი ჩარლზ ბეკვიტის შემდეგ ხელმძღვანელობდა „დელტას“. ჯგუფის შემადგენლობაში იყო მებრძოლი ბირთვი, რომელშიც „დელტის“ სპეცრაზმელები და 75-ე პოლკის რეინჯერები შედიოდნენ.

სადაზვერვო მონაცემებით მათ უზრუნველყოფდნენ აგენტები, რომლებიც სომალიში მოქმედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ქვედანაყოფ Intelligence Support Activity-ში შედიოდნენ.

საავიაციო-ტაქტიკური ჯგუფის ამოცანა იყო ჰუმანიტარული ტვირთების ბადრაგის გაცილება, სადესანტო ოპერაციებისას ცეცხლით მხარდაჭერა და საავიაციო დაზვერვა. აგვისტოში დაიწყო ოპერაცია „თვალი მოგადიშოზე“, რომლის დროსაც დედაქალაქის ცაში მუდმივად „ეკიდა“ მზვერავი შვეულმფრენი, რომელიც ქალაქში ტრანსპორტის გადაადგილებას აკვირდებოდა. უფრო პასუხსაგები ოპერაციების დროს სადაზვერვო თვითმფრინავ „ორიონს“ იყენებდნენ, რომელიც საგანგებო აპარატურით იყო აღჭურვილი. რეინჯერთა ტაქტიკური ჯგუფი მუშაობას შეუდგა, მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მზვერავებს პრობლემები შეექმნათ. მათ აიდიდის კვალი დაკარგეს და ახლა ნებისმიერ ინფორმაციას ებღაუჭებოდნენ. ამ ინფორმაციის საფუძველზე რამდენიმე ოპერაცია ჩატარდა, რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია. მდგომარეობა თანდათან უფრო და უფრო რთულდებოდა. 1993 წლის 15 სექტემბერს ეროვნული ალიანსის ნაღმსატყორცნმა ჩამოაგდო შვეულმფრენი, რომელიც აიდიდის ერთ-ერთი რაზმის დისლოცირების ადგილის თავზე გადაფრენას აპირებდა. ნაღმსატყორცნებს, როგორც წესი, თეორიულადაც კი არ მიიჩნევენ საჰაერო სამიზნეებთან საბრძოლველ იარაღად, ამის გამო გენერალმა ჰარისონმა ეს ფაქტი შემთხვევითობას მიაწერა და ოპერაციის დროს ნაღმსატყორცნების ავიაციის წინააღმდეგ გამოყენება არ გაითვალისწინა.

ეროვნული ალიანსის სამილიციო ფორმირებებს ღია ბრძოლაში რეინჯერებთან დაპირისპირება არ შეეძლოთ, სამაგიეროდ, ისინი ძველებურად ესხმოდნენ თავს



ეროვნული ბიბლიოთეკა



მშვიდობისმყოფელებს, ამერიკელ სპეცრაზმელებსა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ ბრძოლიდან.

მას შემდეგ, რაც სომალელებმა რამდენჯერმე ნაღმსატყორცნებით დაბომბეს მშვიდობისმყოფელების შვეულმფრენთა სადგომები, მას შემდეგ, რაც დაბომბვას ერთი „Blackhawk"-ი შეეწირა, ცხადი შეიქნა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებარებოდა, ამიტომ გენერალმა მონტგომერიმ ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობისგან მძიმე შეიარაღება მოითხოვა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მის ინიციატივას უარით უპასუხა, მისი აზრით, ეს კონფლიქტს უფრო გაალვივებდა.

1993 წლის 3 ოქტომბრის კვირა დილა ყველაზე ხელსაყრელი იყო აიდიდის გარემოცვის ასაყვანად. საქმე ისაა, რომ ყოველ კვირა დღეს ეროვნული ალიანსის ლიდერები ლენინის ქუჩაზე, მისი ძეგლის ცარიელ კვარცხლბეკთან, მიტინგებს აწყობდნენ და უშვერად ლანძღავდნენ გაეროს ხელმძღვანელობასა და ამერიკის მთავრობას. მიტინგების ერთ-ერთი ლიდერი აიდიდის პოლიტიკური მრჩეველი ომარ სალადი იყო. იმ დღეს, როცა მიტინგი დამთავრდა, სალადის თეთრი ლენდ-კრუიზერი ჩრდილოეთით, გოლვადიგის ქუჩისკენ დაიძრა. მთელი მარშრუტის მანძილზე მისთვის თვალი არ მოუშორებიათ ამერიკელების აგენტებს. დაახლოებით 13.30 საათზე აგენტურამ გადმოსცა, რომ ომარ სალადი აიდიდის ჩრდილოვანი კაბინეტის შინაგან საქმეთა მინისტრ ჰასან ავალს, მეტსახელად „კებდიდს" შეხვდა.

შესაძლებელი იყო, აიდიდიც მათთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ ამის დადასტურება ვერც ერთმა აგენტმა ვერ შეძლო. ამ დღეს ქალაქის თავზე სადაზვერვო თვითმფრინავი „ორიონი" დაფრინავდა. მალე მას სადაზვერვო შვეულმფრენები „Little bird" შეუერთდნენ, რომლებიც კონკრეტულად იმ ადგილის დასაზვერად აფრინდნენ, სადაც შეხვედრა შედგა. მალე შვეულმფრენებმა „შავი ზღვისკენ" (პირობითად ასე უწოდებდნენ ბაკარას ბაზრის რაიონს) გადაინაცვლეს.

მიზნის საბოლოოდ დასადგენად ადგილობრივ აგენტს უბრძანეს თავისი, სიმაღლიდან ადვილად გასარჩევი ვერცხლისფერი მანქანა შეხვედრის ადგილას (სასტუმრო „ოლიმპიკი") გაეჩერებინა და კაპოტი აეხადა, რათა ოპერატორებს შვეულმფრენების კამერები მასზე გაესწორებინათ. აგენტმა ბრძანება შეასრულა, ოღონდ ისე მალე დახურა კაპოტი, რომ ოპერატორებმა კამერების გასწორება ვერ მოასწრეს. შემდეგ აგენტს უბრძანეს, გაევლო ქუჩა და ზუსტად მიზანთან გაჩერებულიყო და კაპოტი ისევ აეხადა. აგენტის მანქანა გოლვადიგის ქუჩის ჩრდილოეთ ნაწილისკენ. სასტუმროს ახლოს მდგარ შენობასთან გაჩერდა, აგენტი მანქანიდან გადმოვიდა და კაპოტი ახადა. ახლა შეცდომა გამორიცხული იყო. ამ დროს გაიცა ბრძანება და რეინჯერების რაზმი და სპეცრაზმი სამოქმედო მზადებას შეუდგნენ. მოიერიშე ჯგუფების მეთაურები მოქმედების ტაქტიკას ოპერატიულ ცენტრში უთანხმებდნენ ერთმანეთს, რომლის დროსაც საჰაერო დაზვერვის გადმოცემულ გამოსახულებებს იყენებდნენ. მალე იერიშის გეგმა შედგა და რეინჯერებმაც დამხმარე პოზიციები დაადგინეს. გეგმის ასლები გადაეცათ რეინჯერთა ცალკეული ჯგუფების ხელმძღვანელებს, ამ დროისთვის დამთავრდა შვეულმფრენთა საბრძოლო გაფრენისთვის სამზადისიც. სტარტისთვის ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ ბრძანება იგვიანებდა.

ცოტა ხანში გაირკვა, რომ აგენტს შეშინებია და საჭირო შენობასთან ვერ მისულა, სამაგიეროდ მოშორებით გაჩერებულა და იქ აუხდია კაპოტი. რეინჯერებსა და სპეცრაზმელებს ერთი ნაბიჯილა აშორებდათ იმავე შეცდომის გამეორებისგან, რომელიც ადგილობრივი აგენტურის არასწორი მოქმედებისა თუ ორმაგი თამაშის გამო რამდენჯერმე მოუვიდათ (სულ სხვა მიზანზე მიიტანეს იერიში).

მეთაურები კვლავ ოპერატიულ ცენტრში შეიკრიბნენ ახალი მითითებების მისაღებად. აგენტს რაციით გადაეცა ბრძანება, კიდევ ერთხელ შემოევლო ქუჩა და პირდაპირ მიზანთან გაჩერებულიყო. ამჯერად ოფიცრებმა ტელეეკრანებზე დაინახეს, როგორ დაიძრა აგენტის მანქანა გოლვადიგის ქუჩაზე და სასტუმრო „ოლიმპიკიდან" ჩრდილოეთით, ერთი კვარტალის მოშორებით გაჩერდა, სწორედ იმ სახლთან, რომელშიც საჰაერო დაზვერვის შვეულმფრენმა ომარ სალადის შესვლა დააფიქსირა.

15.00 საათზე რეინჯერთა შტაბმა გენერალ მონტგომერის ოპერაციის დაწყებისათვის მზადყოფნის ინფორმაცია მიაწოდა. ყველა საფრენ აპარატს მიეცა ბრძანება მიზნის თავზე სივრცე გაეთავისუფლებინათ. მე-10 სამთო დივიზიის ერთ ოცეულს საბრძოლო მზადყოფნა ნომერი პირველი ბრძანება გადაეცა. ელექტროდაზვერვის ქვედანაყოფებმა დაიწყეს მოგადიშოს ყველა რადიოსიხშირისა და მობილური კავშირების ჩახშობა.

გენერალ-მაიორმა ჰარისონმა, ეტყობა, გულმა რაღაც უგრძნო, ბოლო წუთებში მოიერიშე ჯგუფების მხარდასაჭერად შვეულმფრენების უმართავი რაკეტებით აღჭურვა ბრძანა.

მებრძოლთა არმადა და შვეულმფრენები ოპერაციის დაწყების ბრძანებას ელოდნენ. პირველ ორ ეკიპაჟს მიზნის მიმდებარე ტერიტორია უნდა გაესუფთავებინა, ორ მომდევნოს კი დესანტის გადმოსხმისთვის უნდა დაეჭირა მხარი და თუ საჭირო იქნებოდა, საბრძოლო მოქმედებებშიც აქტიურად ჩარეულიყო. ოთხი შვეულმფრენი, რომლებიც წინა ოთხი ეკიპაჟის შემდეგ გამოჩნდებოდნენ, ბრძოლის ველზე მთავარი დამრტყმელი ძალის ბირთვს, „დელტის" რაზმს გადმოსხამდა.

მათ რვა სადესანტო შვეულმფრენი მიჰყვებოდა „დელტის" სპეცრაზმელითა და მათი მეთაურებით, კიდევ ოთხი მანქანა, რომელთა ბორტზეც რეინჯერების 75-ე ქვეითთა პოლკის მებრძოლები იმყოფებოდნენ. ერთ „Black Hawk"-ს სამძებრო-სამაშველო ჯგუფის წევრები მიჰყავდა. უკანასკნელი შვეულმფრენი კი ოპერაციის სამართავ სამხედრო შტაბს მოემ-



სახურებოდა. მასში მყოფი უფროსი ოფიცრები: პოდპოლკოვნიკი მეტიუზი, რომელიც შვეულმფრენთა პილოტებს უწევდა კოორდინაციას და ქვეითთა მოქმედების ხელმძღვანელი, პოდპოლკოვნიკი ჰერელი გამუდმებულ კავშირში იყვნენ ოპერაციის სარდლობასთან.

სამხედრო ბაზის ჭიშკართან ბრძანების მოლოდინში მანქანების კოლონა იდგა. კოლონაში შვიდი ჯავშნიანი სამხედრო ჯიპი „ჰამერი“ და სამი სამხედრო ხუთტონიანი სატვირთო მანქანა შედიოდა. „ჰამერებში“ ისხდნენ 75-ე პოლკისა და „დელტის“ მებრძოლები და SEALs-ის ჯგუფის ოთხი მებრძოლი. მთლიანად ნაკრებ ჯგუფში, სამი შვეულმფრენისა და საჰაერო დაზვერვის ერთი თვითმფრინავის ჩათვლით, იყო ავიატექნიკის ცხრამეტი ერთეული, თორმეტი მიწისზედა სატრანსპორტო საშუალება და დაახლოებით 160 ჯარისკაცი.

ოპერაციის მიზანი იყო ბრტყელსახურავიანი, სამსართულიანი თეთრი შენობა, რომლის გარშემოც თუნუქით დახურული თიხის ბინძური ქოხმახები იყო მიმობნეული. ამ ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩების ლაბირინთებით დახლართულ უბანში აიდიდის კლანის მომხრე ასიათასამდე კაცი ცხოვრობდა. ოპერაციის გეგმის მიხედვით, „დელტას“ მებრძოლები შვეულმფრენებიდან უნდა გადმომსხდარიყვნენ და იმ შენობაში შეჭრილიყვნენ, სადაც სავარაუდოდ ეროვნული ალიანსის ლიდერები იმყოფებოდნენ. მათ კვალდაკვალ რეინჯერების ქვედანაყოფი შვეულმფრენებიდან ეგრეთ წოდებული სწრაფი თოკების მეშვეობით გადმოსხდებოდნენ და შენობას შემოარტყამდნენ ალყას. ამ დროისთვის „დელტას“ ლიდერების დატყვევება და გარეთ გამოყვანა უნდა მოესწრო. ამავდროულად ოპერაციის ადგილას საბრძოლო მანქანა „ჰამერების“ ბადრაგი მოვიდოდა. მათში ტყვეები და რეინჯერთა ქვედანაყოფები უნდა მოთავსებულიყვნენ, რის შემდეგაც „ჰამერების“ ბადრაგი იმავე გზით, ქალაქის გავლით, დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდებოდა, „დელტას“ რაზმი კი ევაკუაციას შვეულმფრენებით მოახდენდა. ოპერაციის დაგეგმვისას ხელმძღვანელობას ამოცანის მოულოდნელად და სწრაფად შესრულების იმედი ჰქონდა, რის გამოც მოწინააღმდეგის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა და მით უმეტეს, დასახული გეგმისგან გადახვევა, მათი აზრით, გამორიცხული იყო.

დაახლოებით 15 საათსა და 40 წუთზე დაიწყო ობიექტზე დესანტირება. მთავარი მოიერიშე ჯგუფი სერჟანტ რაერსონის მეთაურობით მიზნის სამხრეთით დაეშვა. სახლის ეზოში ხმის გამომცემი ხელყუმბარები გადაყარა, ლითონის ჭიშკარი ჩამოგლიჯა და შიგნით შეიჭრა. მეომრები შენობაში შეცვივდნენ. ორი ოთხეული, რომლებსაც სერჟანტები ხუტენს და ჰოუ ხელმძღვანელობდნენ, მას შემდეგ, რაც უშუალოდ შენობის ფასადთან ჩამოსხდნენ, ქუჩის მხრიდან მთავარი შესასვლელისკენ გაემართნენ. ისინი შენობის პირველ სართულზე განთავსებულ საკანცელარიო მაღაზია „ოლიმპიკში“ შეიჭრნენ. მაღაზიაში მყოფი ექვსი სომალელი მაშინვე იატაკზე გაწვა და ხელები თავზე შემოიწყო. ამ დროს სერჟანტ ხუტენს უკვე მოესმა სროლის ხმა, რომელიც წინა რეიდებთან შედარებით უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი მოეჩვენა. ჰოუს ოთხეულმა სწრაფად გაიარა მომდევნო კარში, სადაც სერჟანტმა წინ შემოფეთებული სომალელი წააქცია და ოთახი შეამოწმა. აუცილებელი იყო შენობის შიგნით სიტუაციის სასწრაფოდ კონტროლზე აყვანა, მაგრამ უკანა ოთახი, სადაც ჯგუფი მოხვდა, მაღაზიის საწყობი აღმოჩნდა, რომელიც ნაგვიანი ტომრებით იყო გამოტენილი. მეომრებმა სწრაფად დატოვეს მაღაზია.

რამდენიმე ათეული მეტრი სამხრეთის მიმართულებით გაირბინეს, შემდეგ მარცხნივ მოუხვიეს და მთავარი ჯგუფის კვალდაკვალ შენობაში შევიდნენ. როცა მოსახვევთან იყვნენ, ამ დროს ქუჩაში მტვერი ავარდა და შვეულმფრენის მოტორის გამაყრუებელი ხმაც გაისმა – რამდენიმე ვერტმფრენი დესანტირებისთვის ემზადებოდა.

ერთ-ერთმა შვეულმფრენმა, რომლის ბორტზეც სპეცრაზმის საიერიშო ჯგუფის მეთაური კაპიტანი მილერი და სარეზერვო ჯგუფის მეომრები იმყოფებოდნენ, ჰაერში სასიგნალო რაკეტები გაუშვა, რის შემდეგაც შენობის თავზე, ქუჩის მხარეს დაეკიდა, სპეცრაზმი კი მყისიერად დაეშვა ბაგირებით. ეს ჯგუფი მოიერიშეთა მეორე ეშელონს მიეკუთვნებოდა კიდევ ერთი შვეულმფრენის მგზავრებთან ერთად. მათი მიყოლებით გამოჩნდნენ სხვა შვეულმფრენებიც, რომლებიდანაც გადმომსხდარმა რეინჯერებმა კვარტალის კუთხეები დაიკავეს პერიმეტრის ბლოკირების მიზნით.

ერთი წუთის შემდეგ რეინჯერების ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომლის საცნობარი იყო „სუპერ-66“, კვარტალის სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან დესანტირება დაიწყო, გადმოსხდომა ბაგირების მეშვეობით წყვილ-წყვილად მიმდინარეობდა. დაშვების დროს ერთი რეინჯერი ბაგირს მოწყდა და 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მეთაურთა ვარაუდი, რომ ოპერაცია მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი იქნებოდა და ამით უპირატესობას მოიპოვებდნენ, არ გამართლდა. დესანტის გადმოსხმისთანავე ატყდა სროლა, რამაც ეროვნული ალიანსის მებრძოლებს სიტუაციაში გარკვევის საშუალება მისცა.

რამდენიმე რეინჯერი პირველივე წუთებში დაჭრეს. თვით ამერიკელებისთვის აღმოჩნდა მოულოდნელი აიდიდის მილიციელების ოპერატიული წინააღმდეგობა.

მალე ბრძოლის ადგილს „ჰამერების“ ბადრაგი მიადგა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყვეებისა და რეინჯერების გამოსაყვანად. ქვეითთა ბადრაგის მეთაური პოდპოლკოვნიკი დონი მაკაიტი იხსენებს: „ყველაფერი კარგად მიდიოდა. გარკვეულწილად ჩვენ მივაღწიეთ მოულოდნელობის ეფექტს, მაგრამ საკმარისი იყო მანქანებში ჩასხდომა დაგვეწყო, რომ ყველაფერი აირია...“

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადესანტო ოპერაციები

## ძველი დროიდან დღემდე

**XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის ორივე ომში თურქებმა საქართველოს სანაპიროზე აფხაზეთში საზღვაო დესანტი გამოიყენეს...**

ყირიმის ომში სინოპთან თურქეთის ფლოტის განადგურების მიუხედავად, რუსეთმა 1854 წლის გაზაფხულზე რედუტ-კალედან (ყულევი), ანაკლიიდან, სოხუმიდან და კავკასიის სანაპიროს სხვა სიმაგრეებიდან გარნიზონები გაიყვანა და მოწინააღმდეგეს სამოქმედო არეალი დაუთმო. თურქებმა არ დააყოვნეს და მოკავშირე ქვეყნების, ბრიტანეთ-საფრანგეთის ფლოტის დახმარებით 1855 წლის ივნისში სოხუმში პირველი სადესანტო რაზმები შემოიყვანეს.

აფხაზეთში პლაცდარმი შეიქმნა, სადაც თანდათან 45-ათასიანმა არმიამ მოიყარა თავი. ოქტომბერში ამ ძალებმა ომერ-ფაშას სარდლობით სამეგრელოს შეუტიეს.

ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი თურქეთის არმია ევროპული წარმოების იარაღითა და საბრძოლო მასალებით იყო აღჭურვილი. ქვეით ჯარისკაცთა უმეტესობა ხიშტიანი ან მოძველებული ტესაკიანი გლუვლულიანი თოფებით, ხოლო კავალერისტები ხმლით, ორი პისტოლეტით, შუბით ან კარაბინით იყვნენ შეიარაღებულნი. სამხედრო ტექნიკის მაშინდელი სიახლე — კუთხვილიანი თოფები ცოტა იყო.

თურქი ჯარისკაცები გამოირჩეოდნენ საბრძოლო ჟინით, სიმამაცით, გამძლეობითა და დისციპლინით. ოფიცერთა კორპუსი სუსტად იყო მომზადებული, მაგრამ პოლკებს, სადაც გამოცდილი ოფიცრები მსახურობდნენ, მაღალი ბრძოლისუნარიანობა ახასიათებდა.

სატრანსპორტო და საბრძოლო ხომალდების წყალჯდომი იმდენად დიდი იყო, რომ ნაპირთან ახლოს მისვლა არ ხერხდებოდა და სანაპიროზე ჯარისკაცები, ზარბაზნები, საბრძოლო თუ უზრუნველყოფის საშუალებები ნიჩბიან ნავებს გადაჰყავდა.

რუსეთ-თურქეთის მომდევნო, 1877-78 წლების ომში, ადლერ-ოჩამჩირის გაყოლებაზე თურქების ესკადრა გამოჩნდა და დროდადრო სანაპიროზე რუსების პოზიციებს ცეცხლს უშენდა, ხოლო შავი ზღვის ფლოტს წინააღმდეგობის გასაწევი ძალა არ გააჩნდა.

თურქებმა ზღვაზე რუსეთის სისუსტით ისარგებლეს და 1877 წლის 29 აპრილს გუდაუთასთან მუჰაჯირ მემედ მარღანიას მეთაურობით 1500-კაციანი კარგად შეიარაღებული რაზმი გადმოსხეს. რაზმის დიდ ნაწილს აფხაზი მუჰაჯირები შეადგენდნენ და რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო ბევრი ადგილობრივი მოსახლე დესანტს შეუერთდა. რუსულმა გარნიზონმა სოხუმის სასწრაფოდ დატოვება ამჯობინა და ერთ თვეში თითქმის მთელი აფხაზეთი მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა. ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე განცდილმა დამარცხებებმა თურქებს დესანტის გაძლიერების საშუალება არ მისცა და მალე, 1877 წლის 20 აგვისტოს, რუსებმა სოხუმი უკან დაიბრუნეს.

41 წლის შემდეგ აფხაზეთში საზღვაო დესანტი ისევ გახდა საჭირო, როცა საქართველოს სახალხო გვარდიამ გაწითლებული აფხაზებისაგან ქვეყნის გათავისუფლება დაიწყო.

დესანტის გადასხმა ოჩამჩირეში იყო დაგეგმილი. ქართულ გვარდიას სპეციალური სადესანტო მცურავი საშუალებები არ გააჩნდა. არც ოფიცრებს ჰქონდათ სადესანტო ოპერაციების ჩატარების გამოცდილება, ბევრმა ჯარისკაცმაც ზღვა ოპერაციის მსვლელობისას პირველად იხილა.

სადესანტო ფლოტილია მრავალფეროვანი იყო: ბუქსირი „ჭოროხი“ (წყალწყვა 145 ტონა), სატვირთო ძრავიანი შხუნა „პავლი“, საპორტო გემი „ჩაიკა“ (წყალწყვა 25 ტონა), ძრავიანი შხუნები „ფაზისი“ (წყალწყვა 75 ტონა) და „ტამარა“, ბუქსირი „ტავრიდა“ და სხვები. გვარდიელთა უმეტესობას 1891 წლის მოდელის რუსული სამხაზიანი შაშხანები ჰქონდა, ხოლო საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებებიდან დესანტს „კოლტისა“ და „ლუისის“ სისტემათა 29 ტყვიამფრქვევი და 76 მმ-იანი 1902 წლის მოდელის 8 მსუბუქი ქვემეხი გააჩნდა.

1918 წლის 9 მაისს ვალიკო ჯუღელის მეთაურობით 300-მა გვარდიელმა ფოთი-ოჩამჩირის მონაკვეთი გადაცურა და ნაპირზე სრული შეიარაღებით გადავიდა.

პირველ მსოფლიო ომში ბრიტანეთის მაშინდელი საზღვაო მინისტრ უინსტონ ჩერჩილის წინადადებით ბრიტანეთ-საფრანგეთის ძალებმა დარდანელის სრუტის რაიონში სტრატეგიული სახის უმნიშვნელოვანესი საზღვაო-სადესანტო ოპერაცია ჩაატარეს. იგეგმებოდა დარდანელ-ბოსფორის სრუტეების დაკავება, სტამბოლის აღება და ომის შეწყვეტაზე თურქეთის იძულება.

1915 წლის 19 თებერვალს ბრიტანეთ-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტის ხომალდები დარდანელთან გამოჩნდნენ და მსხვილკალიბრიანი არტილერიით თურქების სანაპირო ბატარეებს ცეცხლი გაუხსნეს. სრუტის გაყოლებაზე განლაგებულმა მრავალრიცხოვანმა სანაპირო ბატარეებმა ცეცხლს ცეცხლით უპასუხეს.

ბომბარდირება თვეზე მეტხანს გაგრძელდა. მოკავშირეებს უხილავი საცეცხლე წერტილების ჩახშობა უჭირდათ, ცუდად



ნორმანდიის სანაპირო. მოკავშირეთა დესანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვიდრას“ ტიპის პატარა სადესანო ხომალდი

იყო ორგანიზებული საარტილერიო ცეცხლის კორექტირება, ეკიპაჟები სახმელეთო სამიზნეებზე სროლაში სუსტად იყვნენ მომზადებულნი, ხოლო დაბომბვებს შორის დიდ შუალედებში თურქები ბატარეების ბრძოლისუნარიანობის აღდგენას ახერხებდნენ. დაბომბვის შედეგები უმნიშვნელო იყო, მაგრამ დესანტის გადასხმა მაინც გადაწყდა. 1915 წლის 25 აპრილს სადესანტო ფლოტი ძირითადი ძალებით გალიპოლის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილისკენ დაიძრა. პარალელურად, თურქების ყურადღების გადასატანად დამხმარე და სადემონსტრაციო ღონისძიებები გატარდა.

მტრალავ ხომალდებზე მსხდომ მედესანტეებს ნაპირამდე დარჩენილი 150-200 მეტრის დაძლევა ნიჩბიანი ნავებით მოუხდათ. შემდეგ ნავები ისევ უკან ბრუნდებოდნენ მედესანტეთა მეორე-მესამე ნაკადების გადასაყვანად.

სადესანტო ფლოტში შემავალ ე.წ. ინგლისურ ბოტებზე ფიცარნაგები იყო მოწყობილი, სადაც 12 ცხენი ან 4 წყვილცხენიანი ოთხთვალა, ან ქვემეხები თავსდებოდა. შედარებით დიდი ფრანგული ბრტყელძირა შალანდები 50-100 სამხედროს ან 24-48 ცხენს, ან 4-8 წყვილცხენიან ოთხთვალას იტევდა. ნაპირთან ახლოს ნავების კიჩოდან ეშვებოდა ფიცარი, რომლითაც ცხენები და ოთხთვალები ნაპირზე გადაჰყავდათ.

სპეციალური სადესანტო საშუალებების უქონლობის გამო გადასხმის ტემპი დაბალი იყო, ხოლო ნაპირზე გადმოსვლას დანაღმული ღობურები და ეკლიანი მავთულხლართები აბრკოლებდა. ამას ემატებოდა სანაპიროდან შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლი. სახომალდო არტილერიის მხარდაჭერის მიუხედავად, სანაპირო ბატარეების ცეცხლისაგან მედესანტეები დიდ დანაკარგს განიცდიდნენ, ზოგიერთ ადგილზე დესანტირებაც ვერ მოხერხდა. მარტო პირველ დღეს მოკავშირეთა დანაკარგმა 18 ათას კაცს მიაღწია. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სანაპიროზე ფეხის მოკიდება და 1-1,5 კილომეტრი სიღრმის პატარა პლაცდარმის დაკავება მაინც მოხერხდა.

დარდანელის ოპერაციამ დასახული ამოცანა ვერ შეასრულა და 1915 წლის დეკემბერში სადესანტო ძალების ევაკუაცია დაიწყო, რომელიც 1916 წლის იანვარში დასრულდა. წარუმატებლობა თურქთა ძალების შეუფასებლობამ, კარგად მოწყობილმა დესანტსაწინააღმდეგო დანაღმულმა ბარიერებმა და სანაპირო არტილერიის მასირებულმა ცეცხლმა გამოიწვია. დესანტი მთლიანად ფლოტზე დამოკიდებული აღმოჩნდა, ხოლო მისი შესაძლებლობები განუსაზღვრელი არ იყო. მარცხი მოკავშირეებს 146 ათასი კაცის სიცოცხლედ დაუჯდათ.

დარდანელის წარუმატებლობამ მომდევნო წლებში საზღვაო-სადესანტო ოპერაციებზე დიდი გავლენა მოახდინა და გაჩნდა მოსაზრება, რომ მსხვილ სადესანტო ოპერაციებს აუცილებლად მარცხი მოელოდა. მით უფრო, როცა შეიარაღებაში შემოვიდა შორსმსროლელი სანაპირო არტილერია, უკონტაქტო ფსკერის ნაღმები, ბომბდამშენი ავიაცია და თავდაცვის სხვა ეფექტიანი საშუალებები.

მცირერიცხოვანი სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების დესანტირებისათვის მომცრო საბრძოლო ხომალდები, კატარღები და წყალქვეშა ნავები, ხოლო ჯარებისა და ტექნიკის გადასაყვანად მობილიზებული სამოქალაქო სატვირთო-სამგზავრო გემები საკმარისად ჩაითვალა.

ამ შეხედულებებს იმდენად დამაჯერებელი არგუმენტები ამყარებდა, რომ ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთისა, იტალიის, იაპონიის ფლოტებში სპეციალური სადესანტო ხომალდების მშენებლობაც კი შეწყდა.

1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და საზღვაო-სადესანტო ოპერაციათა აუცილებლობა გაიზარდა. შედეგად, მეომარ მხარეთა მხრიდან დაახლოებით 600-მდე საზღვაო-სადესანტო, ძირითადად, ტაქტიკურ-ოპერატიული ოპერაცია ჩატარდა.

სტრატეგიული ხასიათის ოპერაციებიდან გამოსაყოფია: 1940 წლის აპრილში გერმანელების ნორვეგიაში შეჭრა; იაპონელთა მხრიდან 1941-42 წლებში მალაიის, ფილიპინებისა და იავას დაკავება; ბრიტანეთ-აშშ-ის ძალების 1942 წლის ოქტომბერში ჩრდილო აფრიკასა და 1943 წლის ივლისში სიცილიაში დესანტირება; 1944 წლის ივნისში მოკავშირეთა ძალების ნორმანდიაში შეჭრა და მეორე ფრონტის გახსნა; კუნძულ ოკინავაზე 1945 წლის მარტში აშშ-ის არმიის გადასხდომა და ა.შ..

საინტერესოა, რომ მოკავშირეები ევროპაში ჩატარებულ სადესანტო ოპერაციებში მეწინავე რაზმებად საზღვაო ქვეითებს არ იყენებდნენ. ამერიკელი საზღვაო ქვეითები წყნარი ოკეანის კუნძულებზე ბრძოლებით, ხოლო ბრიტანელთა რაზმები სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციებით იყვნენ დაკავებულნი.

მრავალრიცხოვანი სადესანტო ძალებისა და ტექნიკის ტრანსპორტირებისათვის სულ რაღაც 2-3 წელიწადში შეერთებულ შტატებში, ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახისა თუ დანიშნულების რამდენიმე ათასი სადესანტო მცურავი საშუალება აიგო.

ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ნაპირზე დესანტირებისათვის შენდებოდა დიდი სატანკო-სადესანტო ხომალდები LST (წყალწყვა 4080 ტონა, შეეძლო 20 ტანკის ან 400 ჯარისკაცის, ან 2100 ტონა ტვირთის მიღება), საშუალო სატანკო-სადესანტო ხომალდები LSM (წყალწყვა 1095 ტონა, შეეძლო 5 საშუალო ან 3 მძიმე ტანკის, ან 6 მცურავი ჯავშანტრანსპორტიორის, ან 9 მცურავი ავტომობილის 60 მედესანტით მიღება), ქვეითთა პატარა სადესანტო ხომალდები LCI (წყალწყვა 380 ტონა, შეეძლო 75 ტონამდე ტვირთის ან 210 მედესანტის მიღება), სატანკო-სადესანტო კატარღები LCT (წყალწყვა 284 ტონა, შეეძლო 5 საშუალო ტანკის ან 350 ჯარისკაცის მიღება), სადესანტო კატარღები LPC (წყალწყვა 52 ტონა), სხვადასხვა დანიშნულების 10-დან 50 ტონამდე წყალწყვის კატარღები და ა.შ.. ყველა სადესანტო მცურავი საშუალება საზენიტო 40 მმ-იანი ან 20 მმ-იანი ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით იყო აღჭურვილი.

სადესანტო ოპერაციებს სპეციალურად აგებული საშტაბო ხომალდებიდან ხელმძღვანელობდნენ. ნაპირზე მყოფი ძალების სარეზერვო ქვედანაყოფებით გაძლიერებას შეიარაღებით, საბრძოლო მასალებით, კვების პროდუქტებითა და საწვავით მომარაგებას სპეციალური და გადაკეთებული სატრანსპორტო გემები უზრუნველყოფდნენ, რისთვისაც მობილიზაცია ბევრ სამგზავრო ლაინერს, სატვირთო გემს, ტანკერს, ტრაილერსა თუ სამოქალაქო დანიშნულების სხვა მცურავ საშუალებას შეეხო.

სადესანტო ძალების პირველი ტალღა სპეციალურ სადესანტო ხომალდებს გადაჰყავდა. ნაპირთან ახლოს ხომალდის ცხვირში აპარელი იხსნებოდა და მცურავი ჯავშანტრანსპორტიორები ან ტანკები პირდაპირ წყალში ეშვებოდნენ.

ორიგინალურობით გამოირჩეოდა დოკკამერის მქონე სადესანტო ხომალდები. დოკკამერაში წყლის მიღების შემდეგ პატარა სადესანტო კატარღები მედესანტეებით ხომალდს ტოვებდნენ და ცურვას დამოუკიდებლად აგრძელებდნენ.

მცირე წყალჯდომის მქონე პატარა სატანკო-სადესანტო კატარღებსა და ხომალდებს თავთხელ წყლებში ნაპირთან ახლოს მისვლა შეეძლო, რითაც დესანტირების პროცესი ბევრად საიმედო და უფრო ეფექტიანი გახდა.

ნორმანდიაში მოკავშირეთა შეჭრის ოპერაცია „ოვერლორდი“ თავისი მასშტაბებით დღემდე განუმეორებელია. დესანტირებისათვის 36-45 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი შეირჩა, რომელიც დესანტსაწინააღმდეგო საშუალებებით შედარებით სუსტად იყო დაცული. ამ მონაკვეთზე არც ერთი მნიშვნელოვანი პორტი არ იყო, რაც, გერმანელთა აზრით, მრავალრიცხოვანი დესანტის გადმოსხმას გამორიცხავდა, ხოლო მოკავშირეთა არგუმენტაციას, პირიქით, აძლიერებდა.

სადესანტო ძალების ჩასხდომის პუნქტები დესანტირების ადგილებიდან 100-180 მილის დაშორებით განლაგდა. ამ მანძილს ხომალდები ღამის საათებში ფარავდნენ და გამთენიისას მეწინავე რაზმები უკვე სანაპიროზე იმყოფებოდნენ, რითაც გარკვეულწილად მოულოდნელობის ეფექტს ქმნიდნენ.

ოპერაციის მასშტაბები და გადასამუშავებელი ტვირთის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ დესანტირების რაიონში ორი ხელოვნური პორტის შექმნის საჭიროება გაჩნდა. წინასწარ დამზადებული 1200-დან 6000 ტონამდე წონის სპეციალური 146 კონსტრუქციის გამოყენებით აწყობილ ხელოვნურ პორტებს ჰქონდა ამწეები, საწყობები, გემთსადგომები და ყველაფერი ის, რასაც ნორმალური მუშაობა მოითხოვდა.

მცირე ტონაჟის გემების განტვირთვას ემსახურებოდა მცურავი გემთსადგომები ტალღასამსხვრევებით. ამისათვის 54 ძველი გემი გადაკეთდა და დესანტირების ადგილებში ერთმანეთის მიყოლებით ჩაძირეს. შეიქმნა ხუთი კედელი, რომელიც სანაპირო უბნებს ტალღებისა და ქარისაგან იცავდა.

მრავალრიცხოვანი ტექნიკის საწვავით უზრუნველსაყოფად ლა-მანშის ფსკერზე გაიყვანეს 20 მილსადენი, რომლითაც სადესანტო ჯარებს დღეში 450 ლ საწვავი მიეწოდებოდა.

დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ოპერატიული შენიღბვის ზომებს. ჯერ კიდევ 1943 წლის აგვისტოში შეიქმნა სპეციალური ქვეკომიტეტი, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობდა გერმანელთა ყურადღების გადატანას ნორმანდიიდან და სამხრეთ საფრანგეთიდან სკანდინავიაზე, ბალკანეთსა და ჩრდილოეთ იტალიაზე. ყველა ამ ღონისძიებათა ერთობლიობამ მოკავშირეებს წარმატება მოუტანა.

მოკავშირეთა დესანტის მოგერიებაში მონაწილეობდა გერმანიის არმიის ქართული ლეგიონის 795-ე, 797-ე, 798-ე და 799-ე ბატალიონები. შერბურის რაიონში ამერიკელთა 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფებს 795-ე ბატალიონმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და დიდი დანაკარგიც განიცადა.

თანამედროვე შეხედულებით, საზღვაო-სადესანტო ოპერაცია მოწინააღმდეგის სანაპიროზე დესანტირების მიზნით ჯარების სხვადასხვა სახეობათა შეთანხმებულ საბრძოლო მოქმედებებს წარმოადგენს. დესანტირების მიზანი შეიძლება იყოს: სამხედრო ბაზების, სხვადასხვა ობიექტის თუ სანაპირო რაიონების დაკავება, სანაპირო ზოლის გაყოლებით შეტევა, მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა და სხვა. ლოკალურ კონფლიქტებსა და ომებში საზღვაო დესანტი კვლავინდებურად რჩება საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ეფექტიან ფორმად, რომელიც ომის მსვლელობაზე დიდ გავლენას ახდენს.

სამაგალითოდ გამოდგება ფოლკლენდის 1982 წლის ომისას ბრიტანელთა ოპერატიულ-ტაქტიკური სახის სადესანტო ოპერაცია, რასაც არგენტინელთა წინააღმდეგობის დაძლევა მოჰყვა.

ბრიტანეთი ფოლკლენდის კუნძულებიდან 13 ათასი კილომეტრით არის დაშორებული. ასეთ დიდ მანძილზე ძალების გადაყვანა და ეფექტიანი სადესანტო ოპერაციის ჩატარება უმნიშვნელო დანაკარგებით, ოპერაციის ზედმიწევნით დაგეგმვასა და მონაწილე ქვედანაყოფების მაღალპროფესიულობაზე მეტყველებს.

დესანტის გადასხმის ადგილი და დრო კუნძულზე მოქმედი სადაზვერვო ჯგუფების ინფორმაციათა საფუძველზე დაიგეგმა. ძირითადი ძალებისათვის — სან-კარლოსის უბე, ხოლო სადემონსტრაციოსათვის კი — პორტ-დარვინი და ფოქსბეის უბე შეირჩა.

ოპერაციას საიდუმლო დოკუმენტების „დაკარგვის“ ინსცენირება უსწრებდა, სადაც დესანტის პორტ-დარვინის რაიონში გადასხმაზე იყო ლაპარაკი. ამ ვერსიას ხომალდებსა და სანაპიროზე მოქმედ სადაზვერვო-დივერსიულ ჯგუფებს შორის მიმდინარე რადიოსაუბრები ადასტურებდა, ხოლო ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომ არმია მხოლოდ დარბევითი მოქმედებებით შემოიფარგლებოდა, ამ აზრს უფრო აძლიერებდა. დამაჯერებელმა დეზინფორმაციამ არგენტინელები შეცდომაში შეიყვანა.

უშუალოდ დესანტირების წინ სადემონსტრაციო რაიონებს, პორტ-დარვინსა და ფოქსბეის უბეს, ავიაციამ და სახომალდო არტილერიამ ძლიერი დარტყმა მიაყენა.

1982 წლის 20 მაისს, დღის ბოლოს, ბრიტანული ხომალდები სან-კარლოსის უბეს 80-90 მილით მიუახლოვდნენ. მკაცრი



**სადესანტო ტექნიკის ნაპირზე გადმოსვლა**

**ბრიტანელი მედესანტეები ფოლკლენდებზე...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატური პირობები: ზღვის ღელვა – 3 ბალი, ჰაერის ტემპერატურა – მინუს 3 გრადუსი, ქარის სისწრაფე წამში – 10 მეტრი, ნისლი და თოვლნარევი წვიმა, ბრიტანელებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს – არგენტინელთა ავიაციის მოქმედებას გამორიცხავდა. არგენტინის ფლოტი კი ბაზებიდან გამოსვლას საერთოდ ვერ ბედავდა.

საცეცხლე მხარდაჭერისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე სან-კარლოსის უბეში დესანტირებისათვის მოუხერხებელ ნაპირზე, შეუულმფრენებითა და სადესანტო საშუალებებით დესანტის პირველი ეშელონი, საზღვაო ქვეითთა მე-3 ბრიგადის 1000 კაცი გათენებამდე გადმოვიდა. მედესანტეებს ეცვათ სპეციალური თერმოჟილეტები, რომელიც მძიმე კლიმატური პირობების იოლად გადატანის საშუალებას იძლეოდა. აღჭურვილნი იყვნენ ინდივიდუალური კავშირის საშუალებებითა და ღამის ხედვის ხელსაწყოებით.

5 საათში ბრიტანელებმა 10 კვკმ-ის პლაცდარმი დაიკავეს, რომელზეც რამდენიმე მსუბუქი ტანკი „სკორპიონი“ და „სიმიტერი“, 105 მმ-იანი 6 ქვემეხი, 60 მმ-იანი და 81 მმ-იანი ნალმსატყორცნები, ტანკსაწინაალმდეგო კომპლექსები „მილანი“, საჰაერო თავდაცვის სისტემა „რაპირის“ 6 კომპლექსი და სხვა საშუალებები გადმოიტანეს. „ჰარიერებისათვის“ ალუმინის ფურცლებით 245 მეტრი სიგრძის სპეციალური ზოლი მომზადდა.

დესანტირებამ პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის დანაკარგის გარეშე ჩაიარა. არგენტინელებმა დესანტი დილით აღმოაჩინეს და საჰაერო თავდასხმებით უპასუხეს, მაგრამ ბრიტანელებმა კარგად ორგანიზებული საჰაერო თავდაცვით თავდასხმა მოიგერიეს და შემდეგ შეტევა განავითარეს.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირი სპეციალურ სადესანტო ხომალდებს თუ კატარღებს არ აშენებდა და ოპერაციებში მედესანტეები სხვადასხვა სახის კატარღებს, თევზმჭერ სეინერებს, ნიჩბიან ნავებს, ტივებსა და მარტივი სახის სხვა მცურავ საშუალებებს გადაჰყავდა.

ტანკების, ქვემეხების, ავტომობილების გადასაყვანი მცურავი საშუალებების უქონლობის გამო დესანტს ბრძოლა მარტო უწევდა და მძიმე ტექნიკის გარეშე წარმატების მიღწევა ან პოზიციების შენარჩუნება დიდი დანაკარგის ფასად უხდებოდა.

1946 წლიდან გემთმშენებლობის საბჭოთა პროგრამები სხვადასხვა კლასის სადესანტო ხომალდებისა და კატარღების აგებას ითვალისწინებდა. შენდებოდა პატარა სადესანტო ხომალდები, რომლის პროექტს საფუძვლად 200 ტონა ტვირთამწეობის საზღვაო თვითმავალი ბარჟა დაედო. ბარჟაზე სამშენებლო მასალებით დატვირთული თვითმცლელები თავსდებოდა და ცხვირის გასახსნელი კარიდან ავტომობილები პირდაპირ ნაპირზე გადმოდიოდნენ.

პროექტს ნომერი 106 და შიფრი „ვიდრა“ მიენიჭა. 300 ტონა წყალწყვის ხომალდის წყალჯდომი სრული დატვირთვისას 1,6 მეტრს არ აღემატება და 10,5 კვანძის სიჩქარით 2 საშუალო ტანკის 1200 მილზე წაღება შეუძლია.

1963 წელს „ვიდრას“ მოდერნიზებული 106 პროექტი შეიქმნა. წყალწყვა 550 ტონამდე, ხოლო წყალჯდომი სრული დატვირთვისას 2,25 მეტრამდე გაიზარდა. ტრიუმი 3 საშუალო ტანკს ან 175 საზღვაო ქვეითს იტევს.

1965-70 წლებში საბჭოთა ფლოტისათვის 106 პროექტის 40-მდე ხომალდი აიგო. პარალელურად, პროექტი ბულგარეთში ვარნისა და რუსეს გემთსარემონტო ქარხნებმა აითვისეს. 1969-76 წლებში ბულგარელებმა სამხედრო და სავაჭრო ფლოტებისათვის, შესაბამისად, 10 და 14 ხომალდი ააგეს. სავაჭრო ფლოტში ჩარიცხული ხომალდები სამობილიზაციო რეზერვს წარმოადგენდა.

1992 წლიდან „ვიდრები“ ბულგარეთმა კონსერვაციაზე დააყენა. 2001 წლის ივლისში ხომალდები №608 და №612 საჩუქრად საქართველოს გადმოეცა. ამჟამად პატარა სადესანტო ხომალდები „გურია“ და „ატია“ (ბულგარელების სამხედრო-საზღვაო ბაზა, სადაც პატარა სადესანტო ხომალდები კონსერვაციაზე დგანან) საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში სამსახურს აგრძელებენ.

1992 წლის ბოლოს ფოთიდან გასული შავი ზღვის ფლოტის 184-ე საზღვაო ბრიგადის 39-ე დივიზიონიდან საქართველოს 1176-ე პროექტის (შიფრი „აკულა“) 2 პატარა სადესანტო კატარღა დარჩა.

1971-90 წლებში აზოვის გემთსაშენ ქარხანაში „ივან როგოვის“ სერიის დიდი სადესანტო ხომალდი-დოკებისათვის 29 „აკულა“ აიგო. 107 ტონა წყალწყვის კატარღაზე 1 საშუალო ტანკი ან 20 საზღვაო ქვეითი თავსდება.

9 კატარღა 39-ე დივიზიონში ჩაირიცხა, რომელსაც სადგომი ყულევში ჰქონდა. 1992 წლის 25 დეკემბერს რუსებმა ფოთიდან ხომალდების ბოლო ქარავანი გაიყვანეს და მათ შორის 7 „აკულა“ იყო. 3 იანვარს ნოვოროსიისკთან ქარავანი ძლიერ შტორმში მოხვდა და 4 საათში ერთმეორის მიყოლებით 3 მათგანი ფსკერისკენ წავიდა.

დარჩენილი 2 კატარღა ფოთში შეკეთდა და 1993 წლის 12 თებერვალს სადესანტო კატარღაზე საბორტო ნომრით „01“ საქართველოს დროშა აღიმართა და ის პირველი საბრძოლო დანიშნულების მცურავი ერთეული გახდა. ეკიპაჟს მაშინ მიჩმანი რობერტ ფიფია მეთაურობდა.

აფხაზეთის კონფლიქტი ორმხრივი საზღვაო დესანტირებით აღინიშნა. 1992 წლის 14 აგვისტოს, 13 საათზე, გაგრაში რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის გადაკეტვისა და იქ საქართველოს დროშის აღმართვის დავალებით ქართული სადესანტო რაზმი გაიგზავნა. ფოთიდან 150-მდე მებრძოლი სამგზავრო თბომავალმა „კომეტა-50“-მა, სალოცმანო კატარღა „ბურევესტნიკმა“, ბუქსირებმა „კონსტანტინე რეკვავამ“ და „კაპიტანმა გაწერელიამ“ წამოიყვანა. საბრძოლო ტექნიკიდან პატარა სადესანტო კატარღას БМП-1 და БТР-60ПБ მოჰქონდა. ქარავანი ბიჭვინთასთან რუსულმა სამხედრო ხომალდმა შეაჩერა. ქართველ სამხედროებთან მოლაპარაკების შემდეგ რუსებმა გემები დესანტით გაატარეს. 14 აგვისტოს დესანტი განთიადთან გადმოსხდა და იმავე დღის 20 საათზე ფსოუზე ქართული დროშა აფრიალდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მოწინააღმდეგე საზღვაო დესანტს საკმაოდ ხშირად და თან ეფექტიანადაც იყენებდა. პირველად აფხაზებმა დესანტი 1992 წლის 5 ოქტომბერს გაგრის ოპერაციის დროს გამოიყენეს, როცა იბრაჰიმ იაგანოვის ყაბარდოელთა 20-კაციანი რაზმი ხოლოდნაია რეჩკასთან 3-4 „ვოლგისა“ და „ნევკის“ ტიპის კატარღებიდან გადმოვიდა.

ქართული ფორმირებებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა 1993 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან 400-კაციანი დესანტის გადმოსხმა. აფხაზებმა სადესანტო საშუალებად პატარა სადესანტო ხომალდი „გუმა“ და კიდევ 2-3 სხვა გემი გამოიყენეს. ამ დესანტმა კონფლიქტის შემდგომ მსვლელობაზე დიდი როლი ითამაშა.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები დესანტის გადმოსხმის ამოცანებს რეგულარულად ამუშავებენ. 1997 წლის ოქტომბერში ყულევში გამართულ სწავლებაზე პირველად მოხდა სენაკის ბრიგადის 500-მდე ჯარისკაცის დესანტირება, რასაც, სამწუხაროდ, ორი ჯარისკაცის დაღუპვა მოჰყვა. ერთ-ერთის დაღუპვის მიზეზი ზღვის ნახვით გამოწვეული სტრესი აღმოჩნდა.

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# Opel ANTARA

გერმანიაში ხუმრობენ — ის ვინც მანქანის ფულს ვერ შოულობს, „ოპელს“ ყიდულობსო... ხუმრობა იქით იყოს და ალბათ, გახსოვთ ფირმა „ოპელი“ სრულამძრავიან „ფრონტერას“ რომ უშვებდა, — იაფ ჯიპს არცთუ მომთხოვნი მყიდველებისთვის. დღეისათვის გერმანულმა ფირმამ ჩვეული პრაქტიკულობა გამოიჩინა და ავტომოყვარულებს „ანტარა“ შესთავაზა. იგი შედარებით იაფი „შევროლე კაპტივას“ შორეული ნათესავია, მაგრამ უფრო სრულყოფილი და დახვეწილი. მეტია ნატიფი დიზაინერული კვანძი, მოსაპირკეთებელი მასალები მის სალონში გაცილებით ძვირფასია. მანქანა აღჭურვილია სოლიდური ელექტრომოწყობილობით, ერთი შეხედვით ეს „წვრილმანები“ მოხვდება ადამიანს თვალში.





გაალებთ თუ არა მანქანის კარს, შოკოლადისფერი საოფისე სავარძლები სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით. ნატურალური ტყავით გაწყობილი სალონი საკმაოდ ტევადია. მძღოლის სავარძელი შეგიძლიათ ელექტროამძრავებით მოხერხებულად მოირგოთ, საჭე ასწიოთ და უფრო ახლოს მიიტანოთ. ახლა შეგიძლიათ თვალი გარემოსაც მოავლოთ. აღმოჩნდა, რომ მაღლა ზიხართ და ყველაფერს მშვენივრად ხედავთ. მეტიც, უკუსვლისათვის მხოლოდ დიდ და მოხერხებულ სარკეებში ჩახედვაც საკმარისია...

ნელა დაძრავთ ავტომობილს, გახვალთ გზატკეცილზე და აქსელერატორს დააწვებით. მიუხედავად იმისა, რომ „ანტარას“ კაპოტქვეშ 227 ცხენის ძალა თვლემს, მანქანა ზანტად, ნელ-ნელა უმატებს სიჩქარეს. მოტორი ნაზად ღუღუნებს, ვერც დაიჯერებთ, რომ 3,2 ლიტრის ტევადობის ექვსცილინდრიანი ძრავა მიგაქანებთ წინ. ხუთსაფეხურიანი კლასიკური სიჩქარის კოლოფი ისე რბილად მუშაობს, რომ ეჭვი გეპარებათ, ვარიატორი ხომ არ ეხმარებაო.

ავტომობილის საკიდრები შეუმჩნევლად ნთქავს გზის ოდნავ უსწორმასწორო ზედაპირს, ოდნავ მოზრდილი ორმოებისა და ბორცვების გადალახვისას კი ხტის და ცახცახებს. თუ უნებურად გაერთეთ, შესახვევი გამოგრჩათ და საჭიროა ავტომობილის შემობრუნება, საჭის ტრიალი საკმაოდ მოგიწევთ. მსგავსი მანევრის ერთი მოქმედებით შესასრულებლად არანაკლებ 12,4 მეტრია საჭირო. ასეთი მონაცემებით მისი ფარეხში დაყენება გაგიჭირდებათ.

კლიმატ-კონტროლი სტაბილურად



ზრუნავს სალონის „ამინდზე“, ხმაურიზოლაცია კი ზედმეტ ხმაურს არ უშვებს კაბინაში..

აი, ჩასახვევსაც მივადექით. აღმოჩნდა, რომ სიჩქარეთა კოლოფი ნაადრევად შეგვიქია, ოდნავი უგზოობის პირობებში მისი ელექტრონული ტვინი შესაფერისად ვერ აზროვნებს, იქნებ სპორტული ალგორითმი აგვერჩია?.. დასანანია, რომ ცენტრალურ კონსოლზე მხოლოდ ერთი ზამთრის რეჟიმის ღილაკია. სამაგიეროდ, ნამდვილ გერმანულ მუხრუჭებს ვერ მოუძებნით ნაკლს. „ანტარა“ სწრაფად და ხავერდოვნად ჩერდება, ისე, როგორც ბადეში გახვეული ბურთი.

წინ მომცრო გუბეებით მოფენილი ხრეშიანი გზაა, „ანტარა“ 200-მილიმეტრიანი კლირენსით ასეთ მონაკვეთებს სიჩქარის დაუგდებლად გადის. გადავიდეთ გაცილებით რთულ გზაზე და კვლავ გამოვცადოთ „ანტარას“ შესაძლებლობები. ოღროჩოღრო გზის ზედაპირზე ავტომობილის ერთი უკანა ბორბალი ჰაერში აღმოჩნდა — საკიდარი მთლიანად „გაითიშა“. ავტომობილი ამ მდგომარეობიდან ძალზე მარტივად გამოვიდა — უცებ ფსკერზე რაღაცამ გაიწკაპუნა, შემდეგ ხრაშუნის ხმა მოისმა და ბორბალი ასფალტის ნარჩენზე დაეშვა, ამუშავდა ე.წ. ინტელექტუალური დიფერენციალი.

საერთოდ, ჩვეულებრივ პირობებში მანქანა ისე იქცევა, თითქოს წინა ღერძი იყოს წამყვანი, ხოლო როცა წინა ბორბლები სრიალს იწყებს, ბრუნვის მომენტი, მრავალდისკოიანი მოჭიდების საშუალებით, უკანა ღერძზე გადანაწილებას იწყებს. იმისდა მიხედვით, რა საგზაო სიტუაციაა, ბრუნვის მომენტის 50% წამის მეათედებში ნაწილდება უკანა თვლებზე.

„ანტარა“ ყველგანმავალი არ არის, იგი სრულამძრავიანი უნივერსალია: სიჩქარეების შემანელებელი მას არ აქვს, საბურავებიც ჩვეულებრივი, საგზაო უყენია. ჩვენი აზრით, მისმა კონსტრუქტორებმა მოძებნეს არა იდეალური, არამედ ძალზე მისაღები კომპრომისი ავტომობილის მართვადობასა და გამავლობას შორის.

გერმანული უგზოობის ავტომობილი პოსტსაბჭოურ სივრცეში ამ წლის გაზაფხულზე გამოჩნდა. ჯერ ძნელი სათქმელია, მოიგებს თუ არა ის თბილისელების გულს. ■







За рулем




არსენალი
Opel Antara

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისროლე „შუბი“ და დაივიწყე!




ვისაც ეს ვიდეოკადრები არ უნახავს, მათთვის პატარა შესავალს გავაკეთებთ: პოლიგონი. რამდენიმე ასეულ მეტრში საბჭოთა წარმოების T-72 ტიპის ტანკი დგას. იგი უდაბნოსფრად არის შეღებილი და სავარაუდოდ მანამდე ერაყის არმიას ეკუთვნოდა. საფრის უკან ერთი ამერიკელი სამხედროა ჩაცუცქული, რომელსაც მხარზე მსხვილი მილი აქვს გადებული. მოულოდნელად ამ მილიდან რაკეტა იღებს სტარტს, თუმცა რატომღაც ჰაერში, ზემოთ მიფრინავს საზენიტო რაკეტასავით, ნაცვლად იმისა, სამიზნისკენ – ტანკისკენ გაფრენილიყო ჰორიზონტალური ტრაექტორიით, როგორც ამას თითქმის ყველა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა აკეთებს. გადის რამდენიმე წამი და ტანკი საშინელი ძალით ფეთქდება. მხოლოდ შენელებულ ვიდეოკადრში ჩანს, როგორ ეცემა ტანკს ზემოდან ის რაკეტა, რომელიც მაღლა გაფრინდა და ყველას ეგონა, რომ მართვადაკარგული ასცდებოდა ტანკს...

ეს მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Javelin-ია, რაც ჩვენებურად შეიძლება ვთარგმნოთ როგორც სასროლი შუბი.

„ჯაველინის“ მესამე თაობისთვის მიკუთვნება კი იმან განაპირობა, რომ იგი მოქმედებს პრინციპით – „გაისროლე-დაივიწყე“, ანუ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების ოპერატორი დასამიზნებელი-სასროლი მოწყობილობით აღმოაჩენს მოწინააღმდეგე ტანკს. მონაცემები შეჰყავს თავად რაკეტის თვითდამიზნების სისტემაში და გასროლის შემდეგ რაკეტა თავად ეძებს „მსხვერპლს“.

დასამიზნებელი-სასროლი მოწყობილობა 6,36 კგ-ს იწონის და იგი მრავალჯერადი გამოყენებისაა. მასზე დაყენებულია კომბინირებული დღეღამური სამიზნე. დღის სამიზნე ოთხმაგი გადიდების ოპტიკითაა აღჭურვილი. ღამის სამიზნე ინფრაწითელ დიაპაზონში მუშაობს და აღმოაჩენს სამიზნის სითბურ კონტურს.

თავად რაკეტა 11,8 კგ-ს იწონის და მისი მოქმედების დიაპაზონია 50-2500 მეტრი. რაკეტის ფრენის სიჩქარე 300 მ/წმ-ს აღწევს. რაკეტას თავში აქვს გამოსხივების მატრიცული მიმღები, რომელიც ასევე ინფრაწითელ დიაპაზონში ფუნქციონირებს. რაკეტა აღჭურვილია ტანდემურად განთავსებული ორი კუმულაციური ქობინით, რომლებსაც 750 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის გახვრეტა შეუძლიათ. ასეთი ტანდემური კუმულაციური ქობინი დინამიკური დაცვის ელემენტებით დაცულ ტანკსაც აფეთქებს.

გასროლა ორი რეჟიმით შეიძლება. უძრავ სამიზნეებს (მაგალითად, ბუნკერებსა და გამაგრებულ სანგრებს) „ჯაველინის“ ოპერატორი რაკეტა პირდაპირი ტრაექტორიით ესვრის. ამ რეჟიმის გამოყენება შეიძლება მცირე სიჩქარით მფრენი ან ერთ ადგილზე, დაბალ სიმაღლეზე ჩამოკიდებული შვეულმფრენების დასაზიანებლად.

ძლიერი ჯავშნით დაცული ტანკების ასაფეთქებლად კი მეორე რეჟიმი გამოიყენება. ოპერატორი რაკეტის ჰორიზონტალთან მიმართებაში, 18 გრადუსით ზემოთ ისვრის. რაკეტა იღებს 150 მ სიმაღლეს, რის შემდეგაც იგი მოძრავ ტანკზე პიკირებს. რადგან ნებისმიერი თანამედროვე ტანკის დაცულობა ზემო პროექციაში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ტანკის შუბლა ჯავშნის გამძლეობა, ზემოდან დაცემული „ჯაველინი“, როგორც წესი, გადარჩენის შანსს არ უტოვებს არც ერთ ტანკს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯავშანმანქანებზე. სატრანსპორტო-გასაშვები კონტეინერიდან „ჯაველინის“ გაშვება ოთახიდანაც შეიძლება, რადგან სტარტის დროს მცირე რაოდენობით დამწვარი აირი გამოიტყორცნება, ეს კი უცილობლად დადებითი თვისებაა ქალაქის პირობებში ბრძოლისას.

რუსეთის არმიას შეიარაღებაში საერთოდ არ აქვს მესამე თაობის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები. „ჯაველინი“ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ინტენსიურად რეკლამირებული შედარებით თანამედროვე T-90C ტიპის ტანკებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ T-72 და T-80-



ებზე, რადგან მათი კორპუსებისა და კოშკურების ზედა მხარე ვერ გაუძლებს პიკირებულ „ჯაველინებს“.

რუსი კონსტრუქტორები ბოლო დროს ინტენსიურად მუშაობენ ტანკების დაცვის ხარისხის გასაზრდელად. ამ მიზნით შემუშავებულია კომპლექსი накидка, რომელიც ტანკის კორპუსს გადაეფარება და ამცირებს საბრძოლო მანქანის ძრავასა და სავალი ნაწილის გამოსხივებას ინფრაწითელ დიაპაზონში. ოღონდ ერთი ის არის, რომ „მოსასხამი“ დასველების შემდეგ მნიშვნელოვნად კარგავს თავის „უჩინმაჩინურ“ თვისებებს. ასე რომ, ერთი კარგი კოკისპირული წვიმის შემდეგ „მოსასხამში“ გახვეული რუსული T-90C ვერ დაემალება ამერიკულ „შუბს“.

მეორე თავდაცვითი კომპლექსი, რომელიც T-90C-ზე არის დაყენებული, არის штора, რომელიც ტანკის ეკიპაჟს აფრთხილებს ლაზერული დასხივების შესახებ და ელექტრომაგნიტური გამოსხივებით აფერხებს ლაზერული დამიზნების





მართვადი რაკეტების ზუსტ მოხვედრას ტანკზე, მაგრამ „ჯაველინს“ ინფრაწითელი დამიზნების მოწყობილობა აქვს და მისთვის ნაკლებადაა საშიში Штора-ის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

მესამე და ყველაზე სერიოზული კი არის აქტიური დაცვის სისტემა Арена. ტანკზე დაყენებული რადიოლოკატორი ალმოაჩენს მისკენ მფრენ რაკეტას და მისი მიმართულებით ტანკის კოშკურის გარშემო დამონტაჟებული „არენიდან“ ამოიტყორცნება ანტირაკეტა. ანტირაკეტა ფეთქდება და ნამსხვრევებით აფეთქებს ან მიმართულებას უცვლის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას, მაგრამ ცოტა საეჭვოა, „არენა“ ეფექტიანად დაუპირისპირდეს „ჯაველინს“, რადგან ეს უკანასკნელი წინიდან კი არ ხვდება ტანკს, არამედ მასზე ზემოდან პიკირებს.

ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსის „ჯაველინის“ შექმნა (1986-96 წ.წ.) აშშ-ს 5 მლრდ დოლარამდე დაუჯდა. სამაგიეროდ, ერთი კომპლექსის ღირებულება ამერიკულ არმიას 73 ათას დოლარამდე თუ უჯდებოდა, რაც ძალზე ცოტაა თითოეულ აფეთქებულ ტანკთან შედარებით. პროგრამით გათვალისწინებული იყო 9 ათასამდე „ჯაველინის“ კომპლექსის გაკეთება. დღემდე აშშ-ის არმიის გარდა, „ჯაველინები“ შეიძინეს ნიდერლანდებმა (240 კომპლექსი), ესპანეთმა – 12, ტაივანმა – 40 და იორდანიამ – 30. ლიტვა „ჯაველინის“ 18 კომპლექსისა და 75 რაკეტის ყიდვას აპირებდა, ესტონეთს კი 50 მლნ დოლარი ჰქონდა გამოყოფილი „ჯაველინების“ შესაძენად. ალბათ, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები არ იშურებენ მილიონებს „ჯაველინების“ შესაძენად, ისინი დღესაც უფრთხიან რუსულ ტანკებს, რომელთა მორჯულება ამერიკულ „ჯაველინებს“ მართლაც რომ კარგად შეუძლიათ.

*ირაკლი ალადაშვილი*



„ჯაველინი“ და T-72 „ურთიერთშეხვედრამდე“



რაკეტის ტანკზე მოხვედრის მომენტი



T-72-ის ნაშთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატვიის სამხედრო-საზღვაო ძალები




ჰოლანდიაში ნაყიდი მტრალავი ხომალდის „იმანტას“ საზეიმო მიღების პროცესი

ლატვიას ზღვაოსნობის დიდი და ძველი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში კურლანდიის ჰერცოგმა იაკობმა შორეულ ვესტ-ინდოეთში კუნძული ტობაგო და დასავლეთ აფრიკაში გამბია იყიდა, საიდანაც ოქრო და სხვადასხვა ნედლეული შემოჰქონდა.

სავაჭრო ექსპედიციებს სატვირთო და სამხედრო ხომალდები სჭირდებოდა, ამიტომ იაკობმა ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი საადმირალო შექმნა. კურლანდიაში აგებული სახაზო ხომალდები, ფრეგატები, კორვეტები, გალერები ბრიტანეთის, საფრანგეთის, ვენეციისა და სხვა ქვეყნების ფლოტებში მსახურობდნენ. თვით საჰერცოგოს სამხედრო ფლოტილია 40 ხომალდს, 3 ათასამდე მეზღვაურსა და არტილერისტს ითვლიდა. კურლანდიის ხომალდებს გამბიის სანაპიროსთან ბრიტანელებთან პატარა შეტაკებაც კი მოუხდა.

დიდი ხნის მანძილზე ლატვია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, ბევრი ლატვიელი მსახურობდა რუსეთის სამხედრო ფლოტში.

1917 წლის მოვლენების შემდეგ ქვეყანა მცირე ხნით გერმანიის ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა და დამოუკიდებლობა 1918 წლის 18 ნოემბერს აღიდგინა.

ძველი საზღვაო ტრადიციების მქონე დამოუკიდებელ ლატვიას, რომლის საზღვაო საზღვრები 496 კილომეტრს შეადგენდა, სამხედრო ფლოტის აუცილებლობა გაუჩნდა. მისი ჩამოყალიბება 1919 წლის 10 აგვისტოდან იწყება, როცა ლატვიის არმიის სარდლის გენერალ სიმანსონის ბრძანებით არმიის შტაბში საზღვაო განყოფილება გაიხსნა. 1937 წლიდან ეს თარიღი ლატვიის ფლოტის დაარსების დღედ აღინიშნება.

ფლოტის შექმნის პროცესს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა აფერხებდა. პირველი სამხედრო ხომალდი „ვირსაიტისი“ მწყობრში 1921 წლის 12 ივნისს ჩადგა და ფლოტის ფლაგმანის ადგილი დაიკავა. „ვირსაიტისი“ ყოფილი გერმანული მტრალავი M-68 იყო, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში რიგის ყურეში რუსულ ნაღმზე აფეთქდა, ნაპირზე გამოირიყა და გარემონტების შემდეგ ერთხანს სანაპირო რაზმის საშტაბო ხომალდის მოვალეობას ასრულებდა.

იმდროინდელი ლატვიის ფლოტი სხვადასხვა, მაგრამ დამოუკიდებელ ქვედანაყოფთა ერთიანობას წარმოადგენდა და მისი გაერთიანება 1924 წელს ლატვიის პრეზიდენტის ბრძანებით მოხდა. შეიქმნა სანაპირო დაცვის საზღვაო ესკადრა, რომლის მეთაურად პირველი რანგის კაპიტანი არჩიბალდ კეიზერლანგი დაინიშნა.

კეიზერლანგი ენერგიულად ილვწოდა ფლოტის ახალი მცურავი საშუალებებით შევსებისათვის, მისი სარდლობისას ლატვიისათვის საფრანგეთში 2 ახალი მტრალავი და 2 წყალქვეშა ნავი აიგო.

1931 წელს სარდლობა პირველი რანგის კაპიტანმა თეოდორ სპადემ ჩაიბარა. მის სახელს ფლოტში ლატვიური სულის გამტკიცება უკავშირდება, როცა მას 1938 წლის 15 ივლისს სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ბალოდისმა საზეიმოდ გადასცა დროშა დევიზით — „ჩვენ წმინდა სიტყვა „ლატვია“ გვაერთიანებს!“.

ფლოტის მთავარი ამოცანა ნაღმებით, მოძრავი სანაპირო არტილერიით, წყალქვეშა ნავებით, ტორპედოებითა და სწრაფმსროლელი ქვემეხებით აღჭურვილი პატარა ხომალდებით სანაპიროს დაცვა იყო.

მალე ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ ლატვიელ მეზღვაურებს ამის გაკეთება არ დასჭირდათ. 1940 წლის 5 აგვისტოდან ლატვია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა და სამხედრო ხომალდები ბალტიის ფლოტის განკარგულებაში გადავიდა.

საბჭოთა ბალტიის ფლოტს დაემატა მტრალავები: „ვირსაიტისი“, „ვიესტურსი“ და „იმანტა“ (ბოლო ორი მწყობრში 1927 წელს შევიდა), წყალქვეშა ნავები „სპიდოლა“ და „რონის“ (ორივე მწყობრში 1926 წელს შევიდა), 5 დამხმარე გემი, 2 იახტა და ამდენივე სასაზღვრო კატარღა.

ბალტიის ფლოტმა ხომალდები და დამხმარე გემები კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში, მომზადებული და გამოცდილი მეთაურებით მიიღო. თუმცა ლატვიელი ოფიცრები მალე ჩამოიწერა და ბევრი მათგანი ციმბირში, ხოლო ფლოტის სარდალი თეოდორ სპადე კი — ყაზახეთში აღმოჩნდნენ.

თადარიგიდან გამოძახებულმა საბჭოთა ახალგაზრდა ოფიცრებმა ახალი ტექნიკის ათვისება ვერ მოასწრეს და მეორე მსოფლიო ომმა ლატვიურ ხომალდებს ტრაგიკული ბედი მოუმზადა. ომის ქარცეცხლს მხოლოდ მტრალავი „ვიესტურსი“ (ბალტიის ფლოტში T-298) გადაურჩა.

1991 წელმა ლატვიას დამოუკიდებლობა დაუბრუნდა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტს აღორძინების პირობები შეუქმნა. საბჭოთა ფლოტის სამსახურში მყოფმა ლატვიელ ოფიცერთა დიდმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება და მომავალი ფლოტის ფორმირებაში მონაწილეობა გადაწყვიტა. მათ შორის იყო პირველი რანგის კაპიტანი გაიდის ზებოიტისი, რომლის ხელმძღვანელობითაც ფლოტის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა.

ახალგაზრდა ფლოტისათვის 1991 წლის 11 აპრილმა ისტორიული ღირებულება შეიძინა. „სამსი“ პირველი ხომალდი გამოდგა, რომელზეც ლატვიის ეროვნული დროშა აღიმართა. საბჭოთა „რიბნადზორის“ სერიის ხომალდის შეიარაღება მოკრძალებულად გამოიყურებოდა და მას ერთი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცერთა მომზადებას თავიდანვე დიდი ყურადღება დაეთმო და 1991 წლის 1-ელ ოქტომბერს ლიეპაიის საზღვაო კოლეჯში საზღვაო მესაზღვრეთა სასწავლო ცენტრი დაარსდა. 1994 წლის 1-ელი სექტემბრიდან სასწავლო ცენტრს დამოუკიდებელი სტატუსი აქვს და მისი მთავარი მისია საზღვაო ძალების კარგად მომზადებული საზღვაო კადრებით უზრუნველყოფაა.

პრაქტიკაშია სასწავლებლად ოფიცერთა NATO-ს წევრ ქვეყნებში გაგზავნა. ბევრ ოფიცერს განათლება გერმანიაში, აშშ-ში, დანიაში, შვეციასა და საფრანგეთში აქვს მიღებული.

საზღვაო ძალების პირველი დივიზიონი 1992 წლის 4 თებერვალს ლიეპაიაში ჩამოყალიბდა. დივიზიონის მოვალეობა იყო ლიტვიდან ესტონეთამდე საზღვაო საზღვრების დაცვა და ეკონომიკური ზონის გაკონტროლება. მოგვიანებით, დივიზიონი ჯერ ფლოტილიად, ხოლო 2004 წლიდან ესკადრად გარდაიქმნა.

1995 წლის 11 აპრილს ლატვიის საზღვაო ძალებს 1940 წელს ჩამორთმეული, მაგრამ შენარჩუნებული დროშა დაუბრუნდა.

1999 წლის 17 სექტემბრიდან ქვეყნის საზღვაო ძალების სარდლის პოსტი პირველი რანგის კაპიტანს ილმარ ლეშჩინსკის უკავია. ის გამოცდილი მეზღვაური და ბალტიის ქვეყნების გაერთიანებული ესკადრა „ბალტრონის“ პირველი მეთაური იყო.

მისი სარდლობისას ლატვიამ დასავლეთის ქვეყნებიდან რამდენიმე მცურავი საშუალება მიიღო, კეთილმოეწყო ბაზირების პუნქტები, ამაღლდა ოფიცერთა მომზადების დონე, მაგრამ ავარიის შედეგად ფლოტს ერთი ხომალდი გამოაკლდა. 2000 წლის 2 ნოემბერს შვეციის სანაპიროსთან, ეკიპაჟის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, ქვებზე სასაზღვრო ხომალდი „სპულგა“ გაირიყა და ოთხი დღის შემდეგ ბუქსირებისას ჩაიძირა.

2005 წელს სარდლობა მეორე რანგის კაპიტანმა ალექსანდრე პავლოვიჩმა ჩაიბარა. ამჟამად ლატვიის სამხედრო-საზღვაო ძალები 1200-მდე კაცს ითვლის, საიდანაც 100-მდე ოფიცერია, 400 წვევამდელი და 220 სანაპირო დაცვის მოსამსახურე. ყველა ხომალდისა და კატარღის მეთაური ახალგაზრდა ოფიცრები არიან, ვინც საზღვაო განათლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიიღო.

ორგანიზაციულად საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის: ცენტრალური (შტაბით რიგაში) და სამხრეთის (შტაბით ლიეპაიაში) რაიონები, სანაპირო დაცვის ბატალიონი (ვენტსპილსი) და სასწავლო ცენტრი (ლიეპაია).

ლატვია, როგორც NATO-ს წევრი ქვეყანა, დასავლურ ტექნიკაზეა ორიენტირებული და აქცენტს ნაღმსაწინააღმდეგო ოპერაციებზე აკეთებს.

სახომალდო შემადგენლობაში მთავარი ადგილი მტრალავ ხომალდებს უკავია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: M01 „ვისტურსი“და M02 „იმანტა“ (გდრ „კონდირ-2“-ის პროექტი, გადმოეცა 1993 წელს), M03 „ნამეის“ (გფრ „ლინდაუს“ სერია, გადმოეცა 1999 წელს);

საპატრულო სამსახურისათვის განკუთვნილია კატარღები: P 01 „ზიბენში“, P 02 „ლოდე“, P 03 „ლინგა“ და P 04 „ბულტა“ (ნორვეგია „შტორმის“ სერია, გადმოეცა 1994-98 წლებში);

დამხმარე ძალების განკარგულებაშია: საშტაბო ხომალდი A 53 „ვირსაიტისი“ (ნორვეგიელთა „ვალე“, გადმოეცა 2003 წელს), ბუქსირი A 18 „პერკონსი“ და მყვინთავთა კატარღა A 51 „ლიდავა“.

2004 წლის 27 ნოემბერს ლატვიამ ჰოლანდიელებისაგან ჰიდროგრაფიული გემი A 90 „ვარონისი“ მიიღო. მის ფუნქციებში შევიდა: გაერთიანებული ესკადრა „ბალტრონის“ საშტაბო მომსახურება, საპატრულო ხომალდების ფლოტილიის მომსახურება, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე




დაკვირვება, კადეტთა მომზადება, სამაშველო-საძიებო სამუშაოების ჩატარება.

2004-2008 წლებისათვის რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების განვითარების კონცეფციის თანახმად, ლატვიის მთავრობა 2005 წლის ბოლოს ჰოლანდიას „ალკმაარის“ სერიის 5 მტრალავის შეძენაზე შეუთანხმდა. თითოეული ხომალდი 12 მილიონი ევრო ჯდება და თანხა ეტაპობრივად, 2012 წლამდე დაიფარება. 2007 წლის 7 მარტს ლიეპაიის ბაზაში ლატვიამ პირველი ხომალდი M04 „იმანტა“ (ყოფილი „ჰარლინგენი“, მწყობრში 1984 წლის 12 აპრილს შევიდა) მიიღო. განზრახულია „იმანტის“ გამოყენება NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებში, სამაშველო და საპატრულო ოპერაციებში.

ძველი M02 „იმანტა“ კონსერვაციაზე დადგება და, ალბათ, საზღვაო მუზეუმად გადაკეთდება. ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ლატვიელებს მიჰბაძავს და რომელიმე ჩამოწერილ მცურავ საშუალებას ჯართში ჩაბარების ნაცვლად საზღვაო მუზეუმად გამოიყენებს.

საზღვაო ძალების დაქვემდებარებაშია სანაპირო დაცვა. მისი ფუნქციონირება დივიზიონით დაიწყო და 2004 წელს ესკადრად ჩამოყალიბდა საზღვაო საზღვრების დაცვის ფუნქციებით.

სანაპირო დაცვა 5-დან 140 ტონამდე წყალწყვის 10 კატარღასა და ერთ 540 ტონა წყალწყვის ხომალდს ითვლის. მცურავი საშუალებები მხოლოდ ტყვიამფრქვევებით არის აღჭურვილი.

სანაპირო დაცვის კატარღები ბალტიის ზღვასა და რიგის უბეში ჩატარებულ საერთაშორისო სწავლებებში რეგულარულად მონაწილეობენ. მთავარი ამოცანებია: ტერიტორიული წყლებისა და ეკონომიკური ზონის დაცვა-კონტროლი, საძიებო-სამაშველო ოპერაციების ჩატარება, განაღმვითი ოპერაციების დროს რაიონის დაცვა-პატრულირება და ა.შ.

*თემურ ჩაჩანიძე*




საშტაბო ხომალდი „ვერსაიტისი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სასირეთის ბრძოლა

## ვიკინგები საქართველოში

დღემდე მსჯელობენ მეცნიერები, რამ განაპირობა ვიკინგთა ასეთი წარმატება. განსაკუთრებული იარაღი არ გააჩნდათ — ისევე იყვნენ აღჭურვილნი, როგორც სხვა დასავლეთევროპელი მეომრები. არც სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაში შეუტანიათ ნორმანებს რევოლუციური ცვლილებები. მათი წარმატების საიდუმლო მდგომარეობდა ზღვაზე სწრაფ და მოხერხებულ გადაადგილებაში. ამიტომაცაა, რომ როცა ვახსენებთ ვიკინგს, სკანდინავიელ მეომარს, თვალწინ წარმოგვიდგება უპირატესად გულადი მეზღვაური. ვიკინგები პატარა გემებზე ამხედრებულნი შენიღბვით, უცაბედად ესხმოდნენ მოწინააღმდეგეს. VIII საუკუნიდან დღევანდელი სკანდინავიის ტერიტორიიდან ვიკინგთა სამხედრო აგრესია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: ნორვეგიიდან და დანიიდან გამოსულმა მეზღვაურებმა ძირითადად თანამედროვე გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის სანაპირო ზოლის აოხრებას მიჰყვეს ხელი. შვედები აღმოსავლეთ ევროპის — კიევის რუსეთისა და სხვა სლავური სამეფო-სამთავროების დარბევით იყვნენ დაკავებული.

IX საუკუნიდან ნორმანები დიდი მდინარეებით კონტინენტური ევროპის სიღრმეში იჭრებიან. ამავე დროს სკანდინავიელები ახერხებენ ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციების დაპყრობას. ვიკინგთა სამხედრო რაზმები პატარა გემებით, რომლებზეც 50-100 მეომრამდე ეტეოდა და რომელთა ქიმზე ურჩხული იყო გამოსახული, თანდათანობით გიბლარტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვის აუზში იკიდებდნენ ფეხს. XI საუკუნეში კი სამხრეთ იტალიაში ნორმანებმა საკუთარი სამეფოს შექმნაც მოახერხეს.

გადმოცემით, 1000 წელს ნორმანმა მეზღვაურებმა თვით ჩრდილოეთ ამერიკამდეც კი მიაღწიეს. X საუკუნის II ნახევრიდან ვიკინგთა მრავალრიცხოვანი სამხედრო რაზმები მსახურობდნენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე. ბერძნები მათ ვარანგებად იხსენიებდნენ. კონსტანტინოპოლში, ადგილს, სადაც ვარანგები — ვიკინგები ცხოვრობდნენ, „ვაერინგჯა სკიფტ“ ან „ვაერინგჯა სეტა“ ერქვა. დაქირავებულ მეომრებს ევალებოდათ სასახლისა და იმპერატორის დაცვა. ბიზანტიაში ვიკინგები, ძირითადად, რუსეთის გავლით ხვდებოდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ კიევისა და ნოვგოროდის დაწინაურება, ხოლო შემდეგ კიევის სახელმწიფოს ფორმირება ნაწილობრივ დაკავშირებულია ვიკინგებთან. პირველი რუსი მთავრებიც სკანდინავიურ სახელებს ატარებდნენ. ნაწილი მეომრებისა პირდაპირ კონსტანტი-

IX ს-ის ვიკინგების გემი. ინახება ოსლოს მუზეუმში



**IX საუკუნის დასავლეთ ევროპის კათედრალებსა თუ მონასტრებში ხშირად წარმოთქვამდნენ სავედრებელ ლოცვას: „უფალო, შენ დაგვიფარე ნორმანთა მძვინვარებისაგან“. ევროპული ქრონიკები ნორმანებად სკანდინავიელ მეომრებს მოიხსენიებდნენ. მეორენაირად მათ ვიკინგებსაც უწოდებდნენ. საუკუნეების მანძილზე ისინი ცეცხლითა და მახვილით არბევდნენ ევროპის ქალაქებსა და სოფლებს.**




სასირეთის ბრძოლის სიტუაციური გეგმა



სავარაუდოდ ასე გამოიყურებოდა ვიკინგთა გემი რიონის შესართავთან

ნოპოლში მიდიოდა სამხედრო სამსახურისთვის, ნაწილი ჯერ კიევში ჩადიოდა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ბიზანტიაში გადადიოდა. იმპერატორის კარზე მყოფი რაზმები ივსებოდა ასევე სიცილიაში დამკვიდრებული ნორმანების ხარჯზეც.

ქართველებს ვიკინგთა არსებობის შესახებ სწორედ ბიზანტიელებისაგან უნდა გაეგოთ. ქართულ წყაროებში მოხსენიებული სახელი „ვარანგ" ბერძნული სახელწოდების ადეკვატურია. ამავე პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა სლავურ სამყაროსთან, სადაც ვიკინგები მეტად პოპულარულები იყვნენ. ასე რომ, სკანდინავიელი მეომრების ბრძოლისუნარიანობისა და შემართების შესახებ ქართველებს უტყუარი ცნობები ექნებოდათ. სწორედ ამან განაპირობა კიდეც XI საუკუნის შუახანებში საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს გადაწყვეტილება, დაექირავებინა ვიკინგები – ვარანგები აჯანყებული კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ.

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ძმათამკვლელი ომი იყო გაჩაღებული. ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს მეთაურობით, და სეპარატისტი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პირველობის მოსაპოვებლად. ამ ომმა შესვენებებით თხუთმეტ წელიწადს გასტანა.

1041 წელს მოხერხდა დაპირისპირებულ მხარეთა დაზავება, მაგრამ მშვიდობა ქვეყანაში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1045 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიელთა მხარე დაიკავა და ბაგრატ IV-ს ანისის სომხური სამეფო დააკარგვინა. ამ ფაქტით ძმათამკვლელი ომის ახალი ეტაპი დაიწყო.

იმავე წელს მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ერთმანეთთან პირისპირ ბრძოლას. როგორც ბაგრატ IV-მ, ისე ლიპარიტ ბაღვაშმა ძალების მობილიზაციის ტაქტიკა არჩიეს. ლიპარიტმა დასახმარებლად ბიზანტიელებს უხმო. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი იმ დროს ბიზანტიიდან სამშობლოში მიმავალ ვიკინგებს დაუკავშირდა, რომელთა ნაწილი 1043 წელს კონსტანტინოპოლზე რუსთა თავდასხმაში მონაწილეობდა. მათ, ბიზანტიელთა მიერ დატყვევებულებმა, სამი წელიწადი გაატარეს ტყვეობაში. იმპერატორის ბრძანებით, ტყვე რუს-ვიკინგთა ერთი ნაწილი დაასახიჩრეს.

დაქირავებული ვარიაგები პირველად რიონის დინებით სოფელ ბაშში დაბანაკდნენ. ბაგრატ IV-მ საქართველოში სულ 3000 ვიკინგი მოიწვია. გადამწყვეტ ბრძოლაში მეფემ მხოლოდ 700 ვარიაგი წამოიყვანა. როგორც ჩანს, დარჩენილ 2300 კაცს, მძიმე ტყვეობისაგან ძალაგამოლეულებსა და დასახიჩრებულებს, ბრძოლა აღარ შეეძლოთ.

ლაშქარმა ლიხის მთა გადმოიარა და დღევანდელი კასპის რაიონში, სოფელ სასირეთის ჭალასთან დაბანაკდა. ლიპარიტ ბაღვაში მოპირდაპირე, მდინარე თეძმის მარცხენა მხარეს იყო გამაგრებული. ბრძოლის დაწყებას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ბაგრატ IV კიდევ ელოდა დამატებით ძალებს მესხეთიდან, მაგრამ ამ დროს თავიანთ სიმამაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა სარდლობასთან შეუთანხმებლად იერიში მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე. ამან იძულებული გახადა საქართველოს მეფე ბრძოლაში ჩართულიყო. ქართველი მემატიანე გაკვირვებით აღნიშნავს: „ვარანგები მესხებს აღარ დაელოდნენ და ლიპარიტს შეუტიეს". კლდეკარის ერისთავს ბიზანტიელთა გარნიზონები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმღვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. ევროპაში სახელგანთქმულმა ნორმანებმა მტკვრისა და თეძმის ხეობაში მარცხი იწვნიეს. ლიპარიტ ბაღვაშმა ვიკინგებს სამარცხვინო სასჯელი მოუსაჯა. მათ პური გააცხრილვინა, შემდეგ კი ბაშში დაბანაკებულ თანატომელებთან გაისტუმრა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა ვიკინგი-ვარიაგებისაგან მთავარი პირობა მიიღო, რიონის ნაპირებთან დაბრუნებისთანავე ისინი დარჩენილ 2300 მეომართან ერთად საქართველოს უნდა გასცლოდნენ. ეს იყო ერთადერთი შეხვედრა, როცა ვარიაგები საქართველოში იმყოფებოდნენ. სასირეთის ბრძოლას შეიძლება ისტორიაში არც დაეკავებინა ისეთი გამორჩეული ადგილი, რომ არა მასში ვიკინგთა მონაწილეობა. ამის შემდეგ 10 წელიწადი ლიპარიტ ბაღვაში და ბაგრატ IV უწინდებურად განაგრძობდნენ დაპირისპირებას, მაგრამ ვარიაგების მოწვევა არც ერთ მხარეს აღარ გახსენებია. ვიკინგი-ვარიაგი საქართველოში უძლეველი მეომრის სინონიმად ვერ იქცა, ხალხს კარგა ხანს ემახსოვრებოდა პურის საკაზმავად (პურის გასაცხრილავად) დამსხდარი ვარიაგები, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ ლიპარიტ ბაღვაშის გულმოწყალებით მოახერხეს.

ჯაბა სამუშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად** 1. სამხრეთაფრიკული ტაქტიკური გამანადგურებელი; 4. იემენის დედაქალაქი; 5. ამერიკული რევოლვერი; 7. ესპანური პისტოლეტი; 8. მექსიკური პისტოლეტი; 11 ბარაზილიელი ფეხბურთელი; 13. ფრანგული საგემბანო ვერტმფრენი; 14. ძლიერი შხამი, რომელსაც ინდიელები იყენებდნენ ისრების მოსაწამლად; 15. ბელგიური რევოლვერი; 18. ამერიკული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი თვითმფრინავი; 20 სამაგიდო თამაში; 22. მუხლუხებით მავალი ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 23. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 26. ამერიკული რევოლვერის „ჰუდის“ მოდელი; 27. პოლონური 35 მმ-იანი თვითმავალი საზენიტო დანადგარი; 28. ამერიკული საბაზო-საპატრულო თვითმფრინავი; 29. წვრილი და მაღალი ციხე; 30. ავსტრიული გამნალმველი დისტანციური მართვის მანქანა.

**შვეულად** 1. გერმანული დაკუთხვილლულიანი ზამბარა; 2. საჭიდაო ხალიჩა; 3. იარაღის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 4. ჯარის უფროსი მხედართმთავარი ძველად; 6. უფროსი მატროსი გემზე; 8. შვეიცარიული პისტოლეტი; 9. რჩეული საზოგადოება; 10. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში; 12. ომის მომზადების და წარმოების დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 14. ქვეითი ჯარის რაზმი ძველ რომში; შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს; 16. საზღვაო აკადემიის უფროსკურსელთა წოდებულება რევოლუციამდელ რუსეთში, რომლებიც ფლოტში პრაქტიკას გადიოდნენ; 17. ნაპოლეონის არმიის მარშალი; 19. ფრანგული ვაზის ჯიში; 21. უგუმბათო ეკლესია; 24. სამაგიეროს გადახდა ბრძოლაში დამარცხებისათვის; 25. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით.

*ჟურნალის წინა ნომრში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 3. ტიპო; 5. გეიტსი; 6. ზაუერი; 7. რვიუნი; 8. რაუნდი; 9. ნიანგი; 11. ზიგ; 14. ბრიგადირი; 17. ოდა; 18. ლაიკა; 19. შატლი; 20. იპონი; 21. სიონი; 22. გრინი; 23. ეტა; 25. გაბილონდო; 29. აბერდინი; 30. ტუ; 31. ავანგარდი; 33. ძე; 34. მედია; 35. სუმო. **შვეულად:** 1. მილიტარი; 2. ვიზირი; 3. ტაურუსი; 4. პარადი; 5. გრიფონი; 13. ბრაზილია; 15. რეალი; 16. გალანი; 21. სიერა; 22. გო; 24. ალებარდა; 26. არისაგა; 27. ისინდი; 28. ოსტე; 31. არმი; 32. გეკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არსენალი" გთავაზობთ მაისის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.

# არსენალის მაისის კალენდარი

**1 მაისი**

1960 წელი – სვერდლოვსკის ცაში (ბირთვული იარაღის მწარმოებელი კომპლექსის თავზე) ჩამოაგდეს ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი „U-2" – პილოტი ჰარი პაუერსი.

**2 მაისი**

1945 წელი – საბჭოთა ჯარებმა აიღეს გერმანიის დედაქალაქი ბერლინი.

**3 მაისი**

1469 წელი – დაიბადა ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი მოაზროვნე, დიპლომატი, ისტორიკოსი, მწერალი, სამხედრო თეორეტიკოსი (1521 წელს გამოცემულ ტრაქტატში „სამხედრო ხელოვნების შესახებ" მკაცრად გააკრიტიკა დაქირავებული ჯარის სისტემა და წამოაყენა ხელმწიფის მორჩილებაში მყოფი მუდმივი ჯარით მისი შეცვლის წინადადება).

1658 წელი – გარდაიცვალა ოლივერ კრომველი – ინგლისელი მხედართმთავარი (მისი მხედრული და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ქვეყნის პარლამენტის არმიამ გაიმარჯვა მე-17 საუკუნის ინგლისის სამოქალაქო ომში, დაფუძნდა მმართველობის დემოკრატიული ფორმა და თითქმის 200 წლის შემდეგ ქვეყანამ აღიდგინა სამხედრო ძლიერება).

**4 მაისი**

1800 წელი – გენერალ-მაიორმა პეტრე ბაგრატიონმა გატჩინის სამეფო კარის ეკლესიაში იქორწინა ფრეილინა ეკატერინე სკავრონსკაიაზე (ნეფე 35 წლისა იყო, პატარძალი – 18-ისა, მეჯვარეობდა თვით იმპერატორი პავლე I).

1928 წელი – დაიბადა მუჰამედ ჰოსნი მუბარაქი – ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი, ავიაციის მარშალი (უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო საბჭოთა კავშირში, ერთ-ერთი პირველი ეგვიპტელი მფრინავია, ვინც შეიძინა ზებგერითი და გამანადგურებელი ბომბდამშენი თვითმფრინავების მართვის გამოცდილება, ანვარ სადათთან ერთად მონაწილეობდა არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის გეგმის შემუშავებაში).

1945 წელი – ბრიტანელმა მარშალმა ბერნარდ ლოუ მონტგომერიმ გერმანელთა კაპიტულაცია მიიღო ჰოლანდია-დანიის რაიონში, ბალტიის სანაპიროსთან.

1982 წელი – არგენტინის სამხედრო-საზღვაო ძალების საგემბანო მოიერიშემ „სუპერეტანდორმა" სარაკეტო დარტყმით ატლანტის ოკეანეში ჩაძირა დიდი ბრიტანეთის საესკადრო ნაღმოსანი „შეფილდი" (ეს უკანასკნელი შეიარაღებული იყო ბირთვული იარაღითა და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ეფექტიანი საშუალებებით, ეკიპაჟი – 268 კაცი).

**5 მაისი**

1773 წელი – თურქებთან შეტაკებაში დაიღუპა ეგვიპტის მმართველი, მამლუქი ალი-ბეი (წარმოშობით ქართველი).

1821 წელი – გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტი – საფრანგეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, იმპერატორი.

1919 წელი – დაიღუპა ვასილ ჩაპაევი – რუსეთის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა.

**6 მაისი**

1993 წელი – საქართველოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა გიორგი ყარყარაშვილი – გენერალ-მაიორი (1992 წ.).

**7 მაისი**

1915 წელი – გერმანიასთან ომში აშშ-ის ჩაბმის მიზეზი გახდა გერმანული წყალქვეშა ნავის მიერ ამერიკული ორთქლმავლის „ლუზიტანიას" ჩაძირვა (დაღუპული 1.200 მგზავრიდან ამერიკელი იყო 124).

1920 წელი – საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (რუსეთმა ცნო ჩვენი დამოუკიდებლობა).

1954 წელი – ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლებამ იოსებ სტალინს უარი უთხრეს NATO-ში სსრკ-ის გაწევრებაზე.

**8 მაისი**

1945 წელი – ბერლინის გარეუბანში, კარლსჰორსტში, მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მე-2 მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

**9 მაისი**

1945 წელი – საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა 1941-1945 წლების სამამულო ომში გერმანიასთან.

**10 მაისი**

1760 წელი – დაიბადა კლოდ ჟოზეფ რუჟე დე ლილი – ფრანგი სამხედრო ინჟინერი, კომპოზიტორი, ეროვნული ჰიმნის „მარსელიეზას" ავტორი.

**11 მაისი**

1745 წელი – ბელგიური სოფლის, ფონტენიუს რაიონში გაიმართა ავსტრიის მემკვიდრეობისთვის 1740-48 წლების ომის ერთ-ერთი ბრძოლა: საფრანგეთის არმიამ (40 ათასი კაციდან დაკარგა 6 ათასი მეომარი, სარდალი მორიც საქსონელი) – მოიგერია ინგლისი-ჰოლანდია-ჰანოვერის გაერთიანებული ჯარი (რომელმაც 50 ათასიდან მოისაკლისა 14 ათასამდე კაცი, სარდალი ფელდმარშალი ლ. კენიგსეგი), შემდეგ შეტევაზე გადავიდა და უკუაქცია მოწინააღმდეგე.

1949 წელი – სამხედრო წოდება „ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი" მიენიჭა ვასილ სტალინს.

**12 მაისი**

1908 წელი – დაიბადა ალექსი ინაური – გენერალ-პოლკოვნიკი (1967 წ.), საბჭოთა კავშირის გმირი (1985 წ.).

1917 წელი – ამერიკელი მხედართმთა-

U2





ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბისმარკი“

ვარი ჯონ ჯოზეფ პერშინგი დაინიშნა საექსპედიციო ძალების სარდლად და მიენიჭა სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ („შავი ჯეკი“ იყო XX საუკუნის 1-ელი ნახევრის ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი აშშ-ში).

**13 მაისი**

1846 წელი – ამერიკამ ომი გამოუცხადა მექსიკას (დასრულდა 1848 წლის თებერვლის ზავით, რომლის ძალით მექსიკამ გამარჯვებულ მხარეს ტეხასსა და კალიფორნიაში დაუთმო ტერიტორიების 55%).

1940 წელი – გერმანიის ჯარები საფრანგეთში შევიდნენ.

1963 წელი – აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ კენედის ბრძანებით, რეგულარული არმიის 3 ათასი ჯარისკაცი გაიგზავნა ბირმინგემში (რასობრივ სეგრეგაციასთან დაკავშირებული გამოსვლების გამო).

1982 წელი – ესპანეთი გახდა NATO-ს მე-16 წევრი.

1992 წელი – სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ მიენიჭა შოთა კვირაიას.

**14 მაისი**

1954 წელი – გარდაიცვალა ჰაინც გუდერიანი – გერმანელი მხედართმთავარი, ჯავშანსატანკო ჯარების სარდალი, „ბლიცკრიგის“ კონცეფციის განმახორციელებელი.

**15 მაისი**

1942 წელი – სსრკ-ში გამოცადეს პირველი რეაქტიული თვითმფრინავი (მფრინავი გ. ბახჩივანჯი).

1948 წელი – დაიწყო არაბულ სახელმწიფოთა პირველი ომი ისრაელის წინააღმდეგ.

**17 მაისი**

1877 წელი – რუსეთ-თურქეთის ომის (1877-78წ.წ.) დროს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს არტაანი – ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში (1918-1920 წლებში ორჯერ მიიტაცა თურქეთმა და ამჟამად მის მფლობელობაშია).

**18 მაისი**

1800 წელი – გარდაიცვალა ალექსანდრე სუვოროვი – გამოჩენილი რუსი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი (1799 წ).

1917 წელი – პირველი ომის წლებში აშშ-ში პირველად შემოიღეს სამხედრო ვალდებულება (კონგრესის დამტკიცებული საკანონმდებლო აქტით კანონის სტატუსი შეიძინა პრეზიდენტ ვილსონის ინიციატივამ სავალდებულო გაწვევის შემოღების თაობაზე).

1948 წელი – ისრაელელმა 28 წლის კაპიტანმა მოშე დაიანმა იორდანიის დაბლობზე უხელმძღვანელა საბრძოლო მოქმედებებს სირიის არმიის წინააღმდეგ (გამარჯვებისთანავე დაინიშნა ბატალიონის მეთაურად, უკვე აგვისტოში ვიცე-პოლკოვნიკობა მიიღო, ხოლო მომდევნო წელს – გენერალმაიორობა).

**19 მაისი**

1643 წელი – მე-17 საუკუნის საფრანგეთის საუკეთესო მხედართმთავარმა, შეუპოვარმა, მამაცმა და პატივმოყვარე ლუი II პრინცმა კონდემ როკრუას ბრძოლაში მოსპო ევროპაში საუკეთესოდ მიჩნეული ესპანელთა არმია და ბოლო მოუღო მათ 150-წლიან ბატონობას კონტინენტზე.

1802 წელი – გამოქვეყნდა საფრანგეთის კონსულის ნაპოლეონის კანონი „საპატიო ლეგიონის ორდენის“ დაწესების შესახებ (დღემდე ითვლება საფრანგეთის უმაღლეს ჯილდოდ).

**20 მაისი**

1854 წელი – ყირიმის ომის (1853-56 წ.) დროს ნიგოითთან (გურია, ლანჩხუთის რაიონი) მოხდა ბრძოლა რუს-ქართველთა და თურქეთის ჯარებს შორის. ქართველებმა ნიკოლოზ ერისთავის მეთაურობით სასტიკ ბრძოლაში დაამარცხეს ოსმალთა ჯარი, რომელსაც ჰასან-ბეი თავდგირიძე მეთაურობდა).

1923 წელი – თბილისში (ვაკის პარკის მიდამოებში) დახვრიტეს ქართველ ოფიცერთა 15-კაციანი ჯგუფი. გენერლები – ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი, ვარდენ წულუკიძე; პოლკოვნიკები – ელიზბარ გულისაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, გიორგი ხიმშიაშვილი; უმცროსი ოფიცრები – ლევან კლიმიაშვილი, ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ მუხრან-ბატონი, მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი და ივანე ქუთათელაძე.

**21 მაისი**

1956 წელი – კუნძულ ბიკინიზე წარმატებით გამოცადეს პირველი ამერიკული წყალბადის ბომბი.

**22 მაისი**

1949 წელი – აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმზ ფორესტალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა: კაბინეტის ფანჯრიდან გადახტა შეძახილით: „რუსები მოდიან!..“

**23 მაისი**

1945 წელი – დააპატიმრეს კარლ დენიცი – გერმანელი გროს-ადმირალი (ჰიტლერის მემკვიდრე კანცლერის თანამდებობაზე).

**24 მაისი**

1614 წელი – გარდაიცვალა ალავერდიხან უნდილაძე – ირანის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ირანის ჯარების პირველი ყულარაღასი.

1941 წელი – გერმანელმა სახაზო ხომალდმა „ბისმარკმა“ ერთი ზალპით ჩაძირა ბრიტანული ფლოტის ფლაგმანი სახაზო ხომალდი „ჰუდი“.

**25 მაისი**

1781 წელი – გარდაიცვალა ა. ჰანიბალი – რუსი სამხედრო ინჟინერი, გენერალ-ანშეფი („პეტრე დიდის არაბი“).

1889 წელი – დაიბადა გიუნტერ ლიუტენსი – გერმანელი ადმირალი (დაიღუპა 1941 წლის 27 მაისს ინგლისელებთან საზღვაო შეტაკებაში „ბისმარკის“ 2100-კაციან ეკიპაჟთან ერთად).

**26 მაისი**

1865 წელი – აშშ-ში სამოქალაქო ომი დამთავრდა ჩრდილოელთა გამარჯვებით: დანებდნენ სამხრეთელი კონფედერატების ჯარის უკანასკნელი ნაწილები.

1996 წელი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად თბილისში პირველად გაიმართა სამხედრო აღლუმი.

**27 მაისი**

1905 წელი – რუსეთ-იაპონიის ომის (1904-05წ.წ.) პერიოდში ცუსიმას კუნძულებთან გაიმართა საზღვაო ბრძოლა (ვიცე-ადმირალ ზ. როჟდესტვენსკის ესკადრა სასტიკად დამარცხდა იაპონელებთან).

**28 მაისი**

1812 წელი – ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-12 წლების ომი (ზავის თანახმად, რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ქალაქები ფოთი და ახალციხე, სამაგიეროდ, დაინარჩუნა სამეგრელო, იმერეთი, გურია და აფხაზეთი, ანუ იურიდიულად გაიფორმა დასავლეთ საქართველო).

**29 მაისი**

1555 წელი – ირანსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ამასიის საზავო ხელშეკრულება (მისი ძალით საქართველო განაწილდა მათი გავლენის სფეროებად: ირანმა ცნო ოსმალეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა – ირანისა აღმოსავლეთ საქართველოზე).

**30 მაისი**

1431 წელი – რუანში, ბაზრის მოედანზე, სახალხოდ დაწვეს ჟანა დ'არკი.

1934 წელი – გარდაიცვალა ჰეიჰატირო ტოგო – იაპონელი ადმირალი (ცუსიმის ბრძოლის გმირი, მის სახელთან დაკავშირებულია იაპონური ფლოტის შექმნა).

**31 მაისი**

1974 წელი – სირიამ და ისრაელმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

შეადგინა
ამირან ტალახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხედრული ისტორიის მუზეუმი სტუმრებს ელის



*საქართველოს ისტორიას ყოველთვის დიდი სიამყით ეხებოდა ქართველი კაცი ჭირში თუ ლხინში დაუზარებლად იმეორებდა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია ომების ისტორიაა, რომ საქართველო სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ ნიჭიერი მხედართმთავრებისა და მებრძოლების წყალობით ერთი ათასს სძლევდა, ასი – ათასს და ამით გადავრჩით... ამას კი ვამბობთ, მაგრამ როგორც გვჩვევია, საქმით ხშირად ჩამოვრჩებით სიტყვას. ამისი დასტურია, რომ აქამდე საქართველოში არ არსებობდა საბრძოლო ხელოვნების მუზეუმი და გასახარია, რომ ორიოდ წლის წინ მას საფუძველი ჩაეყარა. ვესაუბრებით საქართველოს მხედრული ისტორიის მუზეუმის დირექტორს* ***შოთა უტიაშვილს:***

– მუზეუმი შარშან დაფუძნდა. ადრეც იყო ლაპარაკი ამაზე. თავდაცვის სამინისტროს ეგიდით უნდა გახსნილიყო საბრძოლო ხელოვნების მუზეუმი, მაგრამ ვერ მოხერხდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაარსდა ძმები შალიკაშვილების სახელობის მხედრული ისტორიის მუზეუმი. სამხედრო ისტორიის მუზეუმი რომ ყოფილიყო, უფრო ვრცელი თემა უნდა მოეცვა – XX საუკუნის ბოლომდე ყველა სამხედროს უნდა შევხებოდით. ჩვენ კი მხოლოდ XX ს-ის დასაწყისამდე მოვიცავთ ისტორიას, ექსპონატები საბჭოთა საქართველომდე ჩატარებულ ბრძოლებს შეეხება. გვაქვს ექსპოზიციაც, რომელიც საბჭოთა საქართველოდან გადახვეწილ მეომრებს თუ უცხოეთში მოღვაწე იუნკრებს, მებრძოლებს წარმოგვიდგენს.

— **რამდენად რთულია მასალის მოპოვება მუზეუმისთვის?**

– სამწუხაროდ, XX საუკუნის საქართველოში არ ექცეოდა ყურადღება ამ საქმეს. 1964 წელს მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც, XIX-XX საუკუნეების კავკასიის შტაბის არქივი მოსკოვში უნდა გადაეტანათ. ბუნებრივია, ბრძანება შესრულდა – ყველაფერი წაიღეს, საქართველოს ისტორიულ არქივში უმნიშვნელო მასალებიღა დაგვრჩა. მასალები ისეთ სამხედრო მოღვაწეებზე, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ, თითქმის განადგურდა. ამიტომ მასალა, ძირითადად, ოჯახებში მოვიძიეთ.

მუზეუმის შექმნის იდეა ძმებ შალიკაშვილებს ეკუთვნის, ამიტომ ჯერ მათზე დავიწყეთ მასალის მოძიება, შემდეგ გავაფართოეთ ძიება. თვითონ ოთარ და ჯონ შალიკაშვილებმა გვითხრეს: არა მარტო ჩვენი გვარის, არამედ ყველა სამხედრო პირის სახელი ისტორიაში უნდა დარჩეს. ამიტომ ყველაფერი მოიძიეთ და შეინახეთო. ჯონ და ოთარ შალიკაშვილები პროფესიონალი სამხედროები არიან. ოთარი ამჟამად თადარიგშია. ძმები ამერიკაში ცხოვრობენ.

ბატონი ოთარი 2001 წელს ჩვენს თავდაცვის სამინისტროში ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში შეიქმნა შალიკაშვილების ფონდი, რომელსაც მუზეუმი უნდა გაეხსნა გურჯაანში. უნდა აშენებულიყო ხუთი შენობა. ერთში, პირობითად, იქნებოდა წარმოდგენილი I-V საუკუნეების საბრძოლო ისტორია, მეორეში V-X ს-ების, მესამეში – X-XV, მეოთხეში – XV-XX, ხოლო ერთ შენობაში – შალიკაშვილების სასახლეში, იქნებოდა შალიკაშვილების სახლ-მუზეუმი. იდეას ხორცი ვერ შეესხა, მაგრამ მუზეუმის შექმნა მაინც გადაწყდა. ამჯერად მხოლოდ ერთ შენობაში.

— **ექსპოზიციას რითი შეავსებთ, გაქვთ არქეოლოგიური ან ისტორიული მასალა?**

– ახლახან ვესაუბრე ეროვნული მუზეუმის დირექციას, დახმარება ვთხოვე ექსპოზიციის შევსებასა და ჩვენი მუზეუმის ტურისტულ მარშრუტში ჩასმაში. კახეთში, კერძოდ, სიღნაღში ტურიზმის ბუმია. იქნებ თელავსა და გურჯაანსაც ეშველოს რამე.

რაც შეეხება რელიკვიებს, მფლობელებს მათი შელევა უჭირთ, ამიტომ ექსპონატებით ისევ ეროვნული მუზეუმი დაგვეხმარება.

— **იქნებიან თუ არა წარმოდგენილი თქვენს მუზეუმში უცნობი ქართველი მეომრები?**

– რომელ ქვეყანაში აღარ იბრძოდნენ ქართველები. მაგალითად, დიმიტრი ამილახვრის გარდა, საფრანგეთის არმიაში ბევრი ქართველი იბრძოდა. იბრძოდნენ ქართველები პოლონეთის არმიაშიც. ყველა მათგანი შესწავლილი არც გვყავს, მაგრამ ის ოფიცრები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, აუცილებლად იქნებიან წარმოდგენილი. საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა უფრო დიდი ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი მუზეუმისადმი, ვიდრე აქაურმა ქართველებმა, გვიგზავნიან მასალებს, ფოტოებს.

— **ცნობილი მეომრების იარაღის ასლებს თუ წარუდგენთ დამთვალიერებელს?**

– გვინდა, მაგრამ ძვირი ჯდება. ორდენების ასლების დამზადებაც კი გვიჭირს. ალბათ, ეს სამომავლო პერსპექტივაა.

— **სამხედრო მუზეუმის დაარსება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გადაწყვეტილა თბილისში... შემდეგ რა მოხდა?**

– მას შემდეგ, რაც რუსეთი შემოვიდა კავკასიაში, ყველა სამხედრო მონაცემი ინახებოდა. გამოცემულია თორმეტტომეული „ნიჟეგოროდის IV საიმპერატორო დრაგუნთა პოლკის ისტორია". იქ დაწვრილებითაა აღწერილი ქართველთა დამსახურებაც. თბილისში ცისფერი გალერეა საგანგებოდ აუშენებიათ კავკასიის არმიის დიდების მუზეუმის გასახსნელად (ეს ბრძანება ალექსანდრე III-მ გამოსცა) პეტერბურგიდან გამოიყო თანხა. იქ უნიკალური მასალები, ნახატები ინახებოდა. ეს სურათები რევოლუციის შემდეგ, 1917-18 წლებში, რუსებმა გაიტანეს. ნაწილი განადგურდა, ნაწილი სტავროპოლის მუზეუმსა და მოსკოვში ინახება. ორი-სამი სურათი ჩვენს ეროვნულ მუზეუმშიცაა დაცული.

— **დასასრულ, თქვენ, როგორც მკვლევარი, ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?**

– ასეთი ბევრი ფაქტია. შემიძლია დაგისახელოთ ცნობილი მხედრები ზაქარია ჭავჭავაძე, ივანე ამილახვარი. თავდაპირველად, რიგითი ჯარისკაცები იყვნენ, ბოლოს კი გენერალ-ადიუტანტები გახდნენ. იყო ხალხი, ვინც არ ჩანდა, მაგრამ დიდ საქმეს აკეთებდა...

— **მართალია, რომ ამბობენ, ქართველები კარგი მეომრები არიანო?**

– მართალია, უბადლო მეომრები გვყავდა. მაგალითად, კავკასიის დაპყრობაში ქართველებმა დიდი სამსახური გაუწიეს რუსეთის მეფეს.

— **შესაძლებელი იქნება თუ არა თქვენს მუზეუმში ქართველების მონაწილეობით ყველა ომზე ინფორმაციის მოპოვება?**

– ჩვენი საბოლოო მიზანი ეგ არის და იმედიც გვაქვს, მალე ასე იქნება, ჯერ კი კალმითა და ფანქრით ვიბრძვით.

ლელა ჯიყაშვილი

# „ებრაელი ინდიელი“

## „ჩეროკი“ ურჩი გადამსხდელების შესაშინებლად



საბედნიეროდ, წავიდა ის დრო, როდესაც ქართული ძალოვანი სტრუქტურები მხოლოდ საბჭოთა „მაკაროვებით“ იყვნენ შეიარაღებულნი, ხოლო მათი ხელმძღვანელები — უზარმაზარი „სტეჩკინებით“, რათა განსხვავებული ყოფილიყვნენ პირადი შემადგენლობისგან.

„მაკაროვების“ შეცვლა 6-7 წლის წინ დაიწყო — თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ში ჩეხური Cz-75 და ბულგარული „მაკაროვი“ გამოჩნდა. შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა საუკუნის დასაწყისში იტალიური „ტანფოლიო“ შეიძინა...

უცხოური პისტოლეტების მორიგი ბუმი „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა და რატომღაც არჩევანი ებრაული წარმოების იარაღზე შეჩერდა.

ებრაული პისტოლეტის — „იერიჰოს“ ყველაზე დიდი პარტია საპატრულო პოლიციის პირადი შემადგენლობისთვის შეიძინეს. ამბობენ, „იერიჰოს“ შემომტან ერთ-ერთ ქართულ საიარაღო ფირმას დიდი პრობლემები შეექმნა, რადგან შსს-ს ძველმა ხელმძღვანელობამ, შეპირების მიუხედავად, პისტოლეტების პარტია არ განაბაჟაო...

ამჯერად საქართველოში, კერძოდ კი ფინანსური პოლიციის შეიარაღებაში, მიღებულ იქნა მორიგი ებრაული წარმოების პისტოლეტის, Bul Cherokee-ის პარტია, დაახლოებით ორასი ერთეული.

ამ პისტოლეტს უშვებს არცთუ ისე დიდი ებრაული საიარაღო ფირმა Bul Transmark-ი, რომელიც პისტოლეტების სერიულ კონსტრუირებას 1992 წელს შეუდგა და აწარმოებს როგორც სასამსახურო, ისე სპორტული დანიშნულების პისტოლეტებს. პირველი პისტოლეტი, Bul M-5-ის სახელწოდებით, 1993 წლის ბოლოს შეიქმნა. მისი კონსტრუქცია ლეგენდარული ამერიკული პისტოლეტის, Colt/Browning M1911-ის, სქემაზე იყო დაფუძნებული, თუმცა თითქმის საუკუნოვანი ამერიკული პისტოლეტისგან განსხვავებით, ჩარჩო, რკინის ნაცვლად, პოლიმერისა ჰქონდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულიდან ფირმა Bul-ი კიდევ ორი სახის პისტოლეტს უშვებს — Bul Impact-სა და Bul Cherokee-ს. საგულისხმოა, რომ ორივე მათგანი იტალიური ფირმა Tanfoglio-ს ხელშეწყობით შეიქმნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ როგორც იტალიურ „ტანფოგლიოს“, ისე ებრაულ Bul Cherokee-ს ერთი „მამობილი“ — ჩეხური Cz-75 ჰყავს.

ფინანსური პოლიციის შეიარაღების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ასტამაძე (მას „ჩეროკიდან“ რამდენიმე ასეუ-



Bul cherokee-ი მოსახსნელი და რეგულირებადი კონდახით



Bul cherokee-ის არასრული დაშლა

ლი გასროლა აქვს გაკეთებული): „18 წელზე მეტია, რაც ცეცხლსასროლ იარაღთან მაქვს საქმე. ნასროლი მაქვს როგორც ყველა საბჭოთა წარმოების, ასევე ათობით სხვადასხვა მოდელის დასავლური პისტოლეტიდან. „ჩეროკი“ ბევრად სჯობია „მაკაროვსაც“ და TT-საც როგორც მიზანში სროლის სიზუსტით, ისე ბალანსირებით, ხელშიც მშვენივრად „ჯდება“, ოღონდ ეგ არის, რომ „ჩეროკი“ უფრო საპოლიციო სამსახურისთვის გამოდგება, არმიაში მისი მოხმარება გაუჭირდებათ“.

Bul Cherokee-ის სამიზნე მოწყობილობა რეგულირდება. დამცველი მხოლოდ ერთი, მარცხენა მხრიდან აქვს. დამცველის ჩამოწევისას შეყენებული ჩახმახი არ ეცემა (როგორც, მაგალითად, „მაკაროვში“ ხდება). პისტოლეტის ტარი კარგად ზის ხელში. მჭიდეში 9X19 PAR ტიპის 17 ცალი ვაზნა თავსდება. პისტოლეტის პოლიმერულ ჩარჩოზე დატანებულ სპეციალურ რელსებზე აყენებენ როგორც ტაქტიკურ ფარანს, ისე ლაზერულ მიზანმაჩვენებელს. „ჩეროკს“ აქვს ორიგინალური ფორმის კონდახიც (ის სხვა ებრაულ პისტოლეტზე „იერიქოზეც“ მიდის), რაც საკმაოდ იშვიათია არაავტომატური პისტოლეტებისთვის.

„არსენალის“ ინფორმაციით, ისრაელში Bul Cherokee 300-400 დოლარი ღირს. საქართველოს ფინანსურმა პოლიციამ ის დაახლოებით 500 დოლარად შეიძინა, თბილისში იარაღის ერთ-ერთ მაღაზიაში კი 1.500 ლარამდე ღირდა.

*ირაკლი ალადაშვილი*





Bul cherokee-ის სავაზნე კოლოფში 17 ცალი 9X19 PAR ტიპის ვაზნა ეტევა



8/649